# ცისკარი.

**1865**

დეკემბერი.

## წელიწადი მეცხრე.

წოდება თხზულებათა:


I — აღსარება ქალისა, მარიონ დელორმისა. (ნათ.) გრიგოლ რჩე-ულოვისა.

II — ლექსები: 1, მ... ს... თ. აკ. წერეთლისა. — 2, თ. გიორგი ერისთავის გარდაცვალებაზედ. გიორგი დვანაძისა. — 3, ნინა. მამ. დიმ. ბერიევისა. —

III — შინაურული მიმოხილვა. ხუციშჳლისა.

IV — სხჳა და სხჳა ამბავი (იხილე მეორე გვერდზედ.)


---


ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.



თბილისი

## სია 1866 წლის ცისკარზედ ჴელის მომწერთა:

ტფილისში.

51 ტფილისის კლუბი.
ალექსანდრე ონიკოვი.
გიორგი გასპაროვი.
60 ელისაბედ ხიზანოვისა.
სჳმონ ბაქრაძე.
კნ. სალომე ანდრონიკოვისა.
კნ. ნინა ორბელიანისა.
თავადი ივანე ანდრონიკოვი.
თ. არჩილ ანდრონიკოვი.
თ. მალხაზ ანდრონიკოვი.
თ. მერაბ ანდრონიკოვი
ალექსანდრე ბეზირგანოვი.
მურადოვის მაგაზია.
70 სფირიდონ ყარღანოვი.
გრიგოლ რჩეულოვი.
კნ. მარიამ ჭავჭავაძისა.
თ. კიკო ჩოლაყაევი.

ოდესაში.

თ. ზაქარია ერისთავი.

ახალქალაქში.

დავით კვინიხიძე.

ზუგდიდში.

თ. რაფიელ ერისთავი
სფირიდონ მაჭავარიანი.
ანნა ბებურიშვილისა.
მიხეილ სუროლპუტოვსკი.
80 კონსტანტინე გაბუნია.

## ნაწილი მეორე.

(განგრძელება.)

გამოჩენილი და დიდად განთქმული საზოგადოება, რომელსაცა ჰქონდა ფრიად კეთილ მოქმედება მეჩვიდმეტე საუკუნეზედ, ის იყო ჩემს დროს იწყობოდა: იმ საზოგადოების გარდასწყვეტილებას აქვნდა კანონის ძალა გემოვნების გასაწმენდად და ხასიათის გასაკეთებლად.

შარლი მარკიზ რამბულიე, კაცი ორმოცდა ათის წლისა, იყო მეფის პირის ფარეში (ტანისამოსის მიმრთმევი), მაგრამ ის იყო პირდაპირ მთქმელი, და დიდ ხანს ვერ გაჰსძლო სამსახურში მეფესთან, სადაცა ყველას თითქმის მასკები აქვსთ ხოლმე პირზედ ჩამოფარებული; ეს დაუბრუნდა თავის სახლობასა, სადაც ეგულებოდა ცოლი და ქალი, მშვენიერნი ქმნილებანი, რომელთაც უყვარდათ შარლი ნარნარებით და სიწმინდით. ამ მარკიზის ქალი ჟულიო იქმნებოდა ჩვიდმეტის წლისა და დედა იმისი ეკატერინე ერთი ორათ; დედის სილამაზე თუმცა უკვე მოიწყინებული იყო, მაგრამ მაინც განსაკვირვებელი იყო; აღმოჩნევა ამ გამლილსა და გაუშლელს ვარდებში ბევრს გაუძნელდებოდა. ეკატერინე მარკიზა რამბულიე იტალიანკა იყო, წარმოსადეგის და მდიდრის ტანისა; იმას კეთილ შობილება გადაჰსწვდებოდა სახეზედ, რომელიც ოქროს ფრათ დაჰსცემდა. მშვენიერი ცხვირი, უცხო შავი თვალები და თმა, წითელი ტუჩები და მარგალიტის კბილები ჰყოფდნენ იმას მე-

დეშევრეზი, რომელმაც თითი მიიდო ტუჩებზედ, რომ გავჩუმებულ-ვიყავ. ერთი ვიღაც უფალი რაღასაც კითხულობდა. მე მივიკარ გერ-ცოღინიას ჴელი ტუჩებზედ და როცა თავი მაღლა ავიღე, დავინახე მედიდური და კეთილ შობილი ქალი, რომელმაც შორიდგან მიალერსა ღიმილით და მარაოთი. ეს იყო თვითან ეკატერინე მარკიზა რამბუ-ლიე. მე წამოვდექი, რომ მივსულიყავ იმასთან, მაგრამ იმან ღიმი-ლით მანიშნა ჯერ დავრჩენილიყავ.—მე ყური დავუგდე მკითხველს და პირველმავე ლექსებმა გამიხეთქეს გული და გამაწითლეს: იმან წაი-კითხა: «მხოლოდ დიდი გვარის ქალებს შეუძლიანთ ატარონ ხავერდი, ატლასი და დამა, და დანარჩენმა ქალებმა უნდა ატარონ მხოლოდ თავთა და სხვა მსუბუქი აბრეშუმის მატერია.—

მე ჩუმათ დავათვალიერე ჩემს გარეშემო. მე მეცო დიდ მშვენიერი ატლასის კაბა. მე წარმოვიდგინე, რომ განგებ მომიწვიეს აქა ჩემს შესარცხვენად და დასაცინავად, რომელიც შეიძლებოდა მოეხერხებინა ჩემს ნათლიას გრაფინია ეგრემონსა. მაგრამ მაშინვე მომაგონდა, რომ ის მწყრალათ იყო მარკიზა რამბულიესთან. მე დანარჩენი კითხვი-სათვის ყური აღარ მიგდია.—

—ნება მომეცით ერთი სიტყვა მოგახსენოთ, მარკიზავ, ჰსთქვა ბესომპიერმა, რა ჩუმათ შემომხედა მე.

—ბრძანეთ მარშალო.

—კანონები იწერება იმისათჳს, რომ ხალხი მას მორჩილებდეს, მაშასადამე უმჯობესია არ დაიწერონ ის კანონები, რომელნიც ყველგან განაღვიძებენ ყაყანს და არეულებას, და რაც ეხლა წავიკითხეთ ფარჩე-ბისგამო, ვგონებ ყველგან წინააღმდეგობას მოასდენს.

—თქვენ რას იტყვით მაგაზედ პრინცო ლაროშფუკო? ჰკითხა მარ-კიზა რამბულიემ, რა მიუბრუნდა ერთს ლამაზს ყმაწვილს კაცსა.

—ჯერ ქალების ჰზრი შეიტყეთ, მოახსენა მან; მე ჩვეულება მაქვს ყოველთვის ვეთანხმო იმათ, და მან თვალით ანიშნა მარია დეშევრეზედ.

—გერცოღინიავ, მიუბრუნდა ახლა ამას სახლისსპატრონი: როგორ ინებებთ? როგორ გადავჭრათ ეს საქმე?

—ჰსჯობს, გადავდოთ ამის გარდაწყვეტა მეორეს დროებისათჳს, უპასუხა მან.

—თქუენი ნებაა, ჰსთქვა მარკიზა რამბულიემ, წამოდგა და წამო-ვიდა ჩემკენ. მაშინვე ყველანი აიშალნენ. მარკიზამ შუბლზედ მაკოცა

და მითხრა:

— უკაცრაოთ, რომ პირველათვე არ მოგეგებე; ჩვენში წესათ არის დადებული, რომ კითხვას ვერ გავაწყვეტინებთ.

— მე ვეძლევი ამპარტავნებას თქვენის მიღებით, და დიდს ბედნიერებად ვრაცხამ, რომ მეც გამრიეთ თქვენს ბრწყინვალე საზოგადოებაში, მოვახსენე მე.

— რამბულიემ მოუწოდა ფირუზ თვალა პრინც ლარომ ფუკოს და მომცა ის მე კავალერად; თვითონ გაეშურა ვიღასიც კაცის მისალებად, რომელსაც იქ მეოფნი ესვეოდნენ გარს, და რომლის წინაშეც თვითონ მარკიზას ქმარი შარლი რამბულიე ფეანდაზივით ქვეშ ემდებოდა. ეს იყო ანგლიის ელჩი გერცოგი ბუკინგემი, რომელიც ხუთი ექვსი დღე იყო რაც პარიჟში მოსულიყო მოსალაპარაკებლად მითხოვებაზედ მეფის ლუდოვიკის დის გენრიეტასი ანგლიის მეფეს კარლზედ.

დიდად ბუკინგემისა პირველი მოსვლა იყო მარკიზასთან- მე მენახვნა ის მაღალის ტანისა, ლამაზის სახისად, უცხოდ ჩაცმული. მაგრამ მე მაშინ ჯსწორეთაც ვერ გავშინჯე, ამიტომ რომ ჩემი კავალერი პრინცი, რომელიც პირველად თითქოს შეკრთა ჩემთან მყოფობით, აღარ მასვენებდა თავის ლაპარაკით,— ეს იყო სრულებით ყმაწვილი ოცი ანუ ოც და ერთის წლისა, ხმა ჰქონდა ზარივით და ამაზედ უშნოესი სახისა ბევრი არავინ მინახავს- ჩემმა ტკბილმა ღიმილმა დაათრო ესა. ჩემის თვალებიდგან როგორც ნაპერწკლები, იმას ზედა ჰსცვიოდა სასიკვდილო შუბრეტანი. ის ჩქარა აინთო თავით ფეხამდის და ასე საშინლად, რომ მეც მივეშველე ალის გასაქრობად. მე ვაგრძნობინე იმას, რომ ყველანი ცხადად დაინახვენ იმის არეულობას, რომ ამ დროს იმისი ფეცხლი სრულებით უალაგოა, რომ ეს მხოლოდ სიგიჟეა:—

— თუ რომ სიყვარული სიგიჟეა, მითხრა იმან მწარადღულად: მაშ იმედი მაქვს, არავინ მოინდომებს სიბრძნესა.—

ამ დროს ბუსომპიერმა დაგვინახა და უთხრა იმას:

— უფროსილადი პრინცო! სილამაზე მადამზედ დელორმისა გავიწყებს თქვენ პატარა თეთრი ქალის სიყვარულსა, რომელიც ეხლახან ჩამოვიდა ტურენიდგან. თქვენ თვითონ არ მითხარით, რომ იმის სიყვარულისაგან გგიჟდებით? ამბობენ დღეს ის ქალი შეუძლოთ არისო, ჰსხანს თქვენს მეხსიერებაში არ მოსულიდამნაშავენი არიან.

ამ სიტყვებზედ პრინცი გაწითლდა, როგორც ატლასი.

—მოწყალეო ქალმწიფევ, უთხარ მე პრინცს წყნარის ხმით: გთხოვ ქალავ ამიხსნათ ეს საკვირველი საიდუმლო სიყვარული.

—ოო! გეფიცები იქჳფნ... შეჰყვირა იმან.

—კარგი, კარგი! უთხარ იმას ჩუმათ და მე მივედ ბესომპიერთან.

—მარიონ, მითხრა იმან: გებრალებოდე, იტალიაში მგზავნიან ელჩათ. მე ბევრი ვეცადე თავიდგან ამეცილებინა, მაგრამ რიშელიემ ჩემი უარის თქმაზედ ასე ნაირად შემიკრა წარბები; რომ, თუ კიდევ უარს ვიტყვი, ბასტილიაში გამისტუმრებს. მგონია ჯობჯობდეს ისევ იტალიის ცა მეფაროს თავზედ, ვიდრე ბასტილიის შავი კედლები,—ხვალ მივდივარ, ჩემო საყვარელო... ღმერთმა ჰქმნას დაჰსტკბე ჩემს აქ არ მყოფობაში ყოვლის ნეტარებით და სიხარულით. იმისი ხმა თრთოდა გულის აღრეულობისაგან.

მე იმას წავავლე ხელებში, გავიყვანე ფანჯრისაკენ და უთხარ: არა, მარშალო, ხვალ ვერ წახვალ! მე მაგას არ დავაჯერებ...

—ლამაზი ყმაწვილიკაცი არ არის ეგ პრინცი, მარიონ? მითხრა იმან: შენ უნდა თავი მოგწონდეს მაგის დამარცხებით.

—ნუთუ, ჩემო მეგობარო ეგ ეჭვი გაწუხებს?..,

—მე ხომ არ გაყვედრი, მარიონ,.. ჰსწორეთ მითხარ, გიყვარს?

—მაგას როგორ მეუბნები? სულ ერთს საათს არ გაუვლია რაც გავიცანი...

—კმარა, ნუ აიტკრიცე... განა მე როდისმე მითქვამს შენთჳს, რომ გული ორის ხელით გეჭიროს მეთქი?... სრულებით თავისუფალი ხარ... მე სამუდამოდ დავრჩები შენს საუკეთესო მეგობრად. შენ მე მიერთგულე დიდხანს, ასე დიდხანს, რომლისაც იმედი არა მქონდა.

—შენ განგებ ცდილობ მაწყენინო მე, მარშალო?

—გეფიცები ჩემს პატიოსნებას, მე შორსა ვარ ფიქრისაგან გაწყენინო რამა! მე არეული ვარ, მართალია... შენზედ მოგონება ყოველთჳს ძვირი იქნება ჩემთჳს. ახლა დავრჩეთ ერთმანერთში ერთგულ მეგობრად.—გიმეორებ მე იმას, რაც ადრევე მითქვამს: იყავ ლამაზი, იყავ ღირსი შენატრებისა, იყავ ბედნიერი! და თუ როდისმე ძველს ერთგულს მეგობარს კიდევ შეხვდები სიცოცხლის გზაზედ, იმედი მაქჳს არ დაიშურებ ჩემთჳს ერთს კოცნასა.—ცრემლი მოუვდა მარშალს თვალებში.

—მართლა ხვალ მიდიხარ მარშალო?

—მართლა მივდივარ, და როდესაც იტალიიდგან დავბრუნდები, პირველად შენ გაგიკეთებ ვიზიტს.—

—მერე როდის დაბრუნდები?

—როცა უნდათ ეგა რიშელიესა... და ღმერთსა!— მარშალმა დამიკრა თავი და განჰქრა.—

მე ცრემლი თვალებში და ყელში მომაწვა. დიდად ძალას ვატანდი ჩემს თავსა, რომ არ შემეღრიალა ამ ხალხში.—

მწუხარედ დავბრუნდი იმ ღამეს შინა.—ჩემს თვალს ძილი არ მოსვლია. მეორეს დღეს დილით თერეზა გავგზავნე მარშალთან და წიგნი მივწერე. ის კიდეც წასულიყო.

მე ვტიროდი, ვაყვედრიდი ჩემს თავს უმადლოებაში და მთელი კვირა არავინ მივიღე. მე მხოლოდ ეს ნუგეში მქონდა, რომ ჩუენში უსიამოვნო არა მომხდარარა, არაფერში არ დაუყვედრებივარ იმასა და გავშორდით ჩუენ უმწყრალოდ, მხოლოდ გარემოების ძალით.—მაშ რათ უნდა მეწუხნა, რათ უნდა მეტირნა?—

რა დავამშვიდე ჩემი თავი ამ განსჯით, მე მივეცი ნება შემოსულიყო პრინცი ლაროშ ფუკო, რომელიც ერთი კვირა ყოველ დღე მოდიოდა ჩემს სანახავად და მე არ მივიღებდი ხოლმე. ის ემუქრებოდა თავს მოვიკლამო, თუ არ მინახვინებო.

—მართლა, საყვარელო პრინცო, უთხარ მე იმას, რა გავაწყვეტინე ყბედობა სიყუარულისგამო: ვინ არის ის ქალი, რომელიც ტურენიდგან ჩამოსულა, და რომელზედაც ბესომპიერი მეუბნებოდა, რომ გიყვარსო?—

—ეგ მართალია, მიპასუხა პრინცმა აღრეულმა: მე მაშინ ისე მეგონა.—მანამდისინ თქუენა გნახამდი, მეგონა, რომ ის მიყვარდა, და ესლაკი ვჰფიქრობ, რომ სიყუარული ერთი გვარია და იმისი კოპიო ბევრია.—

—მაშასადამე თქუენი გრძნობა იმ ქალისადმი იყო მხოლოდ კოპიო სიყუარულისა? ვჰკითხე მე.

—დიახ.

—მაგი ნამდვილს მომცემთ?

—რასაკვირველია.

—თავდებათ ვინ დამიდგება მაგაში?

ამე მეტად ჭკვიანათა გრაცსამ, რომ ვერ მიხვდეთ, ვინ მართალს გეუბნებათ და ვინ ტყუილსა. მითხრა პრინცმა.

—თქჳენ ჩემში აგულებთ ბევრს გამოცდილებასა, რომელიც არა მაქჳს, უთხარი მე: არა მჯერა, რომ ბევრი უცხო სიტყვანი, რომელნიც მე მითხარით, არ გაეგონოს ტურენიდგან ჩამოსულის ქალის ყურებსაცა!

—არა, ჯერ მე იმისთჳს ხმაც არ გამიცია... თუ გნებავს ჰკითხეთ: ის თქჳენი მეზობელია.

—ჩემი მეზობელი?... რა ჰქვიან?

—ნინონა ლანკლო!

ჰსწორედ ამ დროს ტერუზამ შემოაღო კარები და ჰსთქვა:

—ქალბატონო, ერთი ყმაწვილი ქალია, თქვენი მეზობელი ვარო, ნინონა ლანკლო, თქვენს ნახვასა ნდომულობს. იმასთანაც ერთი კაცი გახლავსთ. მივიღო თუ არა, რას მიბრძანებთ?

მე გამიხარდა; პრინცი გაყვითლდა.—მე მივხვდი, რომ მარტო შემთხვეულებას არ მოეყვანია ჩემთან ნინონა.

—მიიღე, უბრძანე მე.

მაშინვე შემოვიდა ჩვენს ოთახში ლამაზი ქერა ქალი, ნუშის მსგავსად მოყვანილის დიდრონის თვალებით, პატარის ლამცინავის ტუჩებით წვრილის ქელოვესით და ტანით, როგორც თითისტარი. თავზედ ოქროს რკალი ჰქონდა შემოვლებული, რომელიც ყვავილებით იყო შემორტყმული. ყელზედაც ზურმუხტის ყელსაბამი ჰქონდა გაკეთებული. კაცი, რომელიც ამას მოჰსდევდა, იყო უცხო მწერალი ბალზაკი. ეს ჩემთანაც და მარკიზა რამბულიესთანაც იყო შინაურულად მიღებული.—

ნინონა თავდახრილი მოვიდა ჩემთან და გაუბედავობით მითხრა.

—მადამ, ჩჳენ გამოგზავნილები ვართ მარკიზა რამბულიესაგან საყვედურის სათქმელად, რომ აღარ ინებეთ იქ მოსვლა. ის ძალიანა ჰსწუხს ამაზედ და ჩაგვაბარა თქჳენი თავი უთუოთ მიგვეყვანოთ ამაღამ.

—ერთი კვირაა შეუძლოთ გახლდი, დიდად მადლობელი ვარ მარკიზასი, რომ კიდევ ვახსოვარ.—მე პირველათ მივიღე დღეს ეს ყმაწჳლი კაცი. თქჳენი ნახვაც გამეხარდა. ჩემა მოახლემ მითხრა, რომ მეზობლები ვართო... განა მართალს მე მაქჳს პატივი თქჳენის მეზობლობისა?

—დიაღ, თქჳენი მეზობელი გახლავარ. ერთი კვირა იქნება, რაც მარკიზს რამბულიეს ნოტარიუსმა მიყიდა აქ სახლი მშჳენიერის ბაღით, და დიდი ბედნიერი ვიქნები, თუ რომ ოდესმე თქჳენის მოხვლით დაამშვენებთ ჩემს სახლსა.—აი რისათჳს მივიღე სიხარულით რამბულიეს ჩაბარება. მე აღტაცებაში ვარ, რომ მომეცა შემთხვეულება თქჳენის გაცნობისა.—

—მეც იმედი მაქჳს, მოუმატა ბალზაკმა, რომ ამ ყმაწჳლ ანგელოზში ჰპოვებთ გულითადსა და კეთილს მეგობარსა.—

—ჩემგანაც იმედი ჰქონდესთ, რომ გარდუხდი სამაგიეროს მეგობრობას, უთხარ მე ისე ცივის ხმითა, რომ ვაგრძნობინე, რაოდენი უსიამოვნება იყო ჩემთჳს იმათი ამ დროს მოსვლა.—

რა მივბრუნდი, ვნახე, რომ ნინონა ლანკლო თავს უკრავს პრინცსა მე უთხარ მშრალად:

—საყუარელო მეზობელო, მე მზათავარ მარკიზასთან წამოსასვლელად.

—რა გვეჩქარება მოუსწრობით, მიიხრა ნინონამ: თქჳენის ნება დართვით მე მინდა საყუედური მივცე პრინცსა, რომელსაც არ უნდა ესე გულგრილად მიველე.. თქჳენ განგვასამართლეთ, მადამ; ორი კვირა იქნება რაც გიახლი ტურენიდგან მარკიზ რამბულიესთან გასაცნობელის წერილებით, და ხშირად დავიარები იმასთან. იქ შევხჳდი ამ უცვალ პრინცსა, და მე მეგონა, რომ მიცნობს. თქჳენ ხომ გესმით, რომ მე პირველი ვერ მივარდებოდი მოსასვლელად... ქალობის სირცხვილი ნებას არ მომცემდა ამისას.—

მე გამიკვირდა ამ ქალის შეუპოვრობა.

—უკაცრავოთ, უთხრა პრინცმა: აქ უნდა იყოს რამ შეცთომილება.

—გაჩუმდი! შეუტია ღიმილით ნინონამ და თითებზედ დაჰკრა მარაო სპილოს ძვლისა. ჩჳენ ვიმყოფებით მეგობრებში- მე არ მეშინიან აქ ქვეყნის მრავლისა და მოგასხენებ ყველას, რასაც ვჰფიქრობ. ისე გულით რათა მჩხრეკამდი მარკიზასთან? რატომ არ მაშორებდი თვალსა?... მგონია მარტო იმისთჳს არა, რომ ლამაზად გეჩვენე, არა, მაგისთჳს არა... ჩემი სახე გაგონებდა რაღასაც სიზმარივით დაკარგულს სახესა, რომელიც გიყვარდა, რომელთანაც დარბოდი ტურენში, ტყეში და მინდვრებში პეპელების საჭერლად, ყვავილების საგლეჯად... არ გახსომს პრინცო?... ნუთუ არა გაქვს შენ გულის მეხსიერება?—

გიჟივით წამოხტა პრინცი და კივილით გარდაეხვია.

— ნინოს! ჩემი პაწაწკია ნინოს!

— ძლივს არ მომიგონე, პრინცო! შენი პაწაწკია ნინოს, რომელიც შვიდი წელიწადის აღარ გინახამს, და რომელიც, როგორც ჭინკდამ, გაზრდილა. გალამაზებულა, და რომელსაც ისევ ისე უყვარხარ!

მე გულში ბურთივით რაღაც მომხვდა და ჯავრი მახრჩობდა. — ყმაწვილი ქალი იკრამდა გულზედ ნინოსას რაცა შეეძლო. ჰკოცნიდა თვალებში, ლოყებში, ყელებზედ და ალერსებით შეჰსცქეროდა, და ეუბნებოდა: — შენა ხარ, მართლა შენა ხარ ჩემო პაწაწკია ნინოსავ, ჩემო პატარა ცოლო!... გავიგე, რომ მამა მოგიკვდა და დიდი შეძლება დაგრჩენია.

— დიაღ, პრინცო, იმიტომ დავეშურე შენს ძებნასა, რომ აღვგო, რომელიც მე სიყმაწვილით მომეცი შენს გულში, არავის დაეჭიროს სიდიდეში....

მე მოთმინება შემომელია.

აღგზნებულის თვალებით, ტუჩების კანკალით მე მივარდი ნინოსას და გული ვჰკარი.

— დიდება შენდა ღმერთო! რა დამართვიათ!... საყვარელო მეზობელო, ვგონებ სრულებით არ გახსოვთ თქვენა, რომ მმართველებმა და რიგი ჯერ ქვეყნიდგან არ ამოწყვეტილან... თქვენი სახლი ასე ახლოა აქედგან, რომ იქ შეგეძლოთ თავისუფლად მიჰხცემოდით უმეტეს სიტკბოებას და ალერსს. — ეს უცნაური პრინცი ეს არის ესლა მარწმუნებდა და მეფიცებოდა აღგზნებულს სიყვარულში... ჭინკანს ის იყო კოპიო სიყვარულებისა, რომელსაც ეს ინახამს შეგულისათვის ჯიბეში და არა გულში... ქალავ ჭკვიან, ქალავ გადაწყვიტე, პრინცო, მოუმატე მე გაკაპასებულმა: ამოარჩიე ჩვენში ერთი ერთი...

— მართლა ბძანებს, უნდა ჩქარა გადასწყვიტო, უთხრა ნინომ: ნუთუ გიძნელდება ჩვენში ერთი ერთის ამორჩევა?... მაშ კარგი, ვისაც მე უყვარვარ, ის გამომყვება. ამ ემბაზმა თვალებითაც და პირითაც გაუცინა და გაუშვირა მას ხელი. —

იმ უსვინიდისო პრინცმა ერთი წამიც აღარ შეიყოვნა. ის მაშინვე გაჰყვა ნინოსას, რომელმაც მითხრა შებრალებით:

— გპირდები ყოველი ეს საიდუმლოთ დავიცვა, მაგრამ ნუღარა ჰსცდი დაუბრუნდე პრინცის ამხიურობასა. — ამის შემდეგ იმან გაიხურა კარები და მოისმა ტალანში მაღალი ხმა ხარხარისა და კისკისისა.

მე მეგონა, რომ ჭკუაზედ შევიშლები მწუხარებისაგან და სიანჩხლისაგან. ბალზაკიც ჩემთან იტიროდა კრესლოზედ გადახრილი.

მე მიუბრუნდი იმას გაკაპასებული.

— რა სიბრიყვეა შენის მხრით დარჩეთ ჩემს სახლში იმის შემდეგ, რომლისაც შენ თვითონ იყავი მიზეზი ჩემის გაუბედურებისა!

— ოხ, ღმერთო ჩემო. ჩემში რა გეჩხუბებათ? შენით აქ რა ბრალობაა. მეც მართლა საწყალი უნდა მიგიღო, რომ შენ ჩემს თავს ის უმაწვილი კაცი არჩიე, რომელსაც ჯერ პირზედ დედის რძე არ გაშრობია, რომლის ღირსებაც მდგომარეობს მხოლოდ წითელს რბილს ლოყებში... მაგრამ, სჯობს დავივიწყოთ ესენი. ნინონა დაგპირდა საიდუმლოთ დავიცვათო, მეც არსად გავიტან ამ ამბავს.— დამშვიდდი. მარიონ და წავიდეთ მარკიზს რამბულიესთან.—

— გადი აქედგან! შევუყვირე მე იმას: ჯანაბას წადით თქვენცა და თქვენი მარკიზაცა!.. და რა აღარ მოუცადე იმას პასუხი, მე შევედ საწოლში და მოვკეტე კარები:— აქ ცრემლი ველარ შევიმაგრე და შუა-ღამემდის ვტიროდი. შემდეგ შევუდექ გუნებაში ამ საქმის გამოძიებას; მე თვითონვე გამტყუვნებდი ჩემს თავს. მე ისე გუნებაზედ ავდექ მეორე დღეს, რომ მზათ ვიყავ ბოდიში მომეთხოვნა ნინონასთანაც, პრინცთანაც და ბალზაკთანაც.— მე გავხსენ კარი ჩემის მცირე-მეგობრების მისაღებად. ცხადად გავმართე ვერგები.— არც ერთხელ არავის შემოწყენებინებია ჩემთვის იმ ისტორიისგამო, მე უმართლოდ ვფიქრობდი, რომ არავინ არა იცოდარა და იმათ ეს საიდუმლო ღრმათ დაემალათ. ახლა მე დიდათ უმადლი იმათ გულში ამ დაფარვისათვის.

მე განვიზრახე გამეთავებინა ცხოვრება ამ განცხრომაში და ქვეყნიერების ღელვაში. მინდოდა დავბრუნებულ ვიყავ ხელახლად ჩემს მშობლებთან, ჩემს დაძმებში და პატიოსნურად გამეტარებინა უკანასკნელი დღენი იმათთან ღარიბ ქოხში, სადაც დავიბადე. ამ ფიქრით წაველი რიშელიესთან დანიშნულს ვადაზე და გამოუცხადე იმას ეს ჰაზრი. რომ განმათავისუფლოს იმ ვალდებულებისაგან, რომელიც მომანდო, რომ პარიჟში დგომას ვჰპოვებდი ჩემის თავისათვის საშიშოთაც და სავნებლათაც. რომ ჩემი იმასთან უმანკო მეგობრობა არ გათავდება დაურღვეველად და შეუცვლელად.

კარდინალი გაჯავრდა ჩემს განზრახულებაზედ; ჩემს ფიქრს უწოდებდა ის სულელურად, რომელიც შესაძლოა მოუვიდეს მხოლოდ

გაუნათლებელის და მახინჯის ადამიანისა. იმან შემაბრალა თავი, რომ ჩემს წარმოდგენით ადგილი შეიქმნა მეორის ბერის ფარეში გრაფი მავე. ჩემთვის დღევანდელი ასე ავსტრიელი და ბერნარდინის დემშე-რეში. რომ დამსჯელობის მოციქულისა და გამოსწორებელნისა: ავრეთვე იმათ მოუშორებლად დიდი დღესასწაული მარიას მეფისა და მეფის ძმა განკრძალვით, რომელნიც ჟრუჟუნით დალევენ მამარჯვებენი.—ეს მტრობას, ეს უხიამოვნებს მეორეს მე, ავადობა და ახლავე უარეს ლხინს ვერას იშოვნი, რომ მომეცემა შენი მეგობრობა და ნუგეშისა, ვრთის ხიტ-ყვით რომელიც იყო ოსვრის, წუწუნი,—და უფრო ნარნარად დამიწ-ყო ადერსი და ხვევნა; მაგრამ ჩემი განზრახვა მტკიცე იყო, იმისმა ასადმა მუქარებამ ვერ შემარყია.

—კარგი, მიიხრა განდიდებულმა ბოლოს: მე ვხედავ, რომ ვერ მო-ვტყუებსამწვანიდა შენი გული მოდოლ. ნებას გაძლევ წახვიდე, მხოლოდ ამ პირობით: დღევანდელ წვეულ მოვიდე ხოდიშე ბარაქში ქმრს გვი-რას, და ქმრს გვარამი იმაღლენტ უნდა მისცე, რომლებიც მე ვყელი ხარო-ბს გვარქუს. მაგრამ ცუდის შერჩებით, რომ არ მოვკლავ და არა რჩება აქაა.—

მე მინდოდა უკვე განმეცხადებულყავე ვიყო, მაგრამ ის ხსიგა და ხსიგა მიზეზებით არ მიმეცადა. იმან მიზეზს ბლისი ხასანხლისა, რომელიც უნდოდა თავისთავს ამყნებინა.

—მე მინდა მეტყოდე ვისხოვრო, მარიამ, მიიხრა იმან: დღე დღე-ზედ მემატება მძლავრობა, მეგვე დედოფალი ჩემი გულის ხათამშოა... მე დავიმორჩილებ იმას როგორც მინდა.—ჰო, არ მე წავხვედრები, არ გავშორდები ფეხით იმათ, რომელნიც ცდილობენ მისცენ ჩემს გზას დაბრკოლება.

—გარდაისარო, მოვახსენე მე იმას: ივავით ხელისუფალი, მოწყალე და კეთილი—მხოლოდ ამ თვისებით შეგიძლიათ დაამარცხოთ დაუ-მორჩილებელი მტერი.

რომელიცმ შემომხედა მე. იმის თვალში ჰხნანდა შეურაცხება და ღიმილში ხიმკაცრე.

—შეწყალება—ხელმწიფის ხათნოებაა, მიმა ხელს. იმან: შენ იქნება ჰშოლი, რომ ეს სიტყვა უფლეკისდნის ქრისტეს მოწაფის პირში, მაგ-რამ იცოდე. რომ ჩემში მეფისხელისმპყრობის წოდებას აუქმებს მო-ნისტრობის მოვალეობა; ჩემს გულში და ფიქრში პოლიტიკა აყრუებს

ხახარების ხმასა. იქნება როდისმე, იქნება ჩქარაც შენ გაიგონო ცულის ცემა და ნახო სისხლის წვეთები.. ამაებში გაამტყუვნე ხალხის უგუნურება. გახსოვდეს, რომ თვითეული კაცის თავი ხმლებით არა-არისრა, ანუ მეტად ცოტა რამ არის თუ რომ მეუწრის მთელი ხალხის ბედს! ეს გახსოვდეს და ნუ გამამტყუვნებ მე, თუ რომ გზაზედ ხშირად შეგვხვდება ხახრჩობელები, ხამგლოვიარო შემთხვევები. მე მინდა, რომ ივანეც განკრძალდეს და განმძლიერდეს; არათუ მე, არამედ თვითონ ივანეც დაუწყებს თავების კვეთას, როცა მოვა დრო.

—ეს სისხლი რომ ხულ შენს კისერზედ იქნება! უთხარ მე შიშით და გულის თრთოლვით, რომელიც წარმოსდგებოდა ამ კაცის გამქვავებულის და შეუბრალებელის გულისაგან.

—რა უშავს, მარიამ, მიიხრა იმან ყმაწვილის ხიცილით. მე თვითონ ხულ წითელი მაცვია. სისხლის ლაქები არ გამოჩნდება ჩემზედ.. მაგრამ დავანებოთ ამ ლაპარაკს თავი; მე ვხედავ არ გეხიამოვნება. მე ქვეყანი ამიტომ გითხარ, რომ მეტად გავეცნო შენს მეგობრობას. იმან კიდევ მიმიკრა გულზედ.

მე მეცდილებით დავაცხრე იმას თავი; ამ კაცს რომ ვმორდებოდი, მე მეგონა, რომ გაწვდა უვანსახვნელი გრგვალი ჯოჯოხეთის ბორკილის.—

რა შინ მოვედი, მე დავაძახებინე ჩემი ნოტარიუსი და მივეცი ხრული ნება გამოვიდეს ხალხი. მტკიცედ განზრახული მქონდა წავსულიყავ შინ ჩემს მშობლებთან და გამეყო ჩემი ქონება ჩემს ნათესავებში. მე იმედი მქონდა დამეტრიალებინა ჩემთვის ბედნიერება; კარგათ დავაიმოვებდი ჩემს დებს, ხასწავლებლებში მივსცემდი ჩემს ძმებს; ქვრივ ობრებს შევეწეოდი, ეკლესიას არ მოვაკლდებოდი და იქნება ამისთანა კეთილის მოქმედებით დამევიწყებინა ხალხისათვის ჩემი წარსული დაწყევლილი დრო და ქცევა.—მაგრამ ამ დროს ერთმა ხამინელმა ფიქრმა გამიტეხინა თავში და ხრულებით დამადუნა:

—ვაი თუ დედაჩემმა არ მიმიღოს? ვაი თუ იმან არ დაიჯეროს ჩემი მოქცევა, ჩემი შენანება? ვაი თუ თავის შვილები მოიმართოს, რომ იმათაც არ მიიღონ მაგალითად ჩემის ავის ქცევისა?.., ან რა ვიცი, ცოცხალნი მყავან მშობლები თუ სიკვდილმა და მწუხარებამ ჩემგამო შთაიყვანეს—იგინი სამარესად?.. ვინ გაგზავნა მალონში ამბის შეხატყობლად? ვის მივანდო ამ გვარი საიდუმლოე? ვინ შეიტ-

ყოს ფიქრი ლედიჩემისა ამ საქმის გამო?

შემოვიდა თურუზა. იმან უმიზეზოდ დაიწყო ცოდვილობა ხან აქეთ, ხან იქით. მერმე გაუბედაობით მითხრა:

—ქალბატონო, ვერასოდეს ვერ მიხვდებით, ვისთანა ზის ქსლდა მამა ჩემი და მიირთმევს ღვინოს.

—განა ძალიან საჭიროა მე ვიცოდე?

—მართალია... ამდენი ხნის აღარც კი გინახავთ საწყალი... მაგრამ თუ რომ ის თავის სახლეულობაში უბედურია, ცოტა ჩვენცა ვართ ამაში დამნაშავენი. ის ისეთივე ლოთი და მახინჯია, მაგრამ...

—გამუზარი! შემეჩვიე მე: დაუძახე, ჩქარა დაუძახე აქა!

ორ მინუტზედ ის შემოვიდა ჩემთან. საწყალს, ტანისამოსი დაგლეჯილი ეცვა, თმა გასთეთრებოდა. თვალნი მწუხარებისა და ლოთობისა ღრმათ დაჩაჩანებოდნენ.—მე ალერსით გაუშვირე იმას ხელი. დაიჩოქა და მიიკრა იმან გულზედ ჩემი ხელი.

—ახ! ქალბატონო!.. ეს მარიონ, ნუ თუ თქვენ მომეცით ნება თქვენის ნახვისა?

—განა ეჭვი გაქვს ჩემში? უისარ მე და ვცდილობდი ამეყენებინა და სკამზედ ჩამომესვა. ნუთუ შენ ჰფიქრობდი, რომ მე იმისთანა დაობებული გული მქონდა, რომ აღარ მოვინდომებდი მენახა ძველი მეგობარი უბედურებაში?... დაჯექ, მითხარ შენი ამბავი; მგონია შენ ჩემს დაზედ ყვავილისზედ იყავ დანიშნული,—და ჯვარიც უნდა დაგეწერა!—

—ოს, ამოიოხრა გამუზარმა: მე რომ მომხდარიყო, რაღა მეჭირდა, რაღათ ვიქნებოდი ამისთანა მდგომარეობაში! ის მამიყვა თავის ამბავს.

—თქვენ ხომ გახსოვთ მარიონ, რომ ერთხელ სალდათები შემოცვივდნენ ლებარონს სახლში; თქვენ და ის ხომ გაიქეცით; მე და ლიზა თქვენსა მიგვიღეს იმათ და წამოგვასხეს ციხეში.—აქ სუდიამ დაგვიწყო გამოკითხვა. ლიზამ უთხრა, რომ ეს ჩემი ქმარია და ღირსია ყოვლის პატივისცემისა; ლიზა ემუქრებოდა, რომ ყველას ჩამოახრჩობინებს, ვინც გაბედა ჩვენი დაჭერა. სუდია პატივისცემით გვექცეოდა, ამისათვის რასაც ლიზა უბრძანებდა, მეც ბანს ვაძლევდი, ასე მეგონა კარგს ვშვრები. სუდიამ გვითხრა მოვითმინოთ ცოტას ხანს, ვიდრე მოწმები დაამტკიცებენ, რომ მართლა ჩვენ

იმისი არა ვარო, ვის დაპატიჟებიათ მოგზავნისა ხალხთაგანაო. ამის დოდინში მარტო მე და ლიზა შეგვიყვანეს ცალკე რიგიანს ოთახში. ეს მესიამოვნებოდა, რომ მოთმენა არ მოვიხმარო ქრისტიანის სუფრას, რომელიც ლოცვებით მომცა იმან.

—ახ! შევჩივლე იმან მხიარულად: რას იფიქრებენ სასახლეშიო, როდესაც გაიგებენ, რომ დიდი გენერალის ქალი დაპატიჟებიათ და იმან თავისი თავი ცოლად გამოაცხადა ეგზეკუტორისაო!—

მე ვუყურებდი იმის თვალებს. იმან ამდენის დიდკაცების სახლები მოიარა, ამდენის სახეები, მიჩვეული იმათი და ყველას ამხანაგი, რომ მე თავი ამერია; ყველა მეშინოდა. მაგრამო, დაუმატა ლიზამ: თუმ-ცა ჩვენს ჩამომავლობის გვარი, მაგრამ მე უბედურებით არ მოვიხ-ნეო მივიღო გული იმისთანა მადლობისა და ყოვლის გულის, რო-გორც შენსი. მე შენი ქვეყა და სახე მომწონსო... ერთის სიტყვით ლიზამ ამისთანა თავი, ისე ნაზათ მიყურებდა, ისე მაცინოდა, ისე მეთამაშებოდა, რომ გულმა მიგიმტკინა და მოვეხვიე შეხლებიზედ... ამ დროს გაიღო ჩვენი ოთახის კარი და შემოვიდნენ დედა შენი და გრაფინია [illegible].

—დედა ჩემი?

—დიახ დედა თქვენი.—სწორედ გრაფინია ამიტომ მოგწვია, რომ დაჰრწმუნებულიყო, მართალი ჩვენი გვარი თუ არა ის მარიამ, რომელსაც შის დაპატიჟებს ისა ცოლადაო.—რა გრაფინიამ ჩვენი გვარი თქ-ვენი და დედასი მეტრიკით გაარჩიოდა; დედა შენმაც დაიწყო ყვედ-რება და წყევლა, რა მიზეზი, რომ ლიზას ეხვეოდი, როდესაც იმის ქალიშვილი პეტერბურგში ყოფილა დანიშნული. ამასთანავე მე მამტყუნებდ-ნენ, რომ შენ იუდაც მოიტყუილა მაცდურის და დეპარტის გაქცევისათ; გეპირებოდნენ, გვითხარი სად წავიდნენო.—ერთის სიტყვით ჩვენ როგორც იყო თავი გამოვართვით და გამოვედით ეზოდგან, მაგრამ იქვე რომ მოლაპარაკეობდა ის მეჭიჭველა. ლიზაზედ დავეშურე კუჩარის წვერს. ლიზა ისე შეშინებული მეკვეოდა, რომ მე ორი წელიწადი ჩემი თა-ვი მედიდურ ქმრათ მეგონა; მე არეარა მეხმოდა, ვერარას ვხედა-ვდი- ჩემი ჯამაგირი საკმაო არ იყო იმისთანა ცხოვრებისათვის, რო-მელიც მოითხოვა ლიზამ; ჩვენს მოდიოდნენ ზევით სტუმრები სასახ-ლის სახლიდან, იმათ მიჰქონდათ ვიდაც ვიყონტი დიდ-დიდები და მარგარი-ტა, გრაფინიას შვილიც...

— ოჰ, ღმერთო ჩემო! შევყვირე მე.

— ქრევთ, მე სრულებით დამაქცევს და გამაღარიბებს და ამის შემა-გვერდითაც შემარცხვინებს და თავზე ლაფი დამასხეს. განაგრძელა გამო-ზარმა მწარეს ღიმილით. ბედნიერება მარიამ,ნუ მათქმევინებ დაწვრილებით ჩემს უბედურებას, ჩემს შერცხვენას? მხოლოდ ამას გეტყვი, რომ ერთხელ მარგარეტას სიცოცხლე ჩემს გულში იყო.— მე შემქმლო იმისათვის გული გამომეგზავნა და გარეგანი მაგისათვის მე არ დამხვდა.: მისვ-ლი თუ არის, მარიამ? მე შემქმლო იმას სისხლით მომკლავს ჩემი შერცხვენის.— მაგრამ მე სისხლში ხელი არ გავისვარე, იმათი დაჭრა ღმერთიზედ მივანდე. თურმე დიდი ხანია რაც ქვეყანაზედ თავ მოჭ-რილი ვიყავ და მხოლოდ მე არ ვიცოდი, ყველას ჩემს ამხანაგებს და მეზობლებსაც ჭკუადნოდათ. მე მაშინ წავედი, როცა ორი ათასი თუ-მანი გამოვწყალა იმ ურცხვმა ლაზამ. მე მაშინვე თავი დავანებე იმა-საც. სამსახურსაც, და ყველა ვცხოვრობ აქ, ხანდაც და როგორაც მომ-ხვდება.— დღეს დამხვდა ბუღმანი თერგზედ მას და ადრე იქიდამ, აქეთ წამომიყვანა.—

მე შევეცოდა და გამიკვირდა კიდეც გამუზარის ყოველმოთმინეური ხასიათი. ამ მაწინჯმაც ხიცილისავე ირბია თავის შერცხვენისა და ბედ-ოხნების მოყვებისა.—

— ახ, მოხიო გამუზარ, უთხარი მე: მომიტევე მე ყოველი მწუხა-რება და უბედურება, რომლების მიზეზიც მე ვარ.— თუ რომ ჩემს უკუღმართ სიყმაწვილეს უკეთესად დავფიქრებოდი შენი კეთილი გული, ვინძლა მე ცოლი ვიქნებოდი ბატონისანის გაცის; მე ნეტავ ქალაქს თავს არ დავანებებდი და ორივე ბედნიერნი ვიქნებოდით:

ხაწყალს გამუზარს ამოუგდა გული, იგი ტიროდა, მეც გული მე-გლიჯებოდა.

— მე ვარ, მიზეზი მაგ ცრემლისა! უთხარ მე გამუზარს. ღმერ-თის ხომ იცის, რომ განაცხ მაზატიებ: თუ არა შენც ჩემს შეცოდე-ბასა, ჩემს დანაშაულსა?:

— შეგრიგდეთ.დავივიწყოთ წარსული-— თუ რომ. შემინდობ,მაგოცე: მე მიყვარ ამის ბაგოცნელად, ის გადმომეხვია.— ბოროტელი კოცნა იყო ეს ამისი, ამ კოცნამ ყველა უბედურება დაავიწყა იმ საცოდ-ავს,—

ჩემო მეგობარო ყოჩიავ, უთხარი მე იმას;ალე ვადი იმ ოთახში,

ტად მარილიანსა და მისაზიდავსა. მაგრამ ამ სახის მშვენიერებას აღე-მატებოდა იმისი ჭკუის მშვენიერება. ის იყო განათლებულის ჭკუისა, საყვარლად მქცევი უკეკლუცოდ, ოხუნჯი უგესლოთ, კეთილის მქნელი უამპარტავნოთ, დახელოვნებული უეშმაკოთ—ერთის სიტყვით ის იყო ერთი უკეთესთაგანი გვამი თავის საუკუნოეში. არასოდეს იმის-სახელი არა ხსენებულა არა მცირედს მიჯნურობის ისტორიაში, იმისი სიხარული ის იყო რომ, რა მიიღებდა სტუმრებს და გაისტუმრებდა, ენახა ისინი კმაყოფილნი და ბედნიერნი; იმისი დაუღალავი ტკბილი ლაპარაკი ასიამოვნებდა და იზიდავდა ყველას ისე, როგორც ანდამატი. აი რისათჳს იყო იმისი სახლი ყოველთჳს სავსე რჩეულის სტუმრები-თა. ის ემგზავსებოდა ჯსწორეთ დედოფალსა, რომელსაც ახლავს თა-ვისი კრება, აქ მიღება ვისიმე დიდი პატივისცემა იყო. მეფის სახლო-ბიდგან დაწყებული ამათთან დაიარებოდნენ ყოველნი რჩეულნი ხალ-ხნი, ვინცკი ბრწყინავდა ჩამომავლობით, ჭკუით, მჭევრმეტყველობით, ოხუნჯობით, მთხზველობით.—ამათში იწყობოდა ყოველი ახალი მოდა და ამათგანვე ვარდებოდა.—ჩემთჳსაც გაიღო კარი ამ სამოთხისა ჩემის მეგობრების მეცადინეობით და მეტადრე ჩემი გერცოგინია მარია დელუინის შემწეობით, ამან პირველის ქმრის სიკვდილის შემდეგ მეო-რე ქმარი შეირთო გერცოგი დემევრეზი. მე არ შემიძლიან აგწერო სიმდიდრე და მოწყობილობა მარკიზა რამბულიეს სახლისა.—ეს იყო ერთი საუკეთესო მთელს პარიჟში. არცერთს ზალას, და ოთახს არა ჰქონდა არც ბუხარი არც ფეჩი: ეკატერინე მარკიზას ისე ეჯავრებო-და და ეშინოდა ცეცხლისა, რომ იმის დანახვაზედ გული უსუსტდე-ბოდა. მთელს სახლს ძირიდგანა ჰქონდა მიცემული მილები, რომლი-თაც თბებოდა იგი. სხვათა შორის ერთი დიდი სასტუმრო ოთახი იყო, გაკრული ლაჟვარდის სავერდით და ჭერი, როგორც ცა მოჭედილი იყო ოქროს ვარსკვლავებითა; ამას ერქვა ლურჯი ოთახი და განთქმული იყო ლექსებში ყოველის პოეტისაგან, ყველა სტუმარსაც არა ჰქონდა ნება ამ ოთახში შესვლისა. მე გამატარეს ოთხი ხუთი ზალა ხალხით სავსე და შემიყვანეს პირდაპირ ამ ლურჯს ოთახში. გული მეტად მი-ცემდა, მე აშფოთებული ვიყავი, თითქოს რაღაც ღრუბელი მიბნელებდა თვალებსა; მე მზათ ვიყავ წავქცეულვიყავ, მაგრამ ვიღასიც ნარნარი პატარა ხელი მომეშველა და თავისაკენ მიმიწია. მე მაკოცეს ორივე ლოყაში, მე დამსვეს; ღრუბელმა განვლო და მე დავინახე გერცოგინია

ტანისამოსი გამოცვალე და შემოდი, შეიტყო რასამსახურსაც ველი შენგან.

პატარა ხნის უკან კამყზარი შემოვიდა ჩემთან ახალის ტანისამოსით, რომელიც მე ამოვარჩიე იმისთვს მაგაზიიდგან. ეს იყო მასხ-ნჯათ ალაგ მეზვენა; ის მოვიხვი გვერდით და უთხარი:

—ყოზეფ, შეიძლება რომ ჩემს ხანში კაცმა დაიწყოს ხელახლად ცხოვრება, თუ რომ მთელი სიცოცხლე უბედური ჰქონია?

—ვინ იცის? ზოგისთვს შეიძლება, ზოგისთვს არარა, მიპასუხა მან ამოხვრით; ჩემთვს ეგ ნეტარება აღარ იქნება.

—რატომ? აბა გავშინჯოთ ყოველი გარემოება. ვსთქვათ, რომ შენ დაგიბრუნეს ორი ათასი თუმანი, რომელიც დაგრჩა ბიძისაგან. შენ წავიდოდი მადრიდში, დაიჭერდი მამი ჩემის ადგილს, რომლისათვსაც ეს ალაგი უკვე სამშიმო და უსარგებლო არის; ახლად ნახავდი ძველს მეგობრებს, ჩვენს მინაურს გერასა, ძველს ამხანაგებს, ერთის სიტყვით იქნებოდი გულ დამშვიდებული.

—ოო, ეგ აუხდენელი სიზმარია, ჰსთქვა იმან ამოხვრით.

—არა ჩემო მეგობარო, არ არის აუხდენელი. ხვალვე გაგიტუმრებ მადრიდში ორი ათასის თუმნით.

კამყზარი მიხვდა, რომ მე გუნებაში მაქვს ამ ფულის ჩუქება. ის გაყვითლდა და აღრეულებისაგან იწყო ტოკვა.

—ნუ მიმადლებ, ყოზეფ, უთხარი მე. უნდა ამასთანავე შემიტყო მადრიდში მშობლები მყავსან თუ არა.

—ცოცხლები არიან ყველანი, მითხრა იმან საჩქაროდ.

—გმადლობ ღმერთო! შევჰკივლე მე რა ავიშვერ ხელნი ცისადმი. მომისმინე ყოზეფ: წახვალ მადრიდში, ნახავ დედა ჩემს, იშუამდგომლებ ჩემთვს. ის დაიჯერებს ჩემს შენანებას, იმისი გული დარბილდება... შენ მომწერ იქიდგან, და თუ დედაჩემი უარზედ არ იქნება, რომ შემიძლიან მეც მოვიდე იქა...—

—გარეგის შერები, მარიონ, რომ პირველად მე მიტუმრებ მადრიდში დედიშენის ფიქრების გასაგებად. მე იმასი მხრით მოველი წინააღმდეგობას.

—როგორ? შენცა მაბატეო და დედის გული არ მომიტყვებს?

—შენმა ნათლიამ გრაფინიამ გარდილომ მოწყალება დანამთენს შენს დებზედა და ძმებზედა, მითხრა კამყზარმა; მხოლოდ ამ პირობით,

რომ შენ სამუდამოდ გამოგდებული იყო იმათის სახლიდგან: ახლა იფიქრეთ, როგორ გაბედავს დედა შენი შენს შერიგებასა და მიღებასა? გრაფინიამ შენი უნცროსი ძმა ესტამიც აქ გადმოიყვანა გვარდიის სამსახურში.—

—კარგი ყოფილა. მე ხვალ უთუოთ გრაფინიასა ვნახავ.

—ოო, თუ რომ გრაფინია მისწერს დედა შენს, ისე მცირედს რასმეს, შენს სასარგებლოდ, მე სრულებით დარწმუნებული ვარ, რომ დედა შენი სიხარულით მიგიღებს,

მე მაშინვე ამოვატანინე ზარაფისაგან ორი ათასი თუმანი და რა მივეცი გამუზარსა, უთხარი: ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენი საქმე კარგათ დაბოლოვდეს; შეაბრალე დედა ჩემს ჩემი თავი, უთხარ, რომ მლოცავი და გლახის მოწყალე შევიქენ. მოულბილე, მოუბრუნე ჩემკენ გული: თუ რომ ვინიცობაა ვერას გააწყობ, შენ შეგიძლიან დარჩე შალოხში, თუ გინდა, და მოიხმარე ეს ფული როგორაც გეჯობდეს, მშვიდობით.—მოვაყვანინე ფოსტის ცხენები და გავისტუმრე გამუზარი.—რაკი გასცილდა ის პირველს ქუჩას, ეტლება პოლიციის სალდათებმა შეუშვეს გზა იზვოშჩიკსა და მანამდისინ არ გამინჯეს ვინა ზის ეკიპაჟში, მანამ არ გაუშვეს ისა.—მე ეს გამოიცდა.

ბევრის ღელვისა და ფიქრისაგან მე იმ ღამესვე სიცხე მომცა, რომელმაც ქვეშაგებიდგან აღარ ამიშვა ორი კვირა მეტი.—როცა მოვრჩი ისევ გულიდგან არ ამოვიგდე ჩემის ნათლიის ნახვა. განგებ მე ამოვირჩიე კვირა დღე, რადგანაც ვიცოდი, რომ გრაფინია სათიდგან მეთორმეტე საათამდის მოსამსახურეებს ეკლესიაში ისტუმრებდა და თითქმის მარტო თითონ რჩებოდა ხოლმე სახლში. ჩემი მღვდლური ჩაცმა და საკუთარი ეკიპაჟი ამ შემთხვევაში უადგილო და საწყენი იქნებოდა. ამისათვის უბრალოთ მოვირთე და ტახტრევანდით მივედი ჩემს ნათლიასთან. კარები დაკეტილი არ იყო, მე ავედი კიბე-ზედ.იქ არავინ არ დამხვედრია; შევედი ზალაში და მივაღწიე იმ ოთახამდის, სადაც ჩვეულებრივ გრაფინია საქმობდა.—აქამდის გულდადათ მოვედი. ხოლო რა მივაღწიე იმ კარებამდის, რომელშიაც ერთის ხელის კვრით შემეძლო გამეღო, რომ დამენახა ჩემი ნათლია, მაშინ ვიგრძენ, რომ ტანში მიმის ყრუანტელმა დამიარა; ცივმა ოფლმა დამასხა შუბლზედ, ფეხები მომეკვეთა და ჩავიხოჩე, გულიდგან ამომავარდა ტანჯვის ამოხვნა. იმ წამსვე მე გავიგე, როგორც ჩემი ნათ-

ლიამ უთხრა მოახლეს: «ნახე, ვიღაც არისო.»

მე წამოვხტი, რომ გამოვქცეულ ვიყავ, მაგრამ კარები გაიღო, მე დავინახე გრაფინია და გვალად დავეცი მუხლებზედ; რა მივიფარე სახეზედ ხელები, მე ვემსგავსებოდი სასიკვდილოთ გამზადებულს დამნაშავეხს, რომელიც ტანჯვით ელის ცულის დაკვრასა.—გრაფინიამ რა დაინახა, რომ იმის კარებზედ დაჩოქილა ვიღაც დედაკაცი, წამოდგა იგი და რა მოვიდა ახლოს, გამომართო ორივე ხელები, გამიხსნა სახე და ჩამომცქეროდა და ვერა მცნობდა. შემდეგ ის უეცრად გადახტა იქით, თითქოს გველს ფეხი დაადგაო.

—ეს შენა ხარ? შენა! შეჰყვირა იმან.

დადგა წამი სიჩუმისა; მხოლოდ ჩემი გულის ძრიელი ცემა ისმოდა. გრაფინიამ მაშინვე გოგო გაისტუმრა. როდესაც მე და ის დავრჩით, იმან ამწია ხმა ამოუღებლივ და შემათრია თავის ოთახში, დაკეტა კარები, მიჩვენა ხელით კრესლა თავის პირდაპირ და მითხრა მითომ დაწყნარების ხმით: თქვი რა გინდა?.. მე მოგელოდი შენა.

—ნათლიავ, შევღრიალე მე.

—დაჯექი,.. ნუ იჩოქებ, ეგ უსარგებლო იქნება. შენ ადრეც კარგი ნიჭი გქონდა კომედიის თამაშობისა, და ეხლა რასაკვირ ველია შემთხვეულებას ბევრი გექნებოდა უფრო განვითარებისა.—

—თუ ღმერთი გწამს, ნუ მიყინავ მაგ ცივის დაცინვით გულსა, უთხარი მე: მე მოვსულვარ თქვენთან, რომ დაგაჯეროთ ჩემს შენანებაში... ენდეთ ზეციერებასა, რომ მე ვიღებ ქვეყნიერებისაგან ხელსა, მინდა ქრისტიანი გავხდე; ნუ მიკრამთ ნათლიავ ხელსა: გქონდეს მცირედი შებრალება ჩემის მდგომარეობისა; მართალია მე დამნაშავე ვარ თქვენთან, ბევრი გაწყენინე თქვენის სიკეთის მაგიერათ, მაგრამ...

—ნუ აგრძელებ ბევრსა, მითხრა გრაფინიამ: მე ვიცი, რომ უცხოთ ლაპარაკობ. მე დრო არა მაქვს ყური გიგდო. მეც მოსულხარ შეიტყო რასა მწერენ შალონიდგან. მე მწერენ, რომ გაგიგზავნია კაცი და მზათა ხარ განუყო შენს მშობლებსა და ძმებსა სიმდიდრე, რომელიც ისე კეთილშობილურად შეგიძინია..- მაგრამ რას უზამ იმ გაუნათლებელ სოფლელებსა; ისინი უკან დარჩენილან თავიანთ საუკუნისაგან... ისინი უარს გეუბნებიან. არა ნდომულობენ არც შენს სიმდიდრეს არც შენს თავსა.... მე ძალიანა ვწუხვარ, რომ მე გატყობი-

ნებ იმათ ჯაზრსა: ისინი იწერებიან, რომ ბევრი გავწითლდით და გა-ვყვითლდით ჩუენის ქალის მერცხვენითაო, რომ ახლა ცოტა ხმა მი-ყრუვდაო და იმის აქ დაბრუნებით, ისევ გაიღვიძებს ჩუენში ის ლა-ფის დასხმაო, რომელსაც აქამდინ არა ზოგამდა ჩუენი ქალიო.

—მაშასადამე, თქუენც აქედგან გვერს უკრამთ ჩემს სახლობას თავიანთ ჯაზრზედ, გრაფინიავ?

—მართალია, არ დაგიმალავ, რომ მე დღესაც მივწერე დედაშენს, რომ ის მტკიცეთ იდგეს თავის ნათქვამზედ და არ მაგიშოს შინა, თუ არ უნდა, რომ დანარჩენს ქალებსაც სახელი გაუტეხოს.—

—ეგ სამაგლობაა, საზიზღრობაა შენის მხრით გრაფინიავ, უთ-ხარ გაანჩხლებულმა და მივიწიე იმისაკენ.—

—მაგ სიტყვებს გაუფრთხილდი შენის საკუთარის ქცევისათჳს, მი-თხრა იმან. მე შენ პატივი გეცი, და მიგიღე. მაგრამ მე არ დაგპი-რებივარ, რომ მოვითმენ შენისთანა ურცხვისაგან მაგ გვარ კივილ-სა. სიბრიყვეს ამ სახლში მეტად ცუდათ ეკიდებიან, და მე ჩვეულება-თა მაქუს პანღურით გავაგდებინო ხოლმე ბიჭებს აქედგან ყველა ბრიყვი.—

—ღმერთი დაგსჯის გრაფინიავ, მაგ შეუბრალებლობისათჳს! თქუენ მოგეკითხებათ ყოველი ჩემი ცოდვა, რომლის მონანებაც მე ესე წრ-ფელის გულით განმიძრახამს და თქუენვე მაბრკოლებთ და გზებს მიხლართამთ.

—მე შენის სულის გზას სრულებით არ დავეძებ, მითხრა იმან: ამბობენ კარდინალი რიშელიე მეტად ზრუნამს შენს საცხოვნებლადაო, იმას მიუწერია შალონში არხიმანდრიტისათჳს დაარიგოს დედა შენი, რომ არ მიგიღოს.

ახლა მივხვდი, რისთჳსაც შეაყენეს კამიზარის ეკიპაჟი პოლიციის სალდათებმა და დაჩხრიკეს ვინა სხედან. გარდა ამისა, ჩემს ავათმყო-ფობაში ორჯერ მნახა ჩემმა ნოტარიუსმა და მითხრა, რომ ჩუმი მეუ-ქარება და ბრძანება ნებას არ მაძლევს გავყიდო შენი სახლიო.

ჰსჩანს რიშელიეს ჩუმი ბძანება მოქმედებდა აქა. იმას არა სურდა ჩემი აქედგან წასვლა.—მე მწუხარებამ დამაღუნა.

—ახლა უსარგებლოა განვაგრძელოთ ჩუენი ნახვა, მითხრა გრა-ფინიამ, და მაჩვენა დაცინვით კარებისაკენ.

მე სისხლი ამივარდა თავში ახალს წყენაზედ.

— მე ორიოდე სიტყვაცა მაქჳს მოსახსენებელი თქჳენთჳს, გრაფინიავ: მე მოველი თქჳენთან დამნაშავე, მაგრამ შენანებით; მოველ თქჳენს სანახავად, რომ იმდენს ამაგთან უკანასკნელი გზაც მოვეცა ჩემთჳს სულის მოსაშოვებლად, და თქჳენც კი დამცინით და ბიაბრუობით დედამიწასთან მასწორებთ! ესე მიღება, ესე ქცევა არის იმისთანა სიმდაბლე, სიბრიყვე, იმისთანა ღჳთის საწყენი საქმე, რომ არც ერთი გლეხის გოგო არ იკადრებდა, არამც თუ გრაფინია, რომლის კარეტაც მოჭედილია დერბებით... მშჳდობით ბძანდებოდე, გრაფინიავ!

ის გაოცდა, გაყვითლდა და გაშეშდა ჩემის კადნიერებით.

— ხომ აღარა გნებავსთ განიმეოროთ სილა? უთხარ მე: მობძანდი, ერთიც ჰსცადე!

იმან ხმა არ გასცა. — მე ზარზაცით, შემუსვრულის გულით გამოვედი ამ ურჯულოს სახლიდგან, სადაც ვეძებდი მოტევებას და შეწყალებას და ვპოვე მხოლოდ წყენა და ბიაბრუობა. —

ტრასტევერანდი მელოდა კარზედა. მე უბრძანე, რომ ლუვრში წამიყვანოს. ათის მინუტის შემდეგ მე ვიყავ კარდინალის კაბინეტში. იმის მცველები მიცნობდნენ მე და ბრძანება ჰქონდათ ყოველთჳს დაუბრკოლებრივ შემეშვით. — ფარდის ახსნის ხმაზედ, ვიღამაც კაცმა აიღო ზევით თავი; მაგრამ ეს რიშელიე არ იყო, — არამედ იმისი სეკრეტარი სოროლენი.

— კარდინალი სად არის! ვჰკითხე მე.

— ოჰ, შენა ხარ მარიონ?

— მიპასუხე ჩქარა, სად არის კარდინალი?... ესლავ მინდა მოველაპარაკო იმას, უთხარ მე მკვახედ,

— არ შეიძლება: კარდინალი თავის დაჩაშია (ქალაქს გარეთ სასახლეში) რუელში შენ ძალიან არეული ხარ, ჩემო საყჳარელო!.. იცი რა მოხდა?.. უნდა მოეკლათ კარდინალი. დიდი შეთქმა ჰქონდათ... რვა აზნაურიშვილი ხელმწიფის ძმით გასტონით უნდა მისულიყვნენ კარდინალის დაჩაში მითომ სანადიროთ, და ნადირი თჳთონ კარდინალი უნდა ყოფილიყო. მეფის კარის ფარეში შალეც გარეულია ამ საქმეში... რათა ხარ ეგრე გაყვითლებული, მარიონ? არ მეგონა, თუ შენ მაგდენს მონაწილეობას მიიღებდი კარდინალში. დამშვიდდი; ის დღესვე ჩამოვა... არა დაუშავებიათ რა იმისთჳს.

—უფრო ცუდი! შევჰყვირე მე: უნდა მაღლივით აეკაფა, ის ქოფაკი!..

—ჩუმათ... გაგიჟდი!... მგონია მე შევცდი შენის მოსვლის მიზეზში; —მე მგონა, რომ, შიშმა მოგიყვანა, ხომ არა ასტეხიარო...

—რიშელიე—საოცრებაა ფარისევლობისა!... ის ჯოჯოხეთიდგან არის გამოსული... მე მოვსულვარ იმიტომ, რომ ქსენი პირში უისრა იმ ქოფაკს...

—აი... დაჩუმდი. სულელო! მითხრა შიშით ხორლენმა: აქ კედლებსაც ყურები აქვსთ... არ გინდა პატარას ხანს გავისეირნოთ ბულვარისაკენ?—

—არა, არა! აქ მოუცდი... ხომ უნდა მოვიდეს აქა?—

—ჭეშმარიტად, მარიონ, შენ ჭკუაზედ შემცდარხარ!...ნელა ილაპარაკე; თუ შენის თავისა არ გეშინიან. მე მაინც რათა მღუპამ!—როგორ? შენ დღეს კარდინალთან საჩხუბრათ მოსულხარ?... დღესა, როდესაც ის ესლა ძლივს გადარჩა სასიკვდილო შიშსა, როდესაც იმას მხოლოდ ერთი ფიქრი აქვს, ერთი სურვილი; გამოარკვიოს და თითზედ დაისვიოს მათი შეთქმულებისა, და დაუკეტოს ყველას გასავალი, საიდგანაცკი შეუძლიანთ გაძვრნენ იმისი მტერნი?—მე ვეღარ მივხვედრივარ შენს ჩვეულებრივს მოხერხებასა. კარდინალი აქედგან მაშინვე პირდაპირ ბასტილიაში გაგისტუმრებს, ანუ მომნანებელთ მონასტერში; გარწმუნებ, სჯობს აქედგან წავიდეთ სადმე მაგ საქმეზედ მოსალაპარაკებლად.—შენი კარეტა ქვეით არის?

—არა.

—მაშ ქვეითი მოსულხარ, მაგ მოქალაქების ცოლების ტანისამოსით?... გარწმუნებ, რაღაც რამ ამბავია შენს თავზედა.—

ხორლენმა ჩამოიყვანა მირსა და ჩაიჯდა ტრასტრევანდში.

ჩვენ შინისაკენ წამოვედით. მე გზაზედ უამბე იმას ყოველი, რაც გრაფინისაგან გარდამხდა, და რაც გულში მედო.

—მარიონ, მითხრა იმან: ნუ თუ შენ კარდინალისაგან ელოდი სხვას უკეთეს რასმეს მოტყუებისა და თვალთმაქცობის გარდა? განა მე არ აგიწერე ადრევე იმისი წმიდა ხასიათები? არათუ შენთან, ის დედოფლებთანაც პირმოთნე და მატყუარია, და შენ მორბოდი ამისთანა კაცთან დასაყვედრებლად რისამე?.. კარგათ იცი, ის ერთის შემობრუნებით, ერთის ამოსუნთქვით გაგაქრობს, ამოაგდებს ამ ქვეყ-

ნიდგან... ან საიდგან დაგბადებია ფიქრად შენანება ცოდვებისა? მა-გისთანა ყინები მხოლოდ ლამაზი ქალის თავში დაიბადების ხოლმე... ან რა ცოდო უნდა შევინანიებანა? ისა, რომ ლამაზი ხარ? ისა რომ ყველა ქალი სმება შენის შურით, იმათ შორის შენი ნათლია გრაფი-ნიაც, რომელიც მუმიასავით ჩამომდნარა ჯვარით?... აბა ერთს საა-თს მიეცი იმას ეგ შენი შავი თვალები, ეგ საკვირველი თმები, ვარ-დები შენის ლოყებისა, სიტურფე შენის ღიმილისა, სიკეკლუცე შენის წელისა, ეგ მშჳენიერი წვრილი თეთრი შენი კელოვეხი, და მაშინ ნა-ხამ რა მოწყალე გულისა იქნება, რა შემბრალებელი იქნება... გარწ-მუნებ არ მესმის, როგორ უნდა გაგძლო შენ შალონში, როგორ უნდა დაგემარხა იქ შენი წლოვანება, შენი ჭკუა, შენი მშჳენიერება?.. წასვიდოდი და მაშინ ნახამდი!...

— რა იქნებოდა? ვკითხე მე.

— მე შევყრიდი ყველას შენს თაყვანის მცემლებს; ამ ჯარს მე გა-მოუძღვებოდი ბელადათ; ავიღებდით შალონსა, — ძალათი ისევ დაგ-სვამდით მშჳენიერების ტახტზედ, ჩჳენ ქვეშევრდომნი შენნი ვიქ-ნებოდით იმ ბრძანების ქვეშ, რასაც შენ ინებებდი... გარწმუნებ, მა-რიონ, კარდინალს ჯერ ამისთანა კეთილი საქმე არ გაუკეთებია, რო-გორც ისა, რომ გზა დაუხსნათამს იმას შენთჳს წასასწვლელად. მა-გისათჳს მე იმას ეხლა პატივს ვცემ, მე კელებზედ ვემთხვევი პირ-ველს ნახვაზედ!... სოლენი იცინოდა საშინლად. —

ოჰ, მეც მივბაძე იმას. ჩემა უჭკუო თავმა დაივიწყა უკვე თავისი ნაღველი და განწირულება.

— თუ დამიჯერებ, მარიონ, ხვალიდგანვე შეუდექი ჯვარის ამოყრას როგორც კარდინალისა, აგრეთვე იმ პატარა ქერა ქალისას, რომელ-მაც ისე გაწყინა.

— ნინონა ლანკლომ... მე ვაცნობებ იმას ჩემს თავსა..,

— წაართვი იმას ყველა თაყვანის მცემლები, და მიაბი შენის ეტ-ლის გორგოლაჭებზედ... მეტადრე შენი სამოცის წლის ნათლია გრა-ფინია.. და იმანა გნახოს, რომ ყველას უყვარხარ, ყველანი აქებენ შე-ნს სილამაზეს, შენს ჭკუას, შენს სახლს, შენს გემოვნებას!... და იტანჯოს, იანჩხლოს და ჯავრით მოკვდეს... ჩემი ქონება შენი ჭირის სანაცვლო იყოს, მარიონ, გააკვირვე პარიჟი ჯოჯოხეთურის განცხრო-მით; მიიღე ყოველი სასახლის ხალხი, გახეთქე ჯავრით თჳთონ კა-

რდინალიცა...

— ჰსწორეთ ეგრე მოვიქცევი! ვჰსთქვი მე და დავუძახე თერეზასა.

— მომიმზადე ტანისამოსი, სამკაული, ბრილიანტები, ვარდები!... უბრძანე მომიმზადონ დიდ მშვენიერი სადილი! მე მცნობსა და მეგობრებს ვიშოვნი!... ყველას დავუძახოთ, ყველანი მოიწვიეთ!.. აქედან მოკიდებული ყოველი დღე უქმია ჩემთვის.. ახ, გრაფინიავ, გრაფინიავ, შენ ჯავრზედ, დედიჩემის ჯავრზედ, მე ლამაზი ვიქნები, მე ყველას სატრფო ვიქნები, მე..არა, მე ბედნიერი არ ვიქნები! ცხელმა ცრემლმა ჩამოირბინა ჩემს ლოყაზედ.—

## ნაწილი მესამე.

იმ დროს ცხოვრობდა პარიჟში ექიმი, გვარად რენოდო, რომელმაც გულხელი დააკრეფინა ყველა ექიმებსა და აპტეკარებსა. ეს ამტკიცებდა რომ ყოველი წამალი სასაქმებელი, რევანდი—სულ უნდა ფანჯრიდგან გადაყაროსო. ეს დარწმუნდა, რომ თუ ძნელს სნეულებას არჩენს გულის მხიარულება და სულის სიმშვიდე უბრუნებს სნეულსა სიმრთელეს. ამაზედ დააფუძნა რენოდომ თავისი წამლობა,—ის ერთის დღის ახალ ამბავს, ოხუნჯობას, ქალაქის ავსა და კარგს შეჰკრებდა ხოლმე და მეორეს დღეს მოუთხრობდა მომატებით, განმშვენებით, შესამებით, კუდებ გამობმით თავის ავათმყოფებსა, როცა იმათ მაჯას უშინჯამდა და ენას აყოფინებდა. ეს კაცი იყო მახვილაკი და დამცინავი; ამის მსმენელნი ავათმყოფნი ივიწყებდნენ თავიანთ სნეულებასა. ეს არჩენდა სიცილით და არა წამლით. ამის წამლობა გათქვა მთელს პარიჟში. ამან ყოველ ექიმებს ჩამოაცალა ხელიდგან ავათმყოფები. ასე რომ ის ველარ ასწრობდა ყველას ნახვასა და წამლობასა. მაგრამ რადგანაც ნიჭი ჰქონდა მოხერხებისა, ამან იპოვნა ღონის ძიება ყველა ავანტყოფი დაეკმაყოფილებინა და თვითონ არ შეწუხებულიყო ამათთან სიარულით. შინიდგან გამოუსვლელად ის ჰსწამლობდა ავათმყოფებს და ესენიცა ყოველთვის რჩებოდნენ. აი როგორ ფიქრობდა რენოდო:

«ეს უფალნი ავათმყოფნი სიცილით კვდებიან ხოლმე, როცა მე მოუთხრობ რასმეს... არ შეიძლება მივიყვანო იქამდინ, რომ ჩემს წერილებმაც აცინონ?»

და რუსმა ექიმმა მიჰყო ხელი ანეკდოტების წერას და გზავნიდა თავის ავადმყოფებთან პაკეტებში! — წაკითხულს წამალსაც ისეთივე მოქმედება ჰქონდა, როგორც გაგონილს.

როდესაც ექიმის ისტორია სასიამოვნო იყო, ის აგრძელებდა მას ხუთ ექვს დღეს, ასე რომ ავადმყოფებს ეშინოდათ არ მომკვდარიყვნენ მანამდისინ იმ ისტორიის ბოლოს არ გაიგებდნენ. —

სხვა ექიმებმაცა ჰსცადეს მიბაძვა რენოდოსი, მაგრამ იმათ იმდენი მოხერხება და ჭკუა არა ჰქონდათ, იმათი ავადმყოფნი ყურს უგდებდნენ მათ, ამთქნარებდნენ და ისოცებოდნენ.

რენოდოს მოსწყინდა წერა და დაიწყო ბეჭვდა. აქედგან განაღვიძა მან აღტაცება გამოუთქმელი. ვისაც ტკივება არ აწუხებდა, იმათაც დაიწყეს წამლის მიღება. რაკი დილით გაიღვიძებდნენ, ავათმყოფნი მიიღებდნენ ხოლმე გამაღვიძებელს ფურცელს (ამისაგან გამოცემულს გაზეთს ეხლა ერქვა), რომელიც ავსებული იყო სხვა და სხვა სასაცილო და სამასხარო ამბავებითა. ხარხარობდნენ და სიცილისაგან გვერდები ეტკინათ. თითქოს მთელი პარიჟი იმან მოწამლა. — მაგრამ რენოდომ ვეღარ გაუძლო წარმატების სიმთვრალეს და პატივის მოყვარეობა არ ასვენებდა მას. ბევრნი, რომელთაც არა ჰქონდათ იმისი ნიჭი ოხუნჯობისა, უგზავნიდნენ მას თავიანთ სტატიებს და ფულსაც აძლევდნენ, რომ დაებეჭდა. ექიმმა მოუმატა სივრცე თავის ფურცელს და იწყო ბეჭვდა ყოვლისა, რასაცკი სასახლეში ეუბნებოდნენ. თუთონ მეფე ლუდოვიკე უგზავნიდა ხოლმე საბეჭდავათ თავის სასახლიდგან. — ამ დროიდგან ფურცელში შეეპარა მოსაწყენარი საკითხავები; პოლიტიკამ განაგდო ოხუნჯობა, ბოროტებამ დაიჭირა ადგილი მახვილ გონიერებისა, ავათმყოფნი ამთქნარებდნენ, აღარა რჩებოდნენ და ისოცებოდნენ ეგრეთვე, როგორც ადრე, ვიდრე რენოდო გამოჩნდებოდა. იქამდის მივიდა ამის ფურცელი, რომ ურცხვად აქებდა კარდინალ რიშელიეს და ახალ მოგონილს სასაქმებელს.

ამ დროს მე მივაწიე იმ შემარცხვენელ სიცოცხლემდის, რომლის აღწერაც ენით ვერ გამომითქვამს, ხოლოდ რადგანაც მე ვწერ ჩემს აღსარებასა, მინდა რომ არა აკლდესრა და არცარა ტყუილი ერიოსრა. რამდენსამე დროებით მე გავხუმრდები და ექიმის ფურცელი აღვიწერეთ დაწვრილებით ჩემს მდგომარეობასა, რომელსაც ჩემს შესარცხვენლად უნდა დავამოწმო და ვსთქვა, რომ ამაში ტყუილი და

მომატყებული არა ურყვიარა.

### გამაღვიძებელი ფურცელი.

### პარიჟი. ენკენისთვის ცხრამეტს.

ახალი ამბავი: ჩუენა გვითქვით, რომ უფროსი და ვენერასი აპირებდა სოფელში წასვლას ცოდვების მოსანანებლად. — ჩუენ მოვტყუვდით! მადმაზელ დელორმა გუშინ ამპარტავნად დაბრძანდებოდა მეფის მეიდანზედ, ოც და ათი ანუ ოთმოცი ოქროს ფრთეხიანი ფარვანები დაჴფრინავდნენ იმის მშვენიერების გარემომ.

«წუხათ, გაფრთხილდით, რომ კარდინალმა არ გაიგოს.

«რომელიმე პოეტი ცისეზედ მისვლას აპირებდა. აილო თუ ვერა!... წადით ნახეთ. —

«ეს ტურფა ღამით დაჴქრილებს ხოლომე მშუენიერს ქვიპაჟს, შებმულის ექვსის თოლმებრივი ცხენებით. ოცი მეტი ცხენოსანი ლაქია დასდევს იმას ქალამტარ ანთებულნი. ჩუენ ვნახეთ, როგორც გაიარა ამ ქვიპაჟმა, გრაფინიაც გადმოდგა თავის ფანჯარაში; მადმაზელ დელორმმა დაცინვით და მედიდურათ თავი დაუკრა თავის ნათლიას. დიდი კაცის ქალი გაცოფებისდა სიანჩხლით.

ვინ უყიდა მარიონს ეს ქვიპაჟი? — სოფლელის მოურავი ფარმაზედ დგას, რომ ჩუენს ბალონს არ მიუროთმევიათ.» —

### ენკენისთვის ოც და სამს.

«ანუ პოეტი ცისეზე ვერ მიჴწევდომია, ანუ ჩქარავე წაურთმევიათ იმისთვის ფრთები. ღამე, ძალიან გვიან, მარიონის სახლის ახლოს უნახავთ ყმაწვილი პრინცი ლაროშფუკო; ბოროტი ენა გვარწმუნებს, რომ ის ნინონის ლანკლოს სახლიდგან არ გამოვიდაო.« —

### ღვინობის თვის რვასა.

«ეს ემხაჴსიება ჴნწორეთ ბოლოვას ხიცხეში. ყურში ჩურჩულებენ: «რას იტყვით მარიონზედ? გინახავთ მარიონი? მიღებული ხართ მარიონთან?»

ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ ესენი არ გაიგონოთ. ყველასი მა-

რიონზედ ლაპარაკობენ, მთელი პარიჟი მარიონს დაჰჩხრევს.

—მითხარ, თუ ღმერთი გწამს, შენ იცნობ მეფის ხაზინადარს ქმერის?

—ჰო, რა იყო?

—ის ხომ იქცევა და იღუპება მარიონზედ.

—როგორ?—

—იმას მიურთმევია მარიონისათვის ამის წოდების დღესა ძჳრფასი სამკაული, შვიდი ათასის თუმნისა

—რას მეუბნები?

—გარწმუნებ.—ეს სულ სასულმწიფო ფულია... მაგრამ აი კიდევ მეორე ახალი ამბავი. მე ვნახე, როგორც გერცოგი ბუკინგემი შევიდა მარიონთან.

—ეგ რასაკვირველია? მთელი ქვეყანა დაიარება იმასთან.

—ეგეც მართალია.

## ღვინობის თვის თხუთმეტს

მილორდი ბუკინგემი უმაგალითო პატივის ცემით ექცევა კეკლუცთა ვენერას. მაგრამ ეს ღმერთი გაჯავრებულია იმაზედ. ამან იცის რომ მილორდი აღგზნებულია სხვა დიდი ქალისათვის ლუვრში.—რა ჰქვიან ამ ქალს?—ჩუმათ... გამოიცანით, თუ შეგიძლიათ, მაგრამ ნუ წარმოსთქვამთ კია, თორემ ხვალ გამოგეღვიძებათ ანუ მატლეში თუ გლეხი ხარ, ანუ ბასტილიაში თუ კეთილშობილი ხარ.»

«ლორდი ბუკინგემი არწმუნებს, რომ ეს ხმები სულ ტყუილია და მარიონიც იჯერებს.»

## ღვინობის თვის ოცს.

მეფის ხაზინადარმა დაუთმო ალაგი. ეს ისევ დაიჭერს ალაგს, რომელსაც მილორდი გარდაახდევინებს ზღვის ტოტსა ლამანშსა. ესე იგი, როცა ის წავა ანგლიაში. გუშინ კეთილშობილი ანგლიისანი ამპარტავნად გამოხატულივით იჯდა მარიონის ლოჟაში ტეატრში. იმან აუმსო მარიონს ზალა ძვირფასების და იშვიათის მებელით და ნივთებით. მარიონს ჰყავს დიდ მშვენიერი ქმარი, რომელიც ეკუთვნიდა ოდესმე საბერძნ[illegible] დე[illegible]ლსა ალექსი კომნინის [illegible],

ოც და ორი ათასი ოქრო მიუღია გერტრუდს ამ ქამარში.

ღვინობის თვის ოც და ხუთსა.

დღეს მილორდს ეძებდნენ თავის სახლში, ლუვრის სასახლეში, მწვანე ალაჩუხებში აღმოსავლეთის ბაღისა რომელიც არის დედოფლის ფანჯრების წინა, ერთის სიტყვით ყველგან, სადაცა იმას ჰქონდა ჩვეულება სიარულისა: მაგრამ ვერ იპოვნეს ვერსად. — მხოლოდ ერთი მარიონი არ არის აშფოთებული იმის დაკარგვაზედ. —

გიორგობის ათსა.

მილორდი ბუკინღემი ჰსტყუოდა, როდესაც გვარწმუნებდა, რომ იმას გული სხვისთვის არავისთვის არა აქვს აგზნებული სიყვარულით, ის ეკურკურებოდა (ქათმებს უკვეთებდა) მადმაზელ დელორმსა მხოლოდ ამიტომ, რომ ამის სახესა აქვს საკვირველი მგზავსება იმ დიდის კაცის ქალთან, ვის სასახლესაც, თუნდა გამოიცნათ კიდეც, არ გირჩევთ წარმოსთქვათ ხმა მაღლა. —

ბუკინღემმა ჰსთხოვა მარიონსა ჩაიცვას ისე, როგორც აცვია იმ დიდებულს და დიდის კაცის ქალსა, ამიტომ რომ მგზავსება უფრო სასაცილოდ იყოს. მარიონი ყველაში დაებაძა იმას: მიმოსვლაში, სიარულში, ლაპარაკში, და თითქმის სალამურ თავის მოსახვევში. — მარიონს ეს მეტად ეწყინა; მარიონსაც დიდი ამბავი იყო იმის მშვენიერებისათვის. მარიონი შეიქმნა მხოლოდ კოპიო. აღტაცება ბუკინღემისა ეკუთვნოდა იქ არ მყოფს ნამდვილსა!

მილორდმა მაშინვე მიიღო მარიონისაგან თავისი გარდადგომა. — ქალმა არ მოინდომა ემსახურნა იმისთვის კოპიოდ. ამ ამბავმა ქალაქში განავრცელა ხმიერება. თვითონ მარიონი გაჯავრებული ყველგან ყვიროდა; ამ ხმებმა მიაღწიეს სასახლემდინ. —

მეფემ ლუდოვიკმა მოისურვა ამ ქალის ნახვა. მოახდინეს განკარგულება წარუდგინონ მარიონი პაჟურათ ჩაცმული, პატარა ცერემონიის შემდეგ, ძილის დროსა. — მოითმინეთ! ჩვენ მივაწევთ დაწვრილებამდინ.

გიორგობის ცამეტს.

დაჰკრა თორმეტი სასახლის კედლის საათმა. მეფე ლუდოვიკი

ხალხთში ესალმება თავის დაკვრით დარბაისელ ხალხსა, რომელნიც იმყოფებოდნენ მეფის ტახტთ გვერდის შატრაფა დარბაზის ყურს. და მეფის მეჯლიში ულოცავს იმათ გარეშებს და წარმოთქვამს ნუგეშისმცემ სიტყვებს:

— გამარჯვებით, უფალნო! მეფეს სურს მოხვეწნებს!

ხალხი გამოდის. მთავარი მსახური იძახის. გარეც აქვს ნება თავისუფლად შესვლისა სასახლეში. გამოქვეყნებული თავის ჯარისკაცის მეფე-ზე; შემდეგ შემოდის გამომწვევი ორის თქმის ფეხებით. რომლებ-ზედაც დევს ერთი სადღესასწაულო; ამასი ერთი გამოცხადებულია წყლითა. მეფე წერს ინახს, იწყებს. ამდენს ბრძანებას ორა დროს გადავიდოდნენ, და თითოეულ უყვარს—ზარის ფარდების ბედნიერის გარედა. გამოქვეყნებისა სამეფოსა მის, რომელის უკან მეფე ნაწყა ლოცვის-ში, და გამოდის.

— მეფევ, მოახსენა ბედნიერმა: ზარი ელის თქვენის ბრძანებასა.

— წადი და შენ თვითონ მოამზადე ის ახლა, უბრძანა მეფემ.

ბედნიერი გადის გამოცხადებით გარემოდგან და ორა გზა ისარის ტალახს, შევა სადღესასწაულოს თაობაში. სადაც ერთი ხანით მარტოდ მოგვარეს ჭკვიანი მშვენიერი ქალები, რომელიც სიცილით გვიყვარდა. მეფის ზარის ფარ-დების ჭკვიანი, რომ ორის დღესში გოგონი მეუღლეას გაათავის ეს ქმაწვილი, რომელიც—ნაჭერი მცირედი მარტოებისა.

— წამომყევით... მეფის საწოლში უნდა თქვენ.

— კარგი რომ იქ მაინც თბილა! მაგრამ რა უნდა ჩვენგან მეფეს?

— მეტადრე ამ დროს, დაუმატა ბედნიერმა: მართლად საკვირვე-ლია; მე თვითონ არ კარგად ვიცი ჩემს გონებაში: მე ვიცოდი არა მჯერა, რომ ამ დროს მიიყვანს უმაწვილ მეფესთან მშვენიერებას ღამ-ით.—აი რისათვის მინდა შენი კაცები. მარტოს... უნდა გიყვარდეთ დავ-აჯეროთ, რომ არა მმართებს... შენ მოგიწოდებენ მე იმ საქმეს, რომელიც მე არ მეთქვეროს; სიმართლე მოგიხსენო, რომ ჩემი თავი დავიწყებული... დამშვიდებული იყავი: მეფე გარეთ დაინახავს.—

— სწორეთ მითხარი, მოხრია ბედნიერო, მეფეს აქვს გაღვიძებუ-ლი...

— მაგისი არავინ ვიცით და ვერავის გვეყვა, უპასუხა ბედნიერ-მა: ზოგი ამბობს ჭკუ, ზოგი არაფ... იქნება მართალი და ტყუილი შენ გაიგო—. ბედნიერმა შეიყვანა მაღლიანად ლოგინში მეფის საწო-

ლში, და უნდოდა თჳთონ გამოსვლა. ფარდა ნელა გაიწია.

—არა, არა, დარჩი აქა! უბრძანა მეფემ ბელგარდს. და მოართვა სკამი... უფალს.... მეფემ ისევ ჩამოაფარა ფარდა.—მარიონმა ჩუმის დაცინვით ცხვირი აიწია. ბელგარდმა ერთი სკამი იმას დაუდგა, მეორეც თავისთჳს დადგა იმის ახლოს.

—უფალო, უბრძანა მეფემ: მართალია, რომ ერთი შენი მცნობი ქალი მიიღებდა ხოლმე ანგლიის ელჩსა ბუკინღემსა?

—ტუილის პაჟმა კიდევ ცხვირი აიწია და არა უპასუხა მეფეს.

—ვისა ხარ შენა? ჰკითხა მეორეთ მეფემ: მაგრამ არა, ეგ უსარგებლოა; მხოლოდ მიპასუხე მე, შენ მადმაზელ მარიონს იცნობ?—

—მე თჳთონ გახლავარ მარიონი.

—მე ეგ არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე! ბელგარდმა მიიღო ბრძანება მომგვაროს პაჟი, რომელმაც იცის და უნდა მითხრას რამდენიმე საჭირო ცნობანი... მე ვეკითხები იმ პაჟს და იმისაგან მოველი პასუხსა და არა მარიონისაგან.

მარიონი აითო მუხლებისაგან და უპასუხა:

—მეც არაფრით არა ვარ დარწმუნებული, რომ ველაპარაკები ჩემს მეფესა. თუ ღირსსა მყოფს მეფე და თავის სახეს დამანახვებს... ფარდა შეირხა და უფრო ერთიმასნურის გარდიფერინი იმის წვერები.

—ბელგარდო, დაუფიცე მაგ უფალს, რომ ეგ იმყოფება მეფესთან.—

—გეფიცები ჩემს სულს, სასარებას, მამაპაპის საფლავს!

ბელგარდი ტუჩებს იკვნეტდა, რომ არ გაეცინა ამ ფიცის წარმოთქმაზედ.

—კმარა, უთხრა მეფემ. ამ დროს იმან გამოყო ჴელი ფარდებიდგან და სტოლი დააკაკუნა.—

—არა გშიან, უფალო? ჰკითხა მეფემ.

მცირე ალაგი ჩემის ფურცლის ნებას არ მაძლევს განვაგრძელო ეს სასიამოვნო ამბავი და იძულებული ვარ ხვალამდის გადავდო.»—

## გიორგობის თორმეტს.

სტოლზედ მოართვეს სუპა და სხვა ნადირის ხორცი ცივად. ერთი ბოთლი სერესი და ბევრი რამ ტკბილეული.

—ჰსჭამე რამ, უთხრა მეფემ პაჟსა. ბელგარდი გაგიწევს კამპანიას

ბელგარდმა დაუსხა მარიონსა რუმკაზედ ხერესი და თავისათვისაც დაისხა.

—დავლიოთ მეფის სადღეგრძელო, უთხრა მან.

—სიხარულით, უპასუხა პაჟმა.

—ჟუჟალო, უთხრა მეფემ: მაშ ეგ მართალია, მადამაზელ დელორ-მსა ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა გერცოგ ბუკინგემთანა?

—სრულებით მართალია, უპასუხა პაჟმა, რომელიც თავის თეთრის კბილებით ჰსძიძგნიდა მწყერსა.

—კარგი... მგონია ესლა კი შემომწყრალან?

—შემომწყრალან სიკვდილამდინ.

—რათა?

—გერცოგი დევანდის... ის აძლევდა თავის თავს რაღაც აუხრე-ლებელს იმედსა.. იმას თავში სხვა ფიქრი ჰქონდა...

—იმედსა... შენ მაგაზედ დარწმუნებული ხარ? ჰკითხა მეფემ.

—სრულებით, უპასუხა პაჟმა, და დასცალა რუმკა. ბელგარდმა კვა-ლად აუვსო ხერესით.

—ამბობენ, მითომ მადამაზელ დელორმი ლაპარაკობს, რომ გერ-ცოგს უთხოვნია იმისთვის ჩაიცოს სოლმეხოსანი ხავერდის კაბები?..

—მართალი გასლავს, მეფევ.

—შუბლზედაც ზურმუხტის ჯიღა გაიკეთოს სოლმეო.

—დიახ, მეფევ.

—მითომ ღამით გერცოგი თავის ხელით აჭმევდა მარიონსა თავზედ კრუჟევის ლეჩაქითო.

—დიახ. ეგ დაწვრილებითი ამბავი სულ მართლად მოუხსენებიათ თქვენის დიდებულებისათვის—აბა მეც მაგაზედ განვანხსნელდი! შეჰყვი-რა პაჟმა, რა დასცალა მეორე რუმკაცა.

—რა იცოდა მადმუაზელ დელორმმა, რომ მეორე...გვამსაც, რომელსაც წარმოადგენდა მარიონსი. ჰსძინამს ხოლმე მაგგვარის თავზედ მოხსა-ვევით? ჰკითხა მეფემ ერთის, არეულის ხმით.—

—მილორდს ჩვეულებათ ჰქონია ძილში ბოდვა, უპასუხა პაჟმა: ერთი საწყალის ქალს აუწერია იმისთვის დაწვრილებით ტანისამოსი, რომელიც მე მოითამდა ხოლმე ისა. როდესაც განვლო პირველმა საძინლის წამმა. მე მავწერე მილორდს, რომ ეს ისტორია მეტად სასაცილოა და ყველას გადუგზავნი, ვინცკი უარს დამიჯდეს.. ხა! ხა!...

ხა!... სიკჳდილამდინ არ დამავიწყდება ვიცინო ამაზედ.—უეცრად ფარდა გარდაიხსნა და მრისხანების სახით მეფე წამოჴდა ლოგინიდგან.

—უფალო, შეჰყვირა იმან; შენ შეგიძლიან უთხრა იმ ურცხვს დელორმსა, რომ ის დამთხვეული და უჭკუო არის!

—რათა? წაილუღლუღა პაყმა. იმას ჴელიდგან რუმკა გავარდა და განკალით უყურებდა განრისხებულს მეფესა.

—უთხარი იმ ნამუსიანს ქალსა, რომ ერთის მიღმა წამოვარდნილის სიტყვით არ აგრძელებენ მაგ გვარს ისტორიას.

—მართალია, ჴელმწიფევ, მაგრამ....

—უთხარ კიდევ, რომ, ჩვენ უბრძანებთ იმას ეხლავ წავიდეს საპყრობილეში შატლეში.

—შემიწყალე, მეფევ!

—იქ უნდა ელოდეს ის, ვიდრე [illegible] რომელიც გადასწყვეტს იმის ბედსა... იმასაც ჩვეულებრივ სხვის მკაცრად დასაჯოს დამნაშავე სამაგალითოდ და სხვების შეუპოვრების საჩვენებლად, როგორ უნდა პატივი სცენ ჩვენს სახელსა და როგორ შეიმაგრონ თავიანთი ლიკლიკა ენა... შენ გაბარებ, ბელვარდო, რომ ეს ქალი არსად გაიპაროს... გმადლობ ცნობისათჳს, მშვენიერო პაყო.—დასჯამდინ მე მინდა შემეტყო სიმართლე მაგ საქმისა.—მე შენთან საქმე აღარა მაქვსრა... ღამე მშვიდობისა!... ფარდა ხმაურებით ჩამოეფარა, მაგრამ პაყმა მიიღო გამბედაობა, მეორეთ გარდასწია ფარდებს, წაავლო მეფეს ხელში და აკოცა...

ლუდოვიკო ამაოდ ცდილობდა გამოეგლიჯა თავისი ჴელი; პაყმა რამდენჯერმე აკოცა იმას მოწიწებით და ჰსთხოვდა იგი:

—ბედრები თქვენო დიდებულებავ, მოისმენეთ!

—გამიშვი!

—გემუდარები, ნება მომეცით....

—გეუბნები, გამეცალე მეთქი აქედგან უფალო!—

—ვერ გაგეცლები! შეჰყვირა პაყმა, რა აიწია თავი მაღლა: მე არ გავალ აქედგან! მეფემ მომიპატიჟა მე აქა, მე იმისი სტუმარი ვარ., ჯერ ვახშამი არ გამითავებია.—

ამ სიტყვებით მარიონი გვალად დაჰჯდა სტოლზედ, და აიღო რუმკა ხერესით.

—დავლიოთ მეფის სადღეგრძელო, უფალო ბელვარდო... ნუ

მანიშნებ, რომ მე გავჩუმდე... შენ მომიწვიე მეფის სახელობით სასახლეში. აი მეც აქა ვარ! ახლა, რაკი გიჩმამი მაჭკამეთ, მეფეს სურს გამისტუმროს საპყრობილეში...! ეგ არ შეიძლება და არც იქნება! მე აქ დავრჩები და იქამდე არ გავათავებ გაჩმამს, მანამდისინ მისი დიდებულება არ ინებებს გამოცვალოს თავის მრისხანე ბრძანება ჩემის დაჭერის გამო.

მეფე გაოცებით უყურებდა პაჟს.

—უფალო, უთხრა მან: ეგ ასეთი შეუპოვრობა არის...

—რომლისათვისაც უმორჩილესად ვითხოვ თქვენის დიდებულებისაგან მოტევებასა; მე არ შემიძლიან სხვაფერივ მოვიქცე... საპყრობილეში! მადლობას მოგახსენებთ. იქნება იქიდგან გამომიშონ როდისმე, მაგრამ ასეთს პირობას ჩამომართმევენ, რომლის ასრულებასაც მე ვერ შევიძლებ.. გარდა ამისა, ნუ თუ თქვენი დიდებულება ეცდება წააქეზოთ გარყვნილებაში თქვენი ტყუილი—წმინდა კარდინალი?

—ღმერთსა გვფარავს, შეჰყვირა ბელგარდმა: შესაფერი სახელი ამოურჩია ამან კარდინალსა!

—რა გინდა ჰსთქვა მაგითი, ლამაზო პაჟო? ჰკითხა მეფემ ცოტას მოღიმებით.

ეს შეამჩნია პაჟმა.

—მე ამითი ეს უნდა მოგახსენო... მაგრამ ჯერ მეფური სიტყვა მომეცით, რომ ციხეში არ გამგზავნით.

—გაძლევ მაგ სიტყვას, უფალო.

—მერე რომ ყოველი ჩემი ნათქვამი კარდინალს უამბოთ, ვინ მეყოლება თავდებათ ჩემის თავისუფლებისათვის? მოახსენა პაჟმა.

—არა, არა... კარდინალი არას შეიტყობს გეფიცები, უთხრა მეფემ. ის აღარ იმალებოდა ფარდებით და ვეღარც თავის მოუთმენლობას ჰფარავდა.

—ჰსთქვი: ჰსთქვი, მარიონ!

აი ჩვენმა ქალმა ვაჟის ტანისამოსში დაიწყო მოთხრობა გრძელის ისტორიისა კარდინალზედ, ზოგი მართლისა, ზოგი თავისაგან შედგენილისა, რომლის მოსმენითაც მისი დიდებულება ლოგინში ტრიალებდა და იფსრიწებოდა სიცილითა და პირიდგან ჰსცვიოდა იმას განმეორებითი სიტყვები ამ გვარნი; «ჰაი ის ბებერი ქმაკი! ჰაი ის ბებერი ქმაკი! ჰაი ის თვალთმაქცი! მართალს მეუბნები? აბა რას

ვიფიქრებდი მე მაგეებს იმისაგან!... როგორ? მართლა იმას უნდოდა?... ოო, გაგისუჭნი იმას ჩემს წიგნში ფაფთან!...»

ბელგარდიც სარხარებდა რაცა შეეძლო. რა ხედამდა თავის მეფეს მხიარულად. ლუდოვიკმა მოითხოვა ხერესი და დაიწყო რუმკების მიჯახუნება მეჩურჩნეურს მომთხრობელთან. იმის დიდებულება აღარ ქუმხებოდა იმას უფალთ; იმან დაუწყო ხასხლის წოდება მარიონ, მერმე ქუბნებოდა, «შენ,» შემდეგ გამოართო იმას ბეჭდი და დიდხანს ეჭირა თავის ბელში; კიდევ შემდეგ თვითონ მეფემ უამბო მარიონსა, ვისშიაც ყოფილა შეყვარებული კარდინალი, ესე იგი პირველად შეყვარდა გერცოლინია მარია დემევრუზით, მერმე მადამ დუეპარჟი, მადმაზელ მონმორანსი და მრავალნი სახასხლის ქალებითა, და დაამთავრვა ამ სიტყვებით;

—იცი რა, მარიონ? შენ ძალიან ლამაზი ხარ! და ის წყეული რიშელიე... შენი ციხეში ჩასმა არ შეიძლება.

შემდეგ რა მიუბრუნდა ბელგარდსა, ლუდოვიკმა უბძანა:

—დაგვანებე ჩვენ თავი, მელო მეგობარო, გადი აქედგან!

პირის ფარემმა აღავლინა თვალნი ზეცისადმი სასაცილო გაოცებით და რა გამოდიოდი ჰფიქრობდა: ესლა მეც დავიჯერ იმათ მხარეს, ვინც ამტკიცებდა ჭკუა!

მარიონმა საჭიროთ დაინახა მორცხვობით მისი თავი დაეხარა და ეთქვა ნელის ხმით: მეფევ, ახ მეფევ... არ ვიცი შემიძლიან ნება დავრთო...

—შენ ვერასოდეს ვერ მიხვდები, ჩემო საწყალო მარიონ, რა უნდა გითხრა.

—მომიტევეთ ბელმწიფევ. მე თითქმის მივხვდი, მოახსენა მარიონმა პრანჭვით.

—მიხვდი?... აბა მითხარ?—განა რომ საკვირველია?

—არა მგონია.... ის უფრო გამიკვირდებოდა, თუ რომ არ დაგეთხოვათ....

—მართლა?

—რასაკვირველია. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავ რომ ციელს გიგონებდნენ.

—როგორ? რაში მიგონებდნენ ცოლსაქმრობისა მეფემ.

—პარიჟში ბოროტი ენა ბევრია... მაგრამ მე ერთი წამიც არა

მქონია ეჭვი, რომ თვრამეტის წლის ყმაწვილი კაცი...

—ეე, რაზედ ვლაპარაკობთ ჩვენა?

—როგორ თუ რაზედ?

—ჰო, რაზედ?

—თქვენმა დიდებულებამ უკეთესად არ იცის რაზედაც?—

—რასაკვირველია მე უკეთესად ვიცი! გესმის მარიონ? მე არ მინდოდა მეთქვა ბელგარდთან... ის ეცდებოდა გამეშფოთებინე... მე ვიცი იმისი ხასიათი.—ის დამიწყებდა ყვედრებასა, რომ მე ვითმენ ამ გვარს კადნიერებას... მაგრამ იცოდე, ჩემო საყვარელო: კარდინალი დიდი პოლიტიკოსია; ჩემთვის საჭიროა იმისი სამსახური... ამასთანავე იმას არა ვრაცხავ მეტად საშიშრად... ის ჩემის ცოლისაგან უფრო ცოტას გაიტანს, ვიდრე შენგან და გერცოგინია შევრეზისაგან. მართალს არ ვამბობ?

—მეც ეგრე ვჰფიქრობ, მოახსენა მარიონმა გაოცებულმა ამის გაგონებით. აღარა გაქვსრა ჩემთან საიდუმლო საბძანებელი, მეფევ? მაშ შემიძლიან ბელგარდს ისევ დაუძახო?

—მოიცადე ჯერ... წარმოიდგინე, მარიონ: კარდინალი ღამის მოსახვევზედ უფრო ჯავრობდა!

—მართლა? ეგ ძალიან სასაცილოა!

—იმასა ჰქონდა ორი ნაირი მიზეზი ეჭვისა... ხა! ხა! ხა! იმან რომ იცოდეს, შენ რომ ესლა ჩემთანა ხარ აქა!...

მეფემ სრულებით მიითრია მარიონი თავის ქვეშაგებთან. ქალმა მორცხვობით ნელა უკან დაიწია.

—ოო, დამშვიდებული იყავ, შვილო ჩემო, შენ შიში არასი გაქვს.

—მე მაგაზედ სრულებით დარწმუნებული ვარ, ხელმწიფევ.

მეფემ მარიონის ხელი გაუშო, მიდო ბალიშზედ თავი და უთხრა დამთქნარებით:

—შენ ლამაზი ხარ; რასაკვირველია, აქ ეჭვი არა არისრა... მაგრამ ღმერთმა დამიფაროს წაგაქეზო... გარყვნილების გზაზედ... მერწმუნე თუ გინდა დაიჯერო ჩემი რჩევა, მოინანიე შენი ცოდოები...

—კარდინალი რიშელიე წინაამდეგია მაგისი, მეფევ.

—აა! მაშ ეგ სხვა საქმია... მე მხოლოდ მინდოდა შენს სასარგებლოდ... მილორდის ისტორიის გამო... ნურარას იტყვი... ეგ კარდინალს აცეცხლებს.

—დიდი უბედურებაა!

—შენთჳს იქნება დიდი უბედურება... რადგანაც ბელგარდს არ ესმის ჩუენი ლაპარაკი, მე შემიძლიან გითხრა შენ, რომ მე ყოველთჳს ნება არა მაქვს ისა ვქმნა, რაც მინდა... გარწმუნებ: მე მეშინიან შენსგამო: შეიძლება შენ აქედანვე ციხეში გაგისტუმრონ. მეფეს ყოველს სიტყვაზედ ამთქნარებდა.

—თქუენ ხომ სიტყვა მომეცით, მეფევ! შეჰყვირა მარიონმა შიშით.—

—ოო ჩემი სიტყვა... კარდინალი.. კარდინალი, რა ვქნა? მე მაგ საქმეში ხელებს ვიბან... ძილი ნებისა!

—თქუენ არ დამპირდით ხელმწიფევ...მარიონს არ დაესრულებინა ჯერ ეს სიტყვა, მეფე უკვე ხვრინავდა.—

## გიორგობის ცხრამეტს.

მთელი პარიჟი, წინებურს მარიონზედ ლაპარაკობს და ჩუენც იმედებული ვართ იმასვე დაუბრუნდეთ. გუშინ ამ ტურფას შეუკრებია ყოველი თავის თაყვანისმცემელნი; სულ ოცდა ცხრამეტი ყოფილა.

—უფალნო! უთქვამს იმას: კარდინალი მიცხადებს მე ომსა. მზათ ხართ თქუენა დამიფაროთ მე?—თუ არა, მე გავალ ამ ქალაქიდგან. ყველანი დაჰპირდნენ ებრძოლონ იმის გულისათჳს მინისტრსა. მაგრამ კარდინალს მარიონისათჳს არა სცალიან: ის ყურსა და თვალს ადევნის გრაფ შალესა.

## ქრისტეშობის პირველს.

ხმალში გამოთხოვნა გამრავლდა. საჭიროა გამოიცეს ამაზედ მკაცრი კანონი, რომ მოუღოს ბოლო ამდენ კეთილშობილთ უმაწჳლკაცების ჟლეტას. ამბობენ ეს მეათე დუელი გადუხდია ფრანსუა მონმორანსის იმათთან, ვინც ჰბედამხო თაყვანის ცემის გამოცხადებას მარიონისას. თუ რომ ყველა საყვარელს მარიონისას ის ამოჰსწყვეტს, უთუოთ სახელმწიფო დაობლდება კეთილ შობილებით.

## ქრისტეშობის ოც და ორს.

სასურველი ბრძანება დუელისაგამო გამოუციათ. მონმორანსი და-

მადლობა. მარიამს არ შეუმცნევია იმის განშორება.

იანვრის 2-ს.

აი ბრწყინვალე საჩუქრები, რომელიც მარიამ დედოფალმა მიიღო ახალ წელიწადს. 1) რვა დიდრონი ჩინეთის ფაიფურის ვაზა ძვირფასები; 2) საუბეური მარგალიტის მძივებისა, მშვენიერის წყლით. 3) წყვილი არაბეთის ჯიშის ცხენი; 4) მარჯნის დიდი ყუთი ოქროებით სავსე; 5) სავერდის ტახტრევანდი,—შიგნიდან ფარჩით და სრმა ოქროთი დაფერილი. 6) მრავალი წვრილმანი ნივთეულები და ძვირფასი თვლები. ერთის სიტყვით ყოველი საჩუქარი დაუფასებიათ და შემდგარა ოცდა ხუთი ათასის თუმნისა. მომართმევეებში ბევრი ევარადრებიც ყოფილან კარდინალიდგან დაწყობილი. მშვენიერი დაწყობილებაა ახალწელიწადი: იმ დღეს შეირიგა მარიამმა გერცოგი ბუკინგემიც და მეფის საზინადარი ემერიც. მაგრამ ქარის მოტანილს საფქვავში, ქარივე წაიღებსო.—

ახლა ისევ მე ვიწყობ ჩემი ისტორიის წერასა.—

რასაკვირველია, მე ვცდილობდი არ წამეკითხა ეს გასაღვისმარი ფურცელი (გაზეთი). მაგრამ კეთილნი მეგობარნი თავიანთ ხელით მომიტანდნენ ხოლმე. მე იმ დროს ბევრი წყენა და ჩუმი მწუხარება გამოვიარე ამ ამბავების ბეჭდვითა.

ამ უკანასკნელის საჩუქრების გამოცემის მეორეს დღესა, მე მივედი ქიმ. რენოდოსთანა მოხელაპარაკებლად. ეს დიდ სულოვანი კაცი დამპირდა აღარას დავბეჭდამ შენს გამოვო და მიიღო იმან შრომის შემსუბუქებინა ჩემი ქისა ორი ათასის თუმნის მოკლებით, რომლითაც ვიყიდე იმისი სიჩუმე.—რადგანაც ამის შემდეგ ჩემზედ აღარა იბეჭდებოდარა იმ გაზეთში, ამისათვის ყოველ დილით რაკი გამოვიღვიძებდი, ვკითხულობდი ხოლმე იმას. ერთხელ მე წავიკითხე შემდგომი:

«კიდევ მეტი! კარდინალმა ყველა გამოაჩინა: გერცოგინია დეშევ-«რეზი ბლოუაში გაუსტუმრებიათ, და გრაფი შალე გაქცეულა. ამბობენ «რომ ამ შეთხზვას გამო გრაფინიასთვის წაურთმევიათ ერთი გრო-«ვა წერილები, მეტად საძაგლები... მაგრამ ჩუმნი უნდა გავჩუმდეთ «და შევიბრალოთ ქმრის გულები; ღმერთმა ჰქმნას ეს კეთილი კაცი «დაბრმავდეს და დაყრუვდეს!»—

მარია დეშევრეზი ყოველთვის ჩემი მოწყალე და კეთილი მეგობარი,

იყო. მე ვერას უშველიდი იმას დამებრუნებინა ბლუჯადგან; მე მხოლოდ შემეძლო გამეჩუმებინა რენოდის გაზეთი იმის მარხვის გამო. იმან დააფასა თავისი სიჩუმე სამას თუმნათ,—თითქმის მუქთათ.—

ბევრი ანეკდოტები იწერებოდაამ გაზეთში ერთს ანდრიას ლედელზედ, რომელიც ყოველ კვირას ქადაგებდა სხვა და სხვა ეკლესიებში რიგით.—ზოგი ერთი ამის ქადაგება შეიქნებოდა ხოლმე ერთი კვირის საცინელი ამბავი. ერთხელ ის ქადაგებდა მარია მაგდალინას ცოდოებზედ.

—ახ! მოწყალენო ხელმწიფენო, შეჰყვირა იმან უეცრად: რამდენი თქვენგანნი ემგზავსებიან იმას?... უყურეთ, მე ვხედამ თქვენში ერთსა, სრულებით იმის მგზავსსა; ხოლო რადგანაც ეგ არ ინანიებს ცოდოსა, მე მინდა შევარცხვინო და თავზედ ხელსახოცი გადავაფარო. მქადაგებელმა აწია ზევით ხელსახოცი,—ყველა დედაკაცმა თავი დაიღუნა,

—ოჰო? ჰსთქვა იმან: მე მეგონა, რომ მხოლოდ ერთი ემგზავსებოდა მარია მაგდალინას, თქვენ ასიც ყოფილხართ.—

ერთხელ დიდმარხვაში, მამა ანდრიამ მოინდომა დაემტკიცებინა, რომ სამარხო საჭმელი სასარგებლო სხეულისა სიმრთელისათვის.

—თქვენ არ გიყვართ მარხვის შენახვა, მოწყალენო ხელმწიფენო.. თქვენ ამბობთ, რომ მარხვის საჭმელისაგან ჰყვითლდებით და ჰხდებით.—აი შემომხედეთ მე, იმან გადიშიშვლა მსხვილი, მარღვიანი მკლავი და აწია ზევით ყველას დასანახველად; მე ყოველ დღე მარხვას ვინახამ, მაგრამ, აი ეს ყველაზედ პატარა ასო არის ჩემს სხეულში!—

ის უშლიდა სამიჯნურო წიგნების კითხვასა და ერთხელ ჰსთქვა:

—ტყუილათ უშლი მე დედაკაცებს, რომ სამიჯნურო წიგნები არ იკითხონ; მაგრამ რაკი მე მოვბრუნდები და ზურგს მივაქცევ, ისინი მაშინვე ცხვირს იქვე ჩაჰყოფენ ხოლმე იქა!—სახელი ამ მქადაგებელისა გავარდა ყველგან. მთელი პარიჟი იკრიბებოდა ხოლმე იქ, სადაც ის ამბობდა ქადაგებას. მეც შევესწარ იმას ერთხელ. ის ჰსწყევლიდა და აჩვენებდა თავის ქადაგებაში ტეოფილსა და დებაროსა, რომელთაც დაებეჭდინებინათ და გამოეცათ წიგნი, სადაც უღთოებას და ურწმუნოებას ამტკიცებდნენ ისინი! მართლ მსაჯულოებმა ქმენდა ამის მთხზველებს დასაწველად მოედანზედ როგორც წიგნებისა, მერეთვე იმათისა, მაგრამ ვერ მიაგნეს. მე მამა ანდრიამ ასის თუმნის

დაპირებით საეკლესიოთ, მასწავლა საიდუმლოდ იმათი სადგური. ისინი იყვნენ დამალულნი ბნელს ღრმა სარდაფში ვიდრე წიგნების მყიდავისას. მე ვნახე ისინი. ჩამომხმარნი, ჩამოყვითლებულნი სიღარიბით და სოტლიოში ჯდომით.—ბევრი იტირა დებარომ ჩემს ნახვაზედ; ნანობდა ჩემს გაშვებას, თეოფილთან მეგობრობას, რომელმაც დაღუპა იგი გარყვნილებაში, ქაღალდის თამაშობაში და ულთობაში. მე ბევრი ვჰთხოვე მოშორებულიყო იმ ქმაკს, იმ სულის წამწყმედელს, მაგრამ უკვე გვიან იყო. იმისგან განშორება არ დაიხსნიდა მას მართლმსაჯულების კლდიდგან.—მე დაუბრუნე დებაროს თავისი მოცემული ექვსი ათასი თუმანი. ის დიდხანს უარზედ იყო, და იყოთვილმა ჩაიდაგა ეს ფული ჯიბეში.—ამის შემწეობით ისინი გაიპარნენ პარიჟიდგან.—როდესაც აღშფოთებული მოველ დებაროსაგან შინა, თერეზას მომეგება და მითხრა:

—ორი საათია რაც ქვრივი ქალი გელის შავებში მოსილი, გაყვითლებული, დაქანცული, ცრემლიანი, ლეჩაქი პირზედ ჩამოფარებული.

მე გავაღე კარი იმ ოთახისა, სადაც მელოდა მწუხარე ქალი—ეს სწრაფად მომვარდა მე და პირზედ კელი მომადო, რომ გაოცებისაგან არ შემეკივლა.

—გოგო გაისტუმრე, მიჩურჩულა იმან.

მე თერეზას ვანიშნე და იგი გავიდა კარზედ.

—თქვენა ბრძანდებით გერცოღინიავ? აქ, პარიჟში, ჩემთან!

—მარიონ, საყვარელო მარიონ, მე დავიღუპები, თუ შენ არ მიშველი: მე განგებ მოველი ბლუადგან შენს სანახავად... გევედრები მარიონ, მომარჩინე ამ საშინელის მდგომარეობიდგან... კარდინალ რიშელიეს ჩაუგდია ჩემი წიგნები, რომლებიც მიწერია გრაფ შალესთანა... გესმის? სამიჯნურო წერილები... კარდინალი შემუქრება შენს ქმარს ვაჩვენებო! მარია დემევრეზი მიჯდა კრესლოზედ, მიიფარა კელები პირზედ და დაიწყო ტირილი. ის გლეხურად იყო ჩაცმული შავში და კელცახოცის ქვეშ დამალა მშვენიერი თავისი თმა; იმას თვალები გასწითლებოდა ცრემლისაგან.—

—რა უნდა გქმნა მე, გერცოღინიავ? უთხარ მე: შენთვის მზათა ვარ თავი შევწირო.

უნდა წერილები წაართო კარდინალს ნებით თუ ძალით... სხვებ-

რივ ჩემი დახსნა არ შეიძლება. მე გამოვიპარე ბლუადგან: იქ მე ტყუილად ავათმყოფობა მოვიგონე და ავათ მრაცხამენ ყველანი; მხოლოდ ჩემა ერთგულთ მსახურებმა იციან ჩემი აქ წამოსვლა და ჰფარამენ რაცკი შეუძლიათ. მე ბევრი ვეცადე მენახა პატარა დედოფალი. კარდინალს ყარაული დაუყენებია იმის კარებზედაც ამ უბედურების შემდეგ... დიდი დედოფალიც მარია მედიჩი ხან კარდინალისაკენ არის, ხან იმის მტერია; იმისი ნდობა არ შეიძლება. შენზედღა არის ყოველი ჩემი იმედი.—შენ იქნები ჩემი განგება... შენ უნდა გამომიხსნა იმ უღვთო კაცის კლანჭებიდგან!—გერტოლინია მეხვეოდა, მკოცნიდა ხელებზედ, შუბლზედ, თავზედ.—

—მე ყველა ვიცი, მითხრა იმან: ხოლოყენმა მიამბო, როგორ ატყუებდი კარდინალსა, და რაცა გინდა წყალზედ წაიყვან და წყალს არ დაალევინებ თურმე... აი რისათვის დავუჯერე შენს მოტანებასა, ჩემო მარიონ.

აქამდინ მე სასოება დაკარგული მქონდა, მაგრამ რაკი შენა გხედამ, ეხლა რაღაც იმედი მეძლევა; ასე მგონია უთუოთ გამოჰგლეჯ იმ უკეთურს კაცსა ჩემს წიგნებსა.—მაგრამ, ღმერთო, რა მეშველება, რომ გამორთმევა ვერ მოახერხო?

—ღჳთისაგან იმედი მაქჳს, რომ მოვახერხებ, უთხარ მე გერტოლინიასა.—

—ოო, ღმერთმა გისმინოს!—მაშინ დაიხსნი ჩემს ნამუსს, ჩემს სიცოცხლეს სიკჳდილისაგან. რაკი ჩემი წიგნები ხელში მექმნება, მაშინ მე დამშვიდებული ვიქნები, კარდინალის მუქარება აღარ იქნება ჩემთჳს საშიში, და მე ჩემს ქმარსვე მოვიხმარებ მაშინ გრაფ შალეს გამოსახსნელად. კარდინალი ვერ გაბედამს იმის სიკჳდილის გარდაწყვეტას. დაიჯერებ, მარიონ, კარდინალმა ჩემზედ მოაგდო ამორჩევა ერთ-ერთი—ანუ პატარა დედოფლის გაცემა, ანუ შალეს დაღუპვა... აი, ნახე იმისაგან მოწერილი წიგნი, რომელიც მომიტანა მამა იოსებმა.

მე წავიკითხე ეს წიგნი.

გერტოლინიავ!

«გრაფ შალეს უპოვნეს მთელი გროვა მიწერ-მოწერილობა შენ და იმაში; შენ იცი ძალა იმ წერილებისა და ჩემთჳს სამწუხარო იქნება ვაჩვენო ეს წიგნები შენს ქმარს დეშევრეზსა. შენვე შეგიძლიან დაიბრუნო ეს წერილები, მხოლოდ ამ პირობით, რომ ყოველივე გა-

მოაცხადო, ყველაში გაჰხტულე. თუ არა შენცა და შენს საყვარელს შალესაც მოექცევიან როგორც მოითხოვს სიმართლე კანონისა შენ, შეგიძლიან ყოველივე უამბო მამა იოსებს. მაგასა აქვს ჩემი სრული ნდობა.»

რიშელიე.

—გესმის,მარიონ?თუ რომ არ გავცემ დედოფალსა ანნა ავსტრიელსა, მაშინ კარდინალი დასჯის შალესა.—ჯსტქვენოდეს გასტონსა, მეფის ძმასა!... კაცი, მეფის ძმა, მეფის ჩამომავლობის სისხლი, შიშით კანკალებს კარდინალის წინა. იმან თავის ზედასლობით, ცუდ-კაცობით იყიდა თავის პატიობა.. მაგრამ, ის მაინც ვერ გაბედამს ყველა ჯსთქვას, და კარდინალი ჩემზედ უფრო იმედეულობს.. საშინელება არ არის?..—ახლა მარიონ, რას ჰფიქრობ, როგორ უნდა შეუდგე ამ საქმესა?..

იმან დამიჭირა ხელები და მწუხარებით ჩამცქეროდა თვალებში.

—რიშელიე თქვენ ოდესმე გამურგურებოდა, უთხარ მე: მიამბე ცოტა რამ შენი საქმე იმასთან.

—მართალია, მითხრა გრეცოლინიამ. იმან წარმოიდგინა, რომ უთუო საზერო ტანისამოსში არ მომწონს. და ერთხელ საერო ტანისამოსი ჩაეცვა: მოვიდა ჩემთან, დაეცა მუხლებზედ... მე გავიხარხარე და შევარდი დედოფალთან, მინდოდა მეჩვენებინა ამისათვისაც ეს მშვენიერი კარტინა... სულოჯან, შენ უნდა დაემურო. ხვალ მთელი სასახლე ბრეტანში მიდის, სადაც უნდა გარდისდონ მეფის ძმის გასტონის ქორწილი მონპანსიეს ქალზედა...ესეც მეორე შერცხვენა!

—შალე ნანტისციხეშია დაჭერილი...მექორწილენი იმის სახრჩობელას გარემემო ბუქნას დაუვლიან!...

—ოჰ, გრეცოლინიავ, განიშორეთ თავიდგან ეგ მწუხარე ფიქრები.

—ჩემი წერილები, ჩემი წერილები—და ყველა კეთილად გათავდება!

—მე მივდივარ.

—მაკოცე ჩემო კეთილო სულო მარიონ, ჩემო ერთგულო მეგობარო!... უფრთხილდი კარდინალის მცბიერებას... არ მოგატყუოს.. მე წამების თვლას დავიწყობ... ვიდრე მოხვალ...

მე თან წავიღე გასაღები ჩემის ბაღის კარებისა. რომელიც ზუდგარზედ გადიოდა. ეს გასაღები საჭირო იყო ასასრულებლად იმ

პლანისა, რომელიც მე შევადგინე ჩემს თავში. კარეტა იდგა შებმული მეტად კარგად, ჩავჯექი და წავედი.

ადრე კარდინალი ჩემზედ ძალიან გაჯავრებული იყო, რადგანაც არ ვემორჩილებოდი იმის სურვილებს. მაგრამ ჩემი განზრახვის შემდეგ მეფესთანა ხამს დღეს უკან, იმის გამოგზავნილი ჩემთვის თავისის მსახურის ხელით რაღაც ფული იყო მიცემული ვიზიტებისათვის; ამის გარდა ახალ წელიწადსაც მომივიდა იმისგან საჩუქარი წერილით მშვენიერი არაბის ცხენები, რომელიც აჭრელებდა ჩემს ეზოს.— ეს ყოველივე მიმტკიცებდა, რომ კარდინალის მრისხანებას გადაეარა ჩემს თავზედ, ანუ იმის ღრმა არა სწყინდა ჩემზედ მოსაგონებად, რადგანაც ჯერ ის შემთხვევების დაწვრილებით დაუწერელი იყო.—რასაკვირველია, სეკრეტარი ჯერ მისვლისთანავე მოახსენებდა მოკლედ თქმით ამ შემთხვევების ამბავს. აი ეს რიგად ვფიქრობდი როგორც ამბობდნენ.—კარდინალი დიდ დღეზედ ქალაქიდამ მიდიოდა; ამისათვის მეგონა ყველა დიდებულების სასახლეზედ, ყველანი მიეგებებოდნენ იმასზედ და გასტუმრებენ ყველაზედ უფრო ადრე. ეს ამტკიცებდა რომელიც ამაზედ, რომ ძალიან ეს უყვარდა მოწყალების წყალობა და ართმევდა მშიშ და მეფის საყვარლებს.

—მე ხასიათულს ვერა ვნახავ, მინამდისინ კარდინალი არ მოვკვდება! ამბობდა გასტონი.

და აი, რვა ქარიოსანტის ვიწროებიდან გავიდა ადგილზე მოქმედებას, რომ მინისტრი რომელიც მოვიდოდა თავის სასახლეში შეჯდებოდა კარეთ ლასნეში, ფონტენბლოს ახლოს. მხოლოდ ამ მოქმედისა ამბავს გასტუმრებს, რომელმაც მოიწონა. ამან გადაუწყვიტა თავისი ოფიცრები კარდინალთან სასიხარულოდ, რომ მიეგებებინათ იმის სადგომამდის, მოსამსახურეებსაც მიეწყოთ სასწრაფო ლაშქრები. რადგან გასტონი და რვა ამხანაგი ემზადებოდნენ კარდინალთან, ამ მოსამსახურეების უნდა ჩრდილი ერთგულებით კარდინალის მსახურებიდან, და მინისტრის სიცოცხლე ამ აჯანყებაში უნდა მოესპოთ... გარაფის მხედვით, მეფის საყვარლის მიუხდა სიტყვა გასტონისა, რომ ბიძაშვილის ეს შეუძლია სასაკვირველი რომ მეღებდეს, მაგრამ შეეძინებოდა თავის დაცემაში, იმან ვიცანი გარედა, ამაზე რამე და გამოგზავნილი ეს სადღესასწაულოდ თავის მეგობრებს მოსვლის გამოსტანს სულ ყოველს, რომ იმან ეწვია რამე.

გასტონმა აღმოაჩინა წიგნში ეს ამბავი რომელიც და გაადიდებინა,

რომ მოკვდეს გაბრიელზედა, კარდინალს არა ეწყინოდა, რომ იგე გადაქრისტიანებული იყვნენ მეთქმულნი; მაგრამ, როცა გასტონის ავაცრები მივიდნენ იმასთან და აღასრულეს, რაცა ეწყინოდა იმათ დაბარებული, მაშინ რიშელიეს მეფეს აღარ ეწყინოდა; ის მზადაც იყო გარეტაში და მოიწვია ფონტენებლოში, სადაც ბარდელიმის ერთის მასხთან გასტონის ჩაწოლები, სადაცა მოვიდნენ იყვნენ ყველანი მეთქმულები.

გასტონი ჯერ იყო დოფინისა იქვე. ამ მეფის მინისტრის დასხგაზედ, და ეს რიგად აზნაურნი შეთქმულებდნენ..

თქვენს უბედურებას ჩვენ იმისათვის ჩვენს სასახლეში, მოახსენა რიშელიემ: დიდი მოწყალებაა და მადლობის ღირსი ეს ჩემი, მე დავეთანხმები ამას, როგორც რიგია, და ამისათვის დავითმობ ჩემს სასახლეს თქვენთვის, რომ არ დაუკმაყოფილებთ გამოვიდნენ.

—მხოლოდ თქვენთვის, უწყალოდ, დიდი მადლობელი. წინათ მე დამრჩა ჩემს სახლს. მოახსენა რამდენიმე ... იმან თავი დაუკრა ყველას და გამოვიდა.

მეხი რომ დასცემოდა ... და ასის მოყოლილი, მაშინაც არ იქნებოდნენ ... და ... კარდინალმა ხურხაინათ დაუწყო. ... რადგან კარდინალისაც ... იმან არ დაუწყო ამ ამბავზე ლაპარაკი.

მაგრამ გრაფი შალე მარტო ამ შეთქმაზედ არ შესდგა. იმან მეორე შეთქმაშიც მიიღო მონაწილეობა; ხოლო აქ მარტო მინისტრის სიცოცხლეზედ არ იყო შეთქმა: ესლა უნდოდათ მთელი სახელმწიფოს პირი გამოეცვალათ თავით ბოლომდის. დარწმუნებული, რომ ამათ ასიამოვნებს პატარა დედოფალსაც, გასტონსაც, დასამზ მარიას მეოზისაც. გრაფ შალემ, წარტაცებულმა ყმაწვილურის ჟარიანობით, გადაგ შეადგინა ახალი შეთქმა. ესლა უნდოდათ მოეხსნიათ მეფის მცველნი, შეეპყროთ მეფეც და რიშელიეც, გამოეცხადებინათ, რომ მეფეს არა აქვს შრო ქმრობისა ცოლთან. მერეთ მეფობა გასტონისთვის და ჯვარი დაეწერათ დედოფალზედ ანნა ავსტრიელზედ. კარდინალი ჩაემწყვდიათ ბნელს საპყრობილეში ბასტილიისა და მეფე ლუდოვიკი გაეხიზნებინათ მონასტერში ბერებთან, რადგანაც ამას მიდრეკილება ჰქონდა სასულიეროზედ.—მაგრამ ეს შეთქმაც გაუდგა რი-

მეფის კარზე მთავრის მიერი.—გრაფი შალე გაიქცა, მარია შე-
ვრიზი ლოტარინგის ჰერცოგში და ამათი მიწერ-მოწერა რიშელიეს ხელში.
თუმცა ამ წერილებში არ იყო ცხადად ნახსენები ამ შეთქმის გეგმა,
მაგრამ მაინც ბევრი რამ იხატებოდა, რომლებსაც უნდა გამო-
ჰმჟღავნე რიშელიეს თვალში. აქ ნახსენები იყვნენ მეფის, იმის
შინაურისა და ქალების მომხრეებისა; იქ იხატებოდა ცოტა წვრილმანად
შეთქმისა,—ერთის სიტყვით რიშელიეს ადვილად შეეძლო აქედგან
ყოველი ცხადად დაენახვებინა მეფისთვის და გამოეცნო შეთქმულნი,
საშინელი დამნაშავეები.—კარდინალმა გაგზავნა ყველგან მსტოვარი
შალეს დასაჭერად და ხელდახელ მოიყვანეს ბრეტანში, დაამწყვდიეს
და ჩაყარეს ნანტის საპყრობილეში.—

რიშელიემ ჩაიყვანა დედოფალი ანნა ავსტრიელი ყარაულით; გასტო-
ნს მიუტევა, რა შეთქმა მხილდა ამ ზიარობით, რომ იმას ჯვარი და-
ეწერა მადმუაზელ მონპანსიეზედ, რომელზედაც აქამდის უარზედ იდ-
გა გასტონი.—სულმოკლე ბრინცს შეეშინდა, დაემორჩილა და გასცე-
მა თავისი ამხანაგები შეთქმისა.

კარდინალმა ნანტში დანიშნა კომისია გამოსაძიებლად შალეს მოქ-
მედებისა. ამიტომ მინისტრმა განგებ ამოარჩია ეს ქალაქი ჯვარის
დასაწერად გასტონისა, რომ ამისთვის საქორწინო სარეცლიდგან და-
ენახვებინა, როგორ აურევინებს ის თავის მტრის თავებსა. მაგრამ
ნათესავნი და მეგობარნი შალესი არასოდეს არ იფიქრებდნენ, რომ
კარდინალმა გაბედოს იმისი თავის გაგდებინება, რადგანაც იცოდ-
ნენ, რომ დამწყემსაობითი საბუთი არა ეჭირა რიშელიეს ხელში
შალეს გამტყუვნებლად. აი რა მდგომარეობაში იყო ეს საქმე: რო-
დესაც ბლუადგან გამოპარულმა მარია შევრეზმა მოამართა ჩემს შუა-
მდგომლობას, რომ გადავარჩინო ის უპატიურებას, რომლითაც ემუქ-
რებოდა რიშელიე. მეტის მეტის სურვილმა, უთუო რამ ნიკვთე გერ-
ცოდილისა, გამაადვილებინა პირველად ამ საქმის აღსრულება, მაგრამ
როდესაც სიმხურვალე გულისა დამიცხრა, მაშინ წარმომიდგა ყოვე-
ლი სიძნელე ამ საქმის წარმართებისა. მართალია, მე მქონდა ნება
შესვლისა მინისტრთან საიდუმლოს გზებიდგანა, მაგრამ ვინ იცის
მარტოკა ჩავისვლებდი იმას? ჯერ მე უნდა თავი მემართლებინა იმა-
სთან ამოდენი ხნის მიუსვლელობისაგამო, და მომესმინა იმისი ჩივი-
ლი და ყვედრებანი. ამაზედ ცოტა დრო დაიკარგებოდა. ამის გარდა

კარდინალი მეორე დღეს აპირებდა ნანტში წასვლას; მაშასადამე იმას წინა დღეს ბევრი საქმე და მზრუნველობა ექნებოდა; სად მოიცლიდა ის მაშინ ჩემის ყურის გდებასა. ან თუნდა მოეცალა, განა რამდენიმე ტკბილის გაცინებით შემეძლო გამომეგლიჯა იმისათჳს იმისთანა საჭირო საბუთები, რომლებითაც ის უპირებდა მტრების ამოხოცვას?

ჩემი ფიქრი ამაზედ შესდგა, როდესაც ჩემი კარეტა მიახლოვდა სასახლესა. უეცრად, როცა მინდოდა გადმოვსულიყავ კარეტიდგან, მე დავინახე თომა გამზადებული. ბერი გამოჩენილი ვარსკვლავთ მრიცხველი, რომელიც დადიოდა ხოლმე ჩემს სახლში, და ახლოდ ვიცნობდი.—მე დიდი ხნის ეჭვი მქონდა, რომ ეს თჳთონ არ ერწმუნებოდა არც ერთს სიტყუას ბედის მკითხაობის სწავლასა, ესე იგი ვარსკვლავთ მრიცხველობასა, მაგრამ ვინცვი იჯერებდა ამის მკითხაობას, ის არა ზოგავდა მოეტყუებინა და ესარგებლნა რითმე. ამ დამჯერთა შორის რიშელიეც ერია, რომელიც მეტად ამაოდ მორწმუნე იყო. მე ამ ვარსკვლავთ მრიცხველს დავარქვი წმინდა მამა თვალთმაქცი.—იმის დანახვაზედ მე ბრწყინვალე ჰაზრმა გამირბინა თავში.

მე ხმა გავე თომას. ის მომახლოვდა მრავლის თავის დაკვრით.

—სად მიეშურები? ჰკითხე მე.

—კარდინალსა ჰსურს ჰქონდეს მეფის ბედის აღწერა და იქ გიახლები...

—უამბო იმას ბედი? კარგი, ერთად შევიდეთ... ჰხედავ მეც მინდა გავუკეთო კარდინალს ვიზიტი... მაგრამ, მგონია ეს შენთჳს სასიამოვნო არ არის? იქნება ჩემა იქ მყოფობამ დაგიშალოს მეფისბედის გამოცნობა?

—ჰო, ცოტად, და თუ რომ ინებებთ გადასდოთ თქუენი ვიზიტი ნახევარ საათს მაინცა...

—თანახმა ვარ, მხოლოდ ერთის პირობით, უთხარი მე: ეხლა ჩამიჯექი კარეტაში, მოისმინე რასაც გეტყვი და მიპასუხე—ჰო თუ არა. თუ რომ გამოვა ჰო, მე სამოც თუმანს მოგართმევ ეკკლესიების მოსახმარებლად, და თუ გამოვა არა, მაშინ მეც შემოგყვები კარდინალთან. თომა ბერი მარდად ამოხტა კარეტაში.

ათის მინუტის შემდეგ ჩემი სამოცი თუმნის პილეთი გადავიდა თომას ჯიბეში. ის სიხარულით ავიდა რიშელიესთანა და მე ნახევარ საათი დავსეირნობდი წყლის პირსა. როცა განვლო ამ ვადამ, მეც

დიდგულათ ავედი ხასახლეში, გავიარე საიდუმლო ტალანები, და გა-ბედვით დავაჭირე თითი ზრუყინახს, რომელმაც კედლებში გამიღო კარები.

კარდინალი ჯერ ისევ საუბრობდა ვარსკვლავ მრიცხველთანა.

რა დამინახა, რიშელიე მოიჭრა ჩემკენ გაოცებული და შეჰყვირა:

—ეს საკვირველია, საკჳრველი!

მე მითომ შევჰკრთი. კარდინალს იამა ეს გუნებაში. მომასხლოვდა, დამიჭირა ჴელი და მითხრა:

—რათა კანკალებ? რასაკჳრველია, შენ დამნაშავე ხარ ჩემთან, და შე-ნი ქცევა არ იყო ღირსი იმ მოწყალებისა, რომელსაც მე მიძღვნი. მაგრამ ღჳთის მოწყალება უფრო ჰფარავს ყველა ცოდოსა...! ჩამო-ჯექ, ჩამოჯექ, შვილო. იმან მომიწია კრესლო და უთხრა თომას:

—შენ ღირსი ხარ საკჳრველებისა. თომამ მადლი გარდუხადა.

—თავი ზევით აიწიე, მარიონ, მითხრა კარდინალმა: აქ მცნობე-ბში ხარ შენა.

—დიაღ, მართალია, ეს წმინდა მამა თვალთმაქცია, მოვახსენე მე.

—თვალთმაქცი არ არის, მითხრა ხიცილით კარდინალმა: ესა ჰფლობს ჭეშმარიტს ცოდნას, მომავალის ცოდნასა, და მეც იმედი მაქჳს, ოდესმე ვისწავლო ეს საკჳრველი სწავლა... შენ უნდა გითხრა მარიონ, ერთი საკვირველი, გასაოცარი, დაუჯერებელი რამა... შენ მგონია, ერთი წელიწადი მეტია, არ გინახამს მამა თომა.

—თითქმის, უნდა იყოს წელიწადი.

—ჰსწორეთ მაგითი მტკიცდება ესა, რაც ეხლა ამან მე მითხრა.. გახსომს, მარიონ, როდესაც შენ უკანასკნელად მამა თომა ნახე, შენ ამოირჩიე შენთჳს ცაში ერთი ვარსკვლავი?

—დიაღ მახსომს; მაგრამ ის ხომ ხუმრობა იყო; მე არ ვერწმუ-ნები ვარსკვლავებს.

—არ ერწმუნები კუდიანო... აბა ეხლა ვნახამ, კიდევ ეგრე ურწ-მუნო იქნები?... რა ერქჳა შენს ვარსკვლავს, რომელიც ამოირჩიე?—

—არ ვიცი, აღარ მახსოვს.—

—არც ის გახსომს რა ადგილას არის?—

—მგონია, სასწორთან იყო.—

—ჰსწორეთ ეგრეა; თომამაც ეხლა ეგ მითხრა... იცი, მარიონ, რა მომხდარა წუხელის?

—არა, არა ვიცირა.

—მაშ გეტყჳ: შენი ვარსკვლავი მოახლოებულა ჩემს ვარსკვლავთან.

—ღმერთო ჩემო! შევჰყვირე მე: ეგ დაახლოვება ხომ საშიშს არას მოასწავებს? —

—ჰხედამ, მარიონ, შენც შეგეშინდა!... მეც შენსავით ადრე ვერწ-მუნებოდი ვარსკვლავების მოქმედებას, მაგრამ ეხლა ვხედამ აშკარათ, რომ ეს საქმე ღუთის საქმის....

—ჩემი ვარსკვლავი რას ამბობს, კარდინალო?

ამან ყურადღებით გამიშტერა თვალი და მითხრა:

—ვარსკვლავები ამბობენ, რომ მე გეყვარებივარ.

—რომ მითომ მე მეყვარებიხარ?... ეგ არ შეიძლება... მაგას არ ამბობენ... მე არ ვერწმუნები მაგას...

მორცხვობით თვალები ძირს დავიხარე და ვეცადე გავწითლებულიყავ.

—ჰხედამ, შეკრთომამ და აღრეულებამ განმასხილეს ეს ქალი, უთხ-რა რიშელიემ, რა მიუბრუნდა ვარსკვლავთ მრიცხველსა.

—დიაღ; უპასუხა თომამ: იქნება ჩემი აქ ყოფნა...

—არა, არა! დარჩი აქა! უთხრა რიშელიემ: შენი პატივისცემა ჩე-მთჳს ძვირფასია, და თჳთ მარიონი გეტყვისთ, როგორ უმანკო და წმიდა არის ჩემი სიყუარული მაგასთან. არა, მარიონ?

—დიაღ, ღუთის წინაშე, ეგრეა, უთხარ მე და მივიდე ხელცახოცი თვალებზედ. მითომ ცრემლის მოსაწმედად.—

—პირველადვე უნდა გეთქო ჩემთჳს, ჩემო შვილო, რაკი ნახე, რომ სიყუარული გეპარებოდა გულში. მე ვცდილი დამეწყნარებინა შენი გული ბრძნულის და მამობრიურის დარიგებით, და შენ მაშინ მიხვდებოდი, რომ ჩემის სასულიეროს წოდებისაგამო, ჩემის ვალდე-ბულებისაგამო... ერთის სიტყვით, როგორც სულის ექიმი, მე ვეც-დებოდი ნელნელა ამომერთმევინა შენის გულიდგან უგუნური სიყვა-რულის ფესვები.—ამის მაგიერად, შენ აშფოთდი, მიიღე განზრახუ-ლება დაბრუნებულიყავ დედამასთან. ეხებდი ჩემთან ჩხუბს, მიწყრე-ბოდი, მიმალავდი მართალს... ჰო, მართალს, მარიონ: შენ ეშჳს!

—ჯუარო პატიოსანო! საიდგან შეგიტყვიათ ეგენი...

—ვარსკვლავებისაგან, მარიონ, ჩუენის ვარსკვლავებისაგანა.

—ზეციერო! შევჰყვირე მე გაოცებით, ადამიანმა გულში ვერა შეინა-ხოსრა?... გუნებაში კი მზათ ვიყავ მიმეცა თომასთჳს სხუა სამოცი თუმანიცა; ისე კარგათ დააჯერებინა იმას კარდინალი ჩემს სიყვარუ-

ლში მისადმი:—

—კმარა, კმარა, მარიონ, მითხრა კარდინალმა სიამოვნებით: ხა-სიოებას ნუ დაჰკარგავ; შენ ისევ მე დამიბრუნდი, როგორც ბატკანი ცხვარსა... ეს არ გაშინებს, მარიონ, რომ თომამ გამოიცნო, რომელ საათზედაც შენ ჩემთან უნდა მოსულიყავ?

—რას მიბრძანებ? და განცვიფრებით და შიშით დაუწყო ცქერა თო-მასა.

—ეგ რა ძნელი იყო? ჰსთქვა იმან დამშვიდებით: გუშინ თქვენი ვარსკვლავი ახლოვდებოდა მინისტრის ვარსკვლავსა; დღეს განთიადი-სას—ვარსკვლავები შეერთდნენ, და უთუოთ ამ დანიშნულს საათზედ უნდა ამასთან მობრძანებულიყავ.

—ნუთუ გატყუებენ, კარდინალო? უთხარ მე: უთუოთ უ. თომას უნახავს ჩემს ეზოში ეკიპაჟის შებმა და მოუხსენებია დრო ჩემის აქ მოსვლისა....

—ეს რა მესმის? შეჰყვირა წყენის ხმით თომამ: მე თქვენი სასა-ხლიდგან არცკი გამომივლია ერთი თვე იქნება; ამის გარდა, თქვენი მოახლეები ეკიპაჟს ამშვენებთ ხოლმე, მაგრამ, როგორც წმინდა კარდინალი ბრძანებს, დიდი ხანია ამასთან არა ყოფილხართ; როგორ უნდა გამეგო უბრალოს ჭვრეტით, თუ არ ზეცის ცდომილებით, რომ დღეს გი უთუოთ ამ საათზედ უნდა აქ მობძანებულიყავით?..

—მაგრამ მე მაინც დიდად მოხარული ვარ, რომ არა გჯერათ. მე მხოლოდ იმათ უკითხავ, ვისაც ჰსჯერა და ვისაც ესმის ცთომილების გავლენიანობა ცაში და იმათი მოქმედება დედამიწაზედ... თვითონ წმინდა კარდინალი დამემოწმება, რომ ამას წინათ, ექვსი თვე იქნება მე მოვახსენე, რომ თქვენი ვარსკვლავი შორდებოდა ამათ ვარსკვლა-ვს და ახლოვდებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, ხან მესამეს—ასე რომ თითქმის ყველა ჯგუფსა ვარსკვლავებში,

—დიახ, მარიონელი, ეგ მე თომამ მითხრა, ჰსთქვა დამტკიცებით კარდინალმა. და კიდეც აღსრულდა ამისი ნათქვამი: ეს მაშინ იყო, როცა შენ გაიცან მეფის ხაზინადარი, მილორდი ბუკინგემი, გერცო-გი ლესდიგიერი...

—კმარა, კმარა! უთხარ მე გაწითლებულმა და თავ ჩაღუნულმა.... არ მინდა თუ ამგვარი ლაფის დასხმა მელოდა მე დღეს ამ სახლში... მე წამოვდექ წასასვლელად.

—ნუ გწყინს, მარიონ, დაჯექ აქა, მითხრა რბილათ კარდინალმა, თომას რას ემდურები; რაც ამას ვარსკვლავებში ამოუკითხამს. იმას ამბობს, სხვას რას აშავებს.—

—მე არ უშლი მაგას ზღაპრებით შეგაქციოს და დაგატყუოს ფულე-ბი.... მხოლოდ მე მომივიდა სურვილი, რომ დღეს მოვინდომე თქ-ვენი ნახვა....

—მარიონ!....

თომა კამპანელმა წამოავლო ქუდს ჴელი, გადმომხედა ცხვირ აწე-ული, შებრალებითის დაცინვით, დაუკრა თავი კარდინალსა და გავიდა რაღაც ბოდიშის ლუღლუღით.—კარდინალმა ჩაუდო ჩუმათ ჴელში რაღაც ქაღალდში გახვეული და ჩურჩულით გააცილა კარებამდინ.—

წმიდის სვინიდისით უნდა ვჰსთქვა, რომ მე და თომას კამედიის თამაშობით ყოველი სული მოტყუვდებოდა: ისე ნამდვილი იყო მე და იმაში ჩუმათ თვალებში მრისხანება და ერთმანერთის დაცინვა. ხოლო კარდინალს ერთს წუთსაც არ მოსვლია ფიქრად, რომ იმას ვატყუებთ და ჩვენ ადრევე დაგვიწყვია ამისი პლანი.—

(ზოგი შემდგომ ნომერში იქნება.)

## მ.... ს....

იგი გრძნობის შენია
შენია და შენია,
ის გაშლილი ვარდია,
ერთგული და შენია!...
ძმაო დასტკბი მათითა...—
გუშინ შენზედ მათითა
შენ მანდ დარჩი ნეტარად (?)
მე წამოველ მათითა!—
შენ ხარ მისთჳს დარადა,
მე უდაროს დარადა....
რათ მიწყრება, ვიცოდე,
ვისგამო? ან და რადა?
ჩემის გულის ისარი
შენც ხომ იცი ისარი!—
გუშინ რომ უარი სთქჳა,
დღესაც მითხრა ის არი!...
მშჳენიერთა სადარი
შენი ნორჩი სად არი?
გულმა მიამბო თურმე
შენ ხარ მისი სადარი!..—

თ. აკ. წერეთელი

1862ს წელსა.

## თ. გიორგის ერისთავის გარდაცვალებაზედ.

სად ხარ პოეტო? სად არს ნიჭი შენი ძრიელი?
რად დაგვტევე და რად ჩუენზედ აიღე ხელი,
სად ხარ, სად სუფევ, სად წასვედი, სად მიგვეფარე,
მამულს შემოსწყერ უღალატე გული აჰყარე?
თითქო გიყვარდა საქართველო შენი მამული,
თითქო სიყრმიდგან მაზედ გქონდა სიმტკიცით გული,
მაშ აგრე უცებ შენ ეგ გული რამ შეგიცვალა,
ვინ მიგიზიდა, ჩვენთან ყოფნა აღარ გაცალა,
თუ ჩუენ შეგცოდეთ და იმისთვის დაგვსაჯე აგრე,
შენსა შვილს დავითს გული მაინც რად დაუჩაგრე,
გამოუცდელსა ჯერეთ ბავშსა რომ გაეყარე,
აბა მითხარი, ვის მიანდე, ვის ჩააბარე,
ასე უწყალოდ რათ მოუკალ ყმაწვილსა გული,
ჰყავ შენის გაყრით: აოხრებულ, დაობლებული;
რამ აღგაშფოთა, ეს ნეტავი შემატყობინო,
ნუ თუ ახალმა დროს ცვლილებამ შენ შეგაშინა,
ანუ იქნება ამ ცრუ სოფლის შენ მღელვარება,
ვერ აიტანე და მოგწყინდა ჩუენში ცხოვრება...
გაეშორდი, წასვედ, მიაშურე სამკვიდრო ადგილს:
სადაცა ჰპოებ სიმყუდროეს და ბინას ნამდვილს.
მაშ თუ ასეა, გევედრები, გიორგი, ამას,
რომ მიწინამძღვრო, შემავედრო ზეციერს მამას.
მიყოს წყალობა, მომივლინოს მე ეს ნუგეში:
შემრიცხოს მეცა როდეს მოვკვდე შენსა კრებასში,
აქ იყავ მწვრთვნიდი, მპატრონობდი, როგორც რომ შვილსა.
მაშ მანდაც მომცემ, ნამდვილ ვიცი, შენიან ადგილსა!

გიორგი დვანაძე.

## ნინა. მამ...

დღეს ჰდიდების ქართჳჱლთა მჴსნელი,
ვით მზე ბრწყინვალე. მანათობელი,
რომლის დიდება, რომლის სახელი—
სიქადულათ გვაქჳს შესამკობელი!
მან მოგვანიჭა სარწმუნოება,
მან დაგვადგინა, ჭეშმარიტს გზასა,
მანვე გვასწავა ჩჳჱნ აღსარება—
და აღმოგვშობა წმიდას ემბაზსა!
მას ღჳთის-მშობელმან, რომ მისცა ჯჳარი,
და ჩააბარა მრთლათ ივერია,
გამოისახა მისწინ პირჯჳარი,
ქრისტიანეთ ჰყო ჩჳჱნი ერია!
შემდეგ შრომისა, მუნ მიიძინა,
სადაც დღეს საფლავს მას შაუმკობენ;
ის არის დედა ქართჳჱლთა ნინა,
დიდებას, ქებას მას უგალობენ!
შენცა გმოსია მისი სახელი,
რომელი იყო ქართჳჱლთა მხსნელი,
კეთილო ქალო, შენცა ხარ ნინა,
შენს გულს სიამე დღეს მოეფინა.—
მის ხატის წინა, კელ გაპყრობილი,
გამოჩნდა შენი-უმანკო გული,
ცხადის შენი კეთილ ქალობა,
მან მოგანიჭოს თჳსი წყალობა!—

დიმ. ბერიევი.

1865 წელსა, იანვრის 14 დღესა. ქ. ტფილისი.

## შინაური მიმოხილვა.

— ქართული ჟურნალების ფეხის მოუკიდებლობა ჩვენში; წინდაუხედა-ვათ იმათი მოსვლა და კილვა; კატას თევზი უყვარს და ფეხის დასვე-ლება კი ეჯავრება — ეს ჩვენი საზოგადოების სურათია, ერთი ბლიამე პოეტთაგანი, საზოგადოდ ჟურნალის მნიშვნელობა და იმის სარგებ-ლობა ქართულ ნაზედ.

«ერთი ჟურნალი ხომ წაბრძანდა მამაზედ ლურჯი ხუდარით. ღვ-თის მოწყალებით, ეს მეორეც, ეტყობა, სალიასინისაკენ აპირებს გასე-ირნებას მარილზედ. — როგორადაც ამჩნევდა და წამ და უწუმ ფერი წითელ-ყვითლად ეცვლება ხოლმე, ეს ცუდი ნიშნებია, მაგრამ ჩვენ რასა ვწუხვართ, ჩვენ მესანდობარი დავლიოთ გარდაცვალების შემდეგ, წლისა და წლის თავზედ სული აუხსნათ ხოლმე და ჩვენი ვალი გარ-დაწყვეტილია. ხუმრობა გაშვებით და მღუთის წინაშე ერთი მხრითგი სათქმელია, ვაყო, ეს მამაცხონებული რედაკტორები მოჰკიდებენ ხელს ჟურნალს, დიდის ქუხილით და ჭექით, დიდი ამბით მთა და ბარს ებრძვიან, ვნახოთ პატარა ხანს უკან სიჭლექა ეპარებათ იმათ ჟურ-ნალებს და ან სულ ესალმებიან ამ ჩვენ დაუდგრომელ წუთი სოფე-ლსა, «მიხთა მინდობილთ დამამხობელსა» პოეტურათ გაჰჯენწლამენ ხოლმე ან არა დაღოღიალებენ ფეხების სლათვით ცოცხალ-მკუდარ-ნი, აი ვთქოთ ესლა ცისკარი, მალიან მიიწურა, გალეულ მთვარეს დაემგზავსა, მგონია სულით ებრძვის, მაშ ჩვენ საკაცე მოვამზადოთ, . . . . . . . მოითმინეთ პატარა, თავი შეიმაგრეთ, თჳთონ ჩვენ გიმკელით საყვედურის დასრულებას, გულმტკივნეული ქართვე-ლო, ბევრს ნუ სწუხარ.»

უმეტესი ნაწილი ჩვენი ქართველებისა, როგორც ბევრჯელ ყურა

მოგვრგრამს იმ გვარათ სჯის, ზემოთ რომ ვსთქვით, მაგრამ ყველა დარბაისელ ქართველს ვალი და პატივი აქვს შეაყენოს ყველა ამ გვარი გულსამომკვდარი ჭირის უფალი თანამომმე ქართველი და უთხრას რომ ამ გვარი უსაგნო და უაზრო მოთქმა სულ ტყუილი ფუჭია და აქ აზრით სამიმრის მოძახსაკი არ ეჭირვება, უნდა გაცმა ნამძინარი თვალები მოიფშვნიტოს და ფსიზელის გოგრით შეხედოს საქმეს.

ყველა ჩვენგანმა ცხადათ უნდა წარმოიდგინოს, რა არის პირველი და უკანასკნელი მიზეზი ჟურნალის, როგორც ყველა საზოგადო საქმის აღყვავებისა და დაცემისა?

პირველი არის მოსურნება და წადილი საქმის აღსრულებისა და მეორე ღონისძიება საქმის აღსრულებისათვის;—ეს მიზეზები ერთი მეორეზედ არიან დამოკიდებულები, ურთმანეთოთ ვერა საქმეს ვერ წაიყვანენ წინ, თუ არ უკან.

აქედგან ცხადს რომ, თუ გვსურს ჟურნალი გამოიცემოდეს რიგიანად როგორც შეჰფერის ამ გვარ საზოგადო საქმეს, უნდა ჯერ იყოს მოთხოვნილება, სურვილი და ნიჭიერნი ხალხნი ამ საქმეში გარეულნი, ერთი და ორიკი არა, კარგა ბლომად. და მეორე, რომ ჰქონდეთ ამ ხალხს ღონისძიება ე. ი. ფული, რომ მოიყვანონ აღსრულებაში საზოგადო კეთილი საქმე, რომელიც განუძრახსიათ, უამისოთ ვერა საქმე ვერ წავა სეირიანათ,—მაშინვე ჩაიფუშება.

ახლა რომ ბრძანებ ბატონკაცურად საყვარელო ქართველო: «საქ. მოამბე» წაბმანდა შაბზედაო, ისიც იფიქრე რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, იქნება იყო სხვა მიზეზებიც, მაგრამ, ჩემი ფიქრით პირველი და უკანასკნელი ისა, რომ ხარჯი დიდი ჰქონდა.... მართალია ერთ-ორ წელიწადს მაინც უნდა სცდელად დაეჭირა თავი რაც უნდა მოსვლიყო, მაგრამ ეს თავის განწირვა იქნებოდა, რომელიც ყველას არ შეუძლია «მიზეზისაგამო, სხვისა და სხვისა» აი დაჰხსნეყელოს ღმერთმა, კიდევ პოეტების სიტყვებმა წამლიეს. ამ გვარადვე იფიქრე «ცისკარზედაც» რომ ბძანებ «ჭლექდებაო» ისიც სთქვივინა და რა არის მიზეზი ამ ხნეულებისა, ვითომ ამ სიტყვებით, საყვარელი ქართველი აყვედრის რედაკტორებს და ან თანამშრომლებს, მაგრამ ისკი არ იცის რომ, ამითი თავს დასცინის რედაკტორის სახეში. აი როგორ: ჟურნალი არის საზოგადო კეთილი საქმე, რედაქტორი (ამ სახელით ვგულისხმობთ გამომცემსაც) არის მიჩენილ ი

ახლო შეუდგმეგეთ ამ საზოგადო საქმის აღსრულებისათჳს, რასაც საზოგადოება ხარჯს გადასდებს ამ საქმის გვარიანად წარმართებისათჳს, რედაკტორმა პატიოსნათ უნდა მოახმაროს ამ შრომას, მამასადამე რედაკტორის უმთავრესი ვალი და თანამდებობა მდგომარეობს იმაში, რომ ჩაგაბაროს, რაც მიგიბარებია. რედაკტორი არის კოქოთ დახლიდარი, რა უნდა უთხრათ იმ ვაჭარს. რომელიც ანგარიშში რაც მიუბარებია იმაზედ მეტს სთხოვს;—ახლა, საყუარელო ქართველო, იანგარიშე რამდენს ათას ან ას თუმანს ხ●ებს მაიაი ჩუენი ქართველი საზოგადოება ჟურნალის გამოცემისათჳს? აი ეს ცისკარიც სომ ჩუენ წინ არის და კალმის მომწერთ სიაც ზედვეა, აბა სად და როდის გინახავს რომ ორასამდინ იყოს კალმის მომწერი, თუნდ ორასი ჩავაგდოთ. ორასი შჳდი მანეთი ეს—ას ორმოცი თუმანი, თუნდ ორასი თუმანი ჩავაგდოთ, რომელიც ცისკარს თავის დღეში არ უნახავს.—ახლა ამ ფულით რომელ ერთს უნდა გაუწვდეს: სახლის ქირა, სტამბის მოწყობილება და მასალა: მელანი, ქაღალდი, ლაქა, სანთელი, მუშა, ასოების ამომწყობების ჯამაგირი, ჟურნალების გაგზავნა-გამოგზავნა და რა ვიცი რამდენი ამისთანა წვრილმანები, სულ ფული უნდა. კარგი რომ უ. რედაკტორი თანამშრომლებს ფულს არ აძლევს სტატიებში, ესეც რომ იყოს სომ, მაშინვე უნდა დაიკეტოს ცისკრის რედაქცია. აბა როგორღა იქნება ამის შემდეგ ცისკარი ან სუქანი და ან დი● ჯაზროვანი? ვისაც ფულის გადება არა სურს,—დეე ის სხჳა ნაირათ შეეწიოს ჟურნალს, სწეროს სასარგებლო მამულისთჳს. ვისაცა კი ეს არ უნდა და ვისაც სხვა ნაირი შემძლება აქვს (და ვის არა აქვს შვიდი მანეთის შემძლება, თქუენ ეს მიბრძანეთ რომ მოიწადინოს თორემ: თუ გული გულობს ქადა ორის კელით იჭმევა) ის ფულით შეეწიოს ჟ. ი. გამოიწეროს, ამასობაში ჟურნალიც გაკეთდება ფეხზედ წამოდგება—წავა, და ღმერთი გვიშველის,—თუ არა და წინ დაუხედავი, უსაფუძვლო საყუედური რა საკადრისია, რედაკტორი თავისას სომ არ დააყრის, ჯერ სადა აქუს რომ დააყაროს და მერეც ესა, თუნდ ძალიან ქონების პატრონიც რომ იყოს, იმისი რა გადასახადია! მაშინ არის სასარგებლო ეს საქმე, როდესაც საზოგადოება თითონა გრძნობს ჟურნალის საჭიროებას და როგორც კალმი ჩაიგდებს ცდილობს წაიკითხოს, თორემ რაც უზრუნველათ ეძლევა კაცსა, იმის ღირსებას მნელად დააფასებს და

არც იმის ყადრი იცის, დავიჯეროთ რედაქტორს არ უნდა შეიძინათლავათ იმ საქმის ჩანაწერება, რაც უკისრნია? ვის ესალისება უსწორო მასწორო თავხედობის ქედ-მიდრეკით და მოწიწებით ატანა! ანგარიშით მივსცეთ და ანგარიშით ჩავიბაროთ. თუ რამ დაედვას, მაშინ ნება გვექმნს მოვსთხოვოთ, თუ არა და რედაქტორებს გავყვედრით, ისკი არათუ, იმათ სახეში ჩუენვე ვართ ამოფარებულნი, ან ცარიელმა ყვედრებამ რა ქნას?!

უკაცურად საქმე არ მაგრდება, იგრამ ჯაფასაც დაჯილდოება უნდა იმ ფასით, რა ფასისაც არის საქმე გაკეთებული. შურის ჭამა ყველა კაცს უნდა და კაცი რაზედაც ჰსცდება, იმან უნდა აჭამოს შური. — მაშასადამე საზოგადოების სასარგებლო შრომაზედ ვინც ატარებს თავის დღეებს, ის უნდა საზოგადოებამ აცხოვროს. აქედგან ჩანს, რომ არამ თუ მარტო რედაქტორს უნდა მიეცეს თავის ჯაფის ფასი, არამედ თვითოეულმა თანამშრომელმაც უნდა მიიღოს თავის ასი. ზოგი ერთნი ტყუილად ფიქრობენ, რომ ვითომც რასაც კაცს თავი დაუდვია საზოგადო სარგებლობის მოედანზედ, უნდა თავიც შესწიროს ე. ი. მშიერმწყურვალს სული ამოსძვრეს; შრომაზედ ფულის აღება კი არ არის ცოდო და სამარცხვისი. — ის არის ცუდი რომელსაც ფულის გულისათვის სწერ და ამბობ იმას, რასაც გულში ჰგრძნობ, ერთი სიტყვით, რომელსაც ლანძღავ და ხდევნი, იმ წყეული თეთრის გულისათვის, იმ აზრს რომლის ჭეშმარიტებაზედაც შენ გულში ხარ დარწმუნებული და პირათკი სხვას ამბობ. აი ეს არის, ასე ვსთქვი, დიდი მომაკუდინებელი ცოდვა, ჭეშმარიტების ჰგმობა, — თორემ ის კაცი რა საქებია, რომელმაც, ვთქვათ, დასწერა მშვენიერი და სავანგებო თხზულება, მისცა მესტამბეს: «დაიჭი და დაბეჭდე ქვეყნის სასარგებლოდ, მე გროში არ მინდა» — ისკი არათუ შინ, ამ ყოვლად მოწყალე ბატონს ცოლშვილი შიმშილით ეხოცება, — ეს სამარცხვისიც არის. — ამოტელა ამირანიანი ამიტომ გავაჭრელე, რომ ზოგი ერთნი ჩუენგანნი წინ დაუხედავათ ითხოვენ თავ განწირულ ჯაფას და არცკი უნდათ შურის ფასი მისცენ კაცს — საზოგადო საქმის მუშას.

რედაქტორი და თანამშრომელნი არიან, ვთქვათ, სასყიდლით დადგინებულნი მუშები, თუ იმათ, მეტადრე რედაქტორს, თავიანთ ჯაფის ფასი ჰქონით საცხოვრებლად ხომ რა კარგი, მაშინ ისინი

მთელ თავის დროებას ასმარებენ საზოგადო კეთილს, დარდი აღარ აქვს სიმდიდრის მოპოებაზედ, რადგანაც ჟურნალი ე. ი. საზოგადოება ლუკმა პურს აჭმევს და ისინი თავის წმიდა გზას ადგანან, თუ არა და ისენი ცალი ყბით მისდევენ ჟურნალის საქმეს. ხანსალით და ლექსით სწერენ არ მინდასავით; ამ დროსვე ისენი სხვა საქმესაც ეჭიდებიან, რადგანაც ჟურნალი იქნება არც ფლავი, არც ბოზბაში. ამ მდგომარეობაში გასლავსთ ჩვენი ცისკარიც, მაშასადამე სიჭლექე არა, სოროველსაც რომ გადიტანოს, გასაკვირველი არ არის და არც სამრახისია. არც რედაკტორისთჳს და არც თანამშრომლებისათჳს, ამიტომ რომ მუცელი ყველა წმინდა გრძნობას ავიწყებინებს კაცსა და აღმა-ფრენიდგან დედამიწაზედ დაუშვებს, მაშასადამე ჩვენი სამდურავი ჟურნალზედ და რედაკტორზედ სულ ტყუილი ყაყანია, ჩვენი თავივე უნდა დავმარხოთ. ჟურნალის დაცემაში საზოგადოება არის დამნაშავე; თუნდ რომ რედაკტორიც არ აღმოჩნდეს რიგიანი, შეუძლია ყოველთჳს იშოვნოს რიგიანი გამსჯელი თუ ხალხი ხარჯს გამოიმეტებს იმათთჳს, თუ არა და რას ბძანებთ იმ კეთილ-გონიერ ვაჭარზედ, რომელიც უწყრება დასლიდარს: რატომ სულ აყვავებული არა გაქვს დასლი და უმჯიროვასესი საჭმელ-სასმელი არ გიდგასო. მე მგონი რომ ის მაშინ ამ გვარად მოასხენებს: ბატონო, მე რას მიწყრებით, რასაც მიყიდი და მომიტან, მეც იმას ვივაჭრებ და გავასალებ, შენ თუ არ გინდა ხარჯის მომატება და ჩემგანკი ითხოვ რომ ჩემი დასლი ემსგავსოს მეიროვასად მორთულ მომკობილ მშვენიერ ქალსაო.—ეს უსამართლო თხოვნა არისო.

მე მგონია ცხადია, რომ რადგანაც არცარავინ მწერლობით იცხელებს თავს და არც არავინ ხარჯით — ჩვენი ჟურნალი ამ მდგომარეობაში უნდა შევიდეს, როგორც ეხლა არის. თუკი მართლა გული სტკივა ვისმეს, აი გამოჩნდება, სასო წარკვეთილებას ნუ მიეცემა, ჟურნალის გაღვიძება და აღდგენა შეუძლებელი საქმე არ არის: რადგანაც ღონისძიების შემცირება და ხარჯის მოკლება ჩაიყვანს იმას საფლავში, ამიტომ იმითვე გაძლიერება და მომატება აღადგენს ჟურნალს. აბა მერმისათჳს ვეცადოთ ეს დაძველებული, მაგრამ ჭეშმარიტი ჭაზრი ახდება თუ არა. თუ არა და ჩვენი საქმე ისეა როგორც ერთ კაცს ცოლი მოუკვდა, მივიდა მეგობარი და მიუსამძიმრა, ნეტავი მე მომხვდლიყო ეგ უბედურებაო, მე მომკვდომიყო ცოლი, და შენკი მშვი-

დობით გყოლიყოთ. შესტყო ჭირისუფალმა რომ იმის გულჩვილი მეგობარი ცარიელ უგულო და უსულო სიტყვებს ამბობს, გაზეპირებული სამძიმრის მეტი აქ არა არის რა და უთხრა: ჩემო საყვარელო მეგობარო, თუ აგრე გული შეგტკივდა ჩემთვისა, შენი სურვილის აღსრულება ადვილია, — ის მკვდარი დედაკაცი შენ წაიღე და ცოცხალი მე დამირჩინე, ისევ ისე არ გამოვა, თუნდ მკვდარი თუნდ შინ მიუსვენელიო. აგრეთვე ჩვენ დაუპატიჟებელ ჭირის უფლებს, ზარით სამძიმარს რომ მოასხენებენ ჩვენ ჟურნალს ვითომ გულმტკივნეულად თანუგრძნობენ, უნდა მოხსენდეს, რომ მართალია იმ მკვდარ დედაკაცს კი არაჲ ეშველებოდარა ცოცხალზედ გაცვლის მეტი, მაგრამ ჩუენი ჟურნალი ფეთქამს მაინცა და ამის უკვდავების უებარი წამალი:

— ფული და გარჯა. აჰა, აიღე და გაათავე!

ესეც მართალია რომ ცისკარს არა აქვს ერთი გამოკვლეული მიმართულება, ის არასდევს მიზანში ამოღებულ ნიშანს, რომელიც შეადგენს ჟურნალის მიუცილებელ თვისებას და ღირსებას. ესეც მართალია რომ ხშირად ერთი მეორის წინააღმდეგი ჰზრები გაივლის ხოლმე ცისკრის ფურცლებზედ, — მაგრამ როგორა გნებავთ რომ ერთი მიმართულება ჰქონდეს და ერთ აზროვანი იყვეს როდესაც თორმეტი წლის ბავშიდგან (ეს ქოხა მატყუარობა არ გეგონოთ, თუ გნებავსთ ნახეთ ყაზიბეგის «ნანა») ოთხმოცი წლის ბერიკაცამდინ ვინც კი რამეს მოისურვებს საქვეყნოთ გამოაშკარებას ცისკრის რედაქციაში მიარბენიებს. სადაც ზოგი ერთი მესტვირე პოეტების «ქარის წისქვილის» და «უცნაურიარსებას» მაღალსულოვნებითი მნიშვნელობა ზესთაშთაგონებით აღუფეთქს გულის წმიდის ალსა ისწრაფის გააცნოს ცისკრის მკითხველი, თითქოს ისინი მოვალენი იყვნენ მოწიწებით მოისმინონ სადაც კი მესტვირის მინაქონები ფთა ანუ ზეწვი რაღაც უაღრეს უცნაურ არსებათ მოეფეთოს ვითომც ერთი ჭეშმარიტებით ქართველები წინ წავიდნენ. ბევრჯელ დავფიქრებულვარ, — რა მგონიათ ძლება ბეჭვდა და რაებსა ბეჭდამენ. აი სწორეთ ამ გვარ მწერლებზედ ამბობს უწარჩინებულესი ინგლისის ისტორიკოსი ბოკლი, რომ წიგნების ბეჭვდის მოგონებამ დიდი ვნება მოუტანა სახსარსა და მართალიც არის ასა, თუ ღმერთი გრწამთ, ვინ გამოიბრიყვებდა თავსა, თვალებს წაისდენდა და ან დროს ვინ დაჰკარგავდა მესტვირე მწერლების ქმნილებაზედ თუ არ დაბეჭდილიყო. იქნება, მართლა, ეგონოს

ვისმეს რომ ვნებას არაფერი მოაქვს საზოგადოებისათვის ამგვარ მწერლობაო? არა, არა, ასე ნუ ჰგონია:—გარწმუნებთ დიდი და უმთავრესი —ხალხს აბრუებენ და ამინებენ, მეტადრე ეს, კიდევ გავიმეორებ ბლიაძე სუსტვირეები რომლებიც პოეტობას ჩემულობენ.(იმით ურგებობას და ვნებას დავანახვებ ცისკრის მკითხველებს როგორც შესაძლო იქნება.

ვიცი თქუჱნ ამაზედ მიპასუხებთ: რედაკტორმაც თავი დაანებოს, ნუ ბეჭდავს უძვლო-უფხო მწერლების ნამუშავარსაო. ეს კარგი, მაგრამ ისიც იფიქრეთ, რამტელი მანეთით უნდა იყოს ცისკარი ზარალში ამისგამო, შენ ეს მიბძანე, თორემ უარის თქმა ადვილია! ხოლო თუ ფული არ იქნება არც ცისკარი იქნება. ამასთანავე, როგორა გნებავთ უსარჯოთ ერთი აზრის ხალხი იპოვნოთ საქართველოში და თანამშრომელებათ გაიხადოთ. ცისკრის რედაქცია, ჩუჱნი ქართველების მოწყალებით, არის, ვთქოთ, ქილა ეკკლესიაში რომ განზანავიხთჳს ჩამოატარებენ ხოლმე, როგორც აქ ფულს აგდებენ ქრისტეს სახელზედ, ისე იქ ღჳთის გულისათჳს სხჳა და სხჳა სტატიებს,—ახლა როგორ დაივლით და როგორ ეტყვით ეკკლესიაში, რომ უთუოთ სულ თეთრი ფული ჩაჰყარეთო, თორემ შავი ფულის სიმძიმე ძირს გააგდებინებსო, მაშინ ისინი იმასაც აღარ შეჰსწირამენ,—ცისკრის რედაქციის საქმეც ასეა. ღონისძიება ჰქონდეს ამაყათ იქნება იმ იმედით, რომ სხვის კალში შემაცქირალი არ არის და რაც სხჳა აზრის სტატიები იქნება—გაბედვით უარს ეტყვის დაბეჭვდვაზედ და თუ ეხლას უთხრა უარი, მაშინ ცისკრის სიცოცხლეც საეჭო იქნება, ამიტომ, რომ იქნება წელიწადი გავიდეს—ერთი ჰაზრის სტატიები სამმა არ მიიტანოს რედაქციაში დასაბეჭდათ და სად უტადოს გულკეთ დაკრეფილმა რედაკტორმა—ღჳთის გულისათჳს მოწყალის თვალით ვინ გამოიხედამსო. სულ თითონა სწეროს, ის რა ბევრის კაცია,—აწერინოს ვისმეს—ფული უნდა, რომელიც არ უჭყავის ცისკარს, ჩუჱნი მოწყალეებით და მუქთათვი რიგიანს არავინ გზავნის. აბა, რასა ბრძანებთ ამისთანა უსუსურ-გარიყვის დროსა, ტივი რომ რჩება ორ წყალ შუა?! სადღა გამოუდგეს კაცი მიმართულებას? ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, ჩუჱნი ჟურნალი ჟურნალს არა ჰგავს, მეტად ბევრი რამე აკლია, ადვილიკია ამისი გაკეთება. ამის მალამო არის ფული და კალმი, რომლებითაც ჩუჱნ არც ისე ღარიბე-

ბი ვართ, როგორც ზოგი ერთნი წუწუნებენ.

მარტო აქ არის ეჭვი ერთ ჰაზრში: იქნება უსარგებლო ჰგონის ვისმეს ჯერ ჟურნალი, საზოგადოთ ჟურნალი და მეორე ჩუენ ენაზედ.

ჟურნალის დანიშნულება და იმისი სარგებლობა ძალიან კარგად წარმოგვიდგინა ილია ჭავჭავაძემ «საქ. მოამბეში.» ვისაც სურს ვრცლად იქ შეუძლიან წაკითხვა, ამიტომ მე აქ მხოლოდ ცოტა ოდენ რასმეს ვიტყვი ჟურნალის სარგებლობაზედ და იმის საჭიროებაზედ ჩუენთჳს.

როდესაც მოგვებსა და მეუდაბნოებს მოსცილდათ მწიგნობრობის და სწავლის მფარველობის და პატრონობის თანამდებობა, როდესაც ხალხმა გაიგო რომ ყველას ნება აქვს სწავლა-განათლებისა, რომელსაც იჩემებდნენ მხოლოდ რომელნიმე ამქარნი, გამორჩენილნი გვამნი; როდესაც მონასტერი და ციხე ქალაქების კედლების გარეთ გამოყვანა დაბეჭდებულმა და გაყვითლებულმა წიგნის ფურცლებმა ძველის მამა-პაპურის სიბრძნით,—მაშინ ყველამ სცნა, რომ სხვათაც არა ვითარიმე ბიწიერება არ აბრკოლებს სწავლა-განათლებაზედ; მაგრამ, ჟურნალებამდინ;ჯერ კიდევ შორს იყო სწავლა განათლება; ჯერ ხანობით განვრცელდა ხალხში როგორც სიმდიდრე ანუ თავის მოსაწონარი რამ ქონება, დიდება, რომლის პატრონად ვერ შეეძლო გამხდარიყო ყველა მომაკუდავი, ერთის სიტყვით ბევრმა დროებამ გაიარა მანამ წერა კითხვა, სწავლა განათლება ხალხის მიუცილებელ სახმარ საზრდელად გახდებოდა, როგორც წყალი და პური, ხოლო როდესაცკი ეს მოხდა, მას აქეთ მეცნიერებამ .წინ წაიწია არათუ ასის წლობით და თვეობით,—არამედ თითო დღეობით და საათობით ეტყობოდა წინ მოძრაობა! აი, მაშინ საჭირო გახდა სწრაფი გადაცემა ერთი ერთმანერთისთჳს ცოცხალი ჰაზრებისა. ერთი სიტყვით საჭირო გახდა რომ ცოტას ხანში ბევრმა განათლებულმა გვამებმა იფიქრონ საზოგადო კეთილზედ, იმ წინა დადებაზედ, რომელსაც თითონ სიცოცხლე აღმოაცენებდა და ახსნას მოითხოვდა. ამ გვარად საჭირო გახდა თითონ საზოგადოებას მსწრაფლად მიეცა პასუხი სიცოცხლისათჳს მწერლების პირით.—ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებულ მწერლობას დაერქვა ჟურნალი,—ე. ი. აღმოჩენილი ცხოვრების სურათისა და ხალხის თანამედროვე ჰაზრებისა; პირველი გაზეთი გამოვიდა საფრანგეთში, პარიჟში, რიშელიოს დროსა. ერთს ექიმს მოუვიდა თავში

ჰაზრი, რომ ავათმყოფების მასაქცევად ახალ-ახალ ამბების დაწერა და დარიგება სახლებში, სადაც თჳთონ დადიოდა, არ იქნებოდა ცუდი, აიღო დასწერა ჯერ ახალი ამბები, მერმე მთავრობის განკარგულებანი და უკანასკნელ სტატიები სხჳა და სხჳა გვარი სწავლა განათლების შესახებ. ჩუენ დროში თუკი იცის ვინმე და ვინ არ იცის?! ჰსწავლა განათლების ღირსება, რომლის შეძინებაც მიაჩნია არა თავის საქებურად და საკვეხურად, არამედ მიუცილებელ კეთილ-მმღვანველად სიცოცხლეში, კეთილი, ჭკვიანი და უნაკლულო ცხოვრების მასალათ და წყაროთ, — ის უთუოთ ჟურნალის დანიშნულებასაც დაათვასებს ღირსეულად. მაგრამ ამისთანა ჟურნალი როგორც ახლანდელი ცისკარი, რომელშიაც არა ვითარიმე ჩუენი დროების ჰაზრი, რომელზედაც ჩუენი ხალხი ფიქრობს და ახსნაც უნდა, — არ გაივლის იმის ფურცლებზედ. არა ცოცხალი წინადადება არ ჩაჯდება იმის სტრიქონებში, ჩუენი და კიდევ ზოგი ერთი პატრონების მოწყალებით რასაკვირველია, ეს სულ დაუკარგავს კაცს ხალისსა და წადილსა. ვინ არ იტყვის რა მომღერება და მებაიათება, შინ შჳლები შიმშილით მიწვიანო. . . . . . . . . . . ასე თქო «კოკორის» ლექსში ჩუენი დროების უკვდავა სახალხო პოეტმა...... იმ მამაცხონებულებს ჰგონიათ ამით ქართველებს ალხენენ და მასაქცევენ ისკი არა თუ ყრუსანტელის მეტს ვერას დაბადებენ ჩუენ გვამში და ისე გამოდის როგორც დაკოდილს სასიკუჳდინედ და შიმშილისაგანაც შებნედილს კაცს მიუშველოს ვინმე და მარტო ბუზებს უგერებდეს, ეგონოსკი რომ ამით დიდ მოწყალებას ჰშვრებს — უბედურება ეს არის, რომ ჩუენი პოეტები ამასაც არ სცნადიან. ამ დღივ გაუდით: «ნიმფნი რხევით ხეირობენ ახოვოდელოს დარაზმულნი», — ნეტავი ჰაზრი მაინც იყოს რამე ამ გვარ ლექსებში. სულ ბაიათები, საყვარლები, ლამაზები, ღვინო, გაზაფხული, გარიყრაყი, მასკუჳლავი; რა დაემართათ, რით ვერ მოსწყინდათ მამაცხონებულებს — ამტკლი ოცნებით ფერენა, ახლა დამჯდარ ჭკუა-გონებასაც მისცენ ნება მუშაობისა; თითქო, ექვსი შჳდი წლის ყმაწჳლები გამოუყვანიათ შკოლიდგან მაისის ამწვანებულ ყვავილოვან მინდორშიო სათამაშოთაო, რომელების სული და გული ისე ღვივის და იმღერის, როგორც მაისის ველი, ისინიც იქ რასაკვირველია ირბენენ და იცელქებენ რაც ძალი და ღონე აქუსთ მეტი არაფრის დარდი ჰაზრათ არ მოუათ; ჩუენი პოეტებიც სწორეთ იმ ყმაწჳლებს

ჰზაძამენ. «გოჯორის» მოლექსემ მე მგონია «ქარის წისქვილში» თავი-სი მგზავსი მესტვირეების სურათი წარმოგვიდგინა. . . . . . . . . . . . ასე გასინჯეთ თავის თავსაც არ დაეკითხებიან ხოლმე, ამიტომ რომ ისინი ამას ეძახიან საიდუმლო წუთს ზესთშთაგონებისას და საღმრთო ალის აღფეთქისას, რომელსაც მოკლებულნი არიან ყვე-ლა მომაკვდავნი, ვისაცკი იმათსავით ლექსებს . , . . . . არ აზ-მუვ[illegible]ებენ . . . ამ გვარად თავის ჭკუაში ზემოხსენებულნი მწერლე-ბი ყველა პასუხის გებიდგან თავისუფალნი არიან. მე ამას მოგახსე-ნებთ მარტო ამ გვარ პოეტებზედ . . . . და არა ნამდვილ და ჭეშმარიტ პოეტებზედ, თუმც იმაებზედაც კოტრათ გასლავართ ჩვენს, მაგრამ ნათქომია «სადაც არ იყვნენ, ცოტა კმარ იყვნენო». იმა-თზედ მერე იყოს და ჩვენ ჟურნალის სარგებლობას მიუბრუნდეთ ქართულ ენაზედ. მაგრამ ამაზედ ლაპარაკი ეხლა მგონია სასაცილო იქნეს. ამას დიდი ფილოსოფიური თავის ტეხა არ უნდა, მარტო კაცს შეეძლოს თვალის გახილება და ცხადათ დაინახამს, თუ რა სარ-გებლობა მოუტანა და მოაქვს კაცობრიობისათჳს. . . . . . . . . . . . ჟურნალს მიეცა უფრო დიდი მნიშვნელობა ჩვენ დროში, როდესაც ჰაზრების გარდაცემ-გარდმოცემა ერთ ერთმანერ-თისთჳს გახდა ისე ადვილი და ისე დროებამ მოითხოვა, როგორც კაცობრიობისათჳს ორთქლის ძალით მცურავი გემი და მშრალზედ მოსი-არულე ეტლი, ტელეგრაფი, ამბების მსწრაფლად შეტყობინებისთჳს, თითონ წიგნის მეჭდის სახის გადასალები ხელოხნობა (ფოტოგრა-ფია) და მრავალნი ამ გვარნი მოგონებანი, რომლებიც არ იცოდნენ ჩვენი ძველთ წინაპართ, მაგრამ ეხლაკი დროებამ და სიცოცხლემ მოითხოვა; აგრეთვე ჰაზრისა, სურვილისა და გრძნობის გარდასაცე-მათ მოიგონეს ჟურნალები, გაზეთები და მრავალნი ამ გვარნი ღო-ნისძიებანი ხალხის სიღარიბის . , - . შესამუსრავათ. ამ ღო-ნისძიებაების სიკეთე მდგომარეობს მასში, რომ მცირე ხანში ბევ-რი საქმე კარგად გააკეთოს, რომელიც უდრიდეს და კიდეც გარდაამე-ტოს კაცის კალმით ნამუშავარს როგორც დროთი ისე შინაგანი ღი-რსებით. ხოლო დროებას რა დიდი ფასი აქვს, მე მგონი, ყველამ იცის. თუ დროებას მოიგებს კაცი, ვითომ სიმდიდრე მოუგია, რად-განაც დროთი ყველა შეიძლება იშოვნოს კაცმა.

ჟურნალის ამ გვარ დანიშნულებიდგანა სჩანს იმისავე სარგებლო-

ბა ჩუენ ენაზედაც. ამის დასამტკიცებლად ყველას მიზეზებს რომ თავი დავანებოთ ეს მაინც უნდა ვთქვათ, რომ ყველას ხომ არ შეუძლიან სხჳა ენებზედ წაკითხვა და გაგება, ჟურნალებისა; თუნდ ვთქვათ შეეძლოს, — წელიწადში თუმან ნახევრის გაღება და რიგიანი რუსული ჟურნალის გამოწერა როგორ მოგწონთ?! ამაზედ არას მოგახსენებთ, მართო ვიტყვით რომ ქართულ ენაზედ ერთი რიგიანი ჟურნალი საჭირო არის, მეტათ რომ ფასიც უფრო ადვილი მისაწდომია და ისიც მოქცევა იმაში რაც უფრო ახლოა ჩუენზედ. ამითი მე სრულაც არ მინდა ვთქო, რომ სხჳა ენებზედ ჟურნალის წაკითხვა უსარგებლო იყოს, — არა ამითი მხოლოდ მინდა ვთქო, რომ მომატებული ნაწილი ქართველობა უმეტეს სარგებლობას მიიღებდა სამშობლო ენაზედ რომ იყოს რიგიანი ჟურნალი. ჯერ ხანობით ამაზედ მეტი არა გვეთქმის რა. ამითი მართო მინდოდა მეთქო, რომ ჟურნალს უნდა ჰქონდეს უთუოთ მაია (გადაჭრილი ხარჯი) რომლითაც ჯაფა უნდა ჯილდოვდებოდეს ყველა გვამისა, ვინცკი მონაწილეობას მიიღებს იმის გამოცემაში, თუ არა ვერას გზით ფეხს ვერ მოიკიდებს არამთუ საქართველოში, არამედ უმაღლეს განათლებულ სალხეშიაც, სადაც უკეთ ეყურებათ კაცობრიობის დანიშნულებას და . . . . მერე მინდოდა მეთქო, რომ ჩუენ ნებიერ და დარბაისელ ქართველებს საქმის დაზათიანათ გაკეთება კი უნდათ და თითონკი არას მხრით კელს არ წააშველებენ, უმეტეს ისინი, რომლებმაც სხჳათ მაგალითი უნდა აჩვენონ ერთმანერთის გამხნევებისა. კიდევ მინდოდა მეთქო რომ რადგანაც ჩუენმა რიგიანმა მწერლებმა . . . . კელებზედ ინა დაიდეს, რომ არ . . . . . რასაკჳრველია მაშინ ეს მესტვირე პოეტები უნდა აღორძინებულიყვნენ და მართლა ასე მოხდა, — იმათგან, ერთი მოლექსე წარმოვადგინე ვითარცა დაუცხრომელი მუშაკი და მგალობელი მარადღიური ცხოვრებისა! ბოლოს მინდოდა მეთქო ჟურნალების მნიშვნელობა და იმითი სარგებლობა ჩუენ ენაზედ, — რავდენათ ავასრულე ესა, ეს მკითხველებმა იცის და, ვაყო ჭირვეულობა რიგით არის; მე ეს დამიწერია და ვინც უფრო კარგს დასწერს, ეგ უფრო კარგი, იმან ის წაგვაკითხოს, ვასტანგ მეფისა არ იყოს თავის რჯულებზედ რომ ამბობს. —

სუციშჳლი,

ჩყჲე წელსა, იე დღესა. ქ. ტფილისს.

## 2) სამოსახლოთათჳს

**28.** გლეხების სამოსახლოდ ანუ ეზოდ ითქმის ერთიან ის მიწა, რომელზედაც აქვსთ გლეხებს სახლი და სახლ-კარიანობა, აგრეთვე პი-რუტყვების გამოსაშვებიც.

შენიშნვა. გლეხების სახლ-კარიანობას ეკუთვნიან: ქართა, ბო-სელი ანუ სახვადგე, ეზოს კალო, ბეღელი, სასიმინდე, ხულა და საბძელი; ხოლო პირუტყვის გამოსაშვები ჰქვიან იმ ადგილს, რომელიც საკუთრივ ამისთჳს მიჩენილ ექნება ცალკე თჳთოს კომლს და მიეკვრის იმის სახლს და სახლ-კარიანობას.

**29.** თუ ეზოს მიწა, რომელზედაც ჰსდგანან შენობაები, სხვა და სხვას კუთვნილებით და პირუტყვის გამოსაშვებით, არ გაერჩევა ცხადის სამზღვრით ვენახიდგან, აგრეთვე ხნულების და სხვა ველის მამულები-დგან. მაშინ სამზღვარი ესე, იმა მიწათა შორის, უნდა გაევლოს მე-ბატონის და გლეხების ერთმანერთში კეთილ-შეთანხმებით, და თუ შე-თანხმება არ მოხდა, მიროვის პოსრედნიკის გარდაწყვეტილობით. არასდროს კი სამოსახლო მიწა ერთის კომლის გლეხისა არ უნდა იყოს ერთ ქცევაზედ მეტი.

**30.** გლეხების სავაჭრო და სხვა ალებ-მიცემის გამართულობანი, ესე იგი: ფაბრიკები, ზავოდები, წისქვილები, დუქნები და სხვანი, ამასთან-ბოსტნები, საფუტკრეები და სხვა ამგვარები, რომელნიც ზედ აკვ-რიან გლეხები სამოსახლოს რიცხვში.

## 3) ვენახთათჳს.

**31.** დაბლარ ვენახად ითქმის ის ნაწილი შემოღობილის სავენახედ ადგილისა, რომელზედაც გაშენებულ არიან ვაზები და ამასთანავე ხი-ლის, ბჟოლის და ნიგვზის ხეები; ხოლო დანაშთენი იმ ადგილისა კარგისი სავენახედ, უნდა დაუბრუნდეს მებატონეს საკუთარს განკე-

ზამა, თუ რომ ორის წლის განმავალობაში, დღიდგან ამ კანონების დამტკიცებისა, გლეხი არ გააშენებს იმ ადგილზედ ვაზებსა.

შენიშნვა 1. ნება დაბრუნებისათჳს ცარიელის ადგილისა თავის განგეობაში მებატონემ უნდა ითხოვოს მიროვის პოსრედნიკისაგან.

შენიშნვა 2. თუ მოჭრა ვენახისაგან ცარიელის ადგილისა, რომელიც უნდა დაუბრუნდეს მებატონეს გაუშენებლობის გამო მასზედ ვაზებისა, არ მოხერხდა ადგილის მდგომარეობით, მაშინ გლეხი მოვალეა აძლიოს ამ ადგილისათვის მებატონეს დაწესებული გარდასახადი. რაც შეხვდება ცარიელის ადგილის შესწორებით იმავე ვენახის სხვა ნაწილებთან.

**32**. მაღლარ ვენახად ითქმის მთელი ის ადგილი, რომელზედაც გაშენებულ არიან ვაზები, ნაყოფ-მომცემი ხეები (მუხლი **31**), და აგრეთვე ხნულები და სხვა მიწები, რაც იმ ვაზების გარეშე, ერთ სამზღვარში, იმყოფებიან.

შენიშნვა. თუ მებატონისა და გლეხის შორის მოხდა ცილება, თუ როგორ უნდა ჩაიგდებოდეს მიწა, რომელზედაც გაშენებულ არიან ვაზები, ესე იგი უნდა ჩაიგდოს, ვაზების რიცხვისა გამო, მაღლარ ვენახად თუ ველის მამულად, მაშინ დავა ამაზედ გადასწყდება მიროვის პოსრედნიკისაგან იმა მიხედვით, როგორც თვითოეულს ადგილში არის ჩვეულება მაღლარის ვენახის გაშენებისა.

**33**. მაღლარისათჳს, რომელიც უნდა მიჩენილ-იქმნას გლეხთა, დაწესდება უმაღლესი ზომა ოთხი ქცევა.

**34**. გლეხების მაღლარის მიწა, თუ აღმოჩნდა მომატებულ დაწესებულის წინა მუხლში უმაღლესის ზომისა, შეირიცხება ველის მამულად და შემოვალს საზოგადოს ამ მამულზედ კანონებ ქვეშ.

**35**. თუ გლეხს აქჳს თავის სარგებლობაში დაბლარი ვენახი, რომელიც არის არა ნაკლებ ორის ქცევისა, მაშინ ეს დაბლარი ვენახი შეირიცხება ველის მამულად, მგზავსად იმისა, როგორც დაწესებულია წინა მუხლში.

**4**) სანასიროთა და სამოვებელ ადგილთათჳს.

**36**. თუ გარდა გამოსაშვებთა ადგილთა, რომელნიც არიან გლე-

ხების სამოსახლოთ სამზღვარში (მუხლი 28), გლეხნი ხმარობენ მებატონესთან ერთად კუთვნილთა მისდა სანახიროთა და საძოვებელ-ადგილთა, მაშინ ხმარება ესე დაშთება იმავ რიგით, როგორც სად რაჩვეულება არს მიღებული და საფუძველთა ზედაცა დაწესებულთა 26—28 მუხლთა შინა ადგილობითის ტფილისის გუბერნიის წესდებისათა.

37, ველის მიწათათჳს დაიდება საკუთარი ზომა, რომელიც შეიცავს ოთხ ქცევას და ჰქვიან სახელად გორენნი, ანუ მირი ველის მიწა.

6) ზომისა და წოდებისათჳს საკომურ ნაწილთა.

38. ამ მირის მიწის გარდა, რაც კიდევ სივრცე დარჩება მიჩენილს გლეხთადმი საკომურ ველის მიწაში, იწოდების ზედ-დამატებულ ნაწილად.

6) მიწილვისათჳს მისაჩენის მამულისა.

39. იმ სოფლებში, სადაც მებატონეს ექმნება უფლება ჩამოაჭრას ანუ მოუკლოს გლეხებს იმათ სარგებლობაში მყოფის მიწიდგან ნაწილი, რათა გაიკეთოს თვითონ, 25 მუხლის ძალითა, ნახევარი ერთიან კუთვნილთა მისდა ველის მიწათა და მოინდომებს კიდეცა ისარგებლოს ამ უფლებით, იქ მოჭრა ანუ მოკლება ესე უნდა იქნას საფუძველთა ზედა 40 და 41 მუხლთა შინა ჩვენებულთა.

40. საგლეხო ველის მამულები შეიძლება მოჭრილ-იქმნენ გლეხების მიჩენილ მიწებიდგან (მუხლი 39) მხოლოდ იმ ერთ შემთხვევაში, როცა ამ მამულების რაოდენობა აღემატება მირის მიწასა. მაგრამ კი თუ რაოდენობა საგლეხო ველის მამულებისა არ აღემატება მირის მიწასა, მაშინ გლეხს აქვს უფლება დაიტოვოს თავისთჳს, მირის მიწის რიცხვში, ის ამ ველის მამულების ნაწილიცა, რომელიც 24-ის მუხლის ძალით მებატონეს აქვს ნება თავისთჳს ჩამოჭრას, მაგრამ ამ შემთხვევაში მებატონეს შეუძლია მოსთხოვოს გლეხსა იმ ნაწილისათჳს მომატებული გარდასახადი მეათედით მეტი შესახვედრს მისდა, ძალითა 72 და 78 მუხლთა, შეთანხმად მოსავალზედ. განსაკუთრებულის თხოვნისა გამო მებატონისა, წარდგენილისა მიროვის

პოსრედნიკის საშუალობით, გუბერნსკის საგლეხო საქმეების პრისუტსტვიეს ნება აქუს შესახვედრი გლეხისაგან ამ გვარის მიწისათჳს გარდასახადი ადუმატოს მოსავლის მესამედამდინაც, უკეთუ მებატონე დაამტკიცებს, რომ იმ სოფელში გინა მახლობელ მისდა სოფლებში ჩვეულებრივი ქირა გაცემულის მიწისათჳს არ არი ნაკლები მესამედის მოსავლისა, და რომ დატევებული გლეხისადმი მიწა მომატებულის გარდასახადით ეკუთვნის უმჯობესს იმ ადგილებში მიწებს.

შენიშვნა, რაჭის უეზდში, სადაც ყველგან კაი ფასად გაქირავდება მიწა, გლეხი ვალდებულია ჩამოსაჭრელის მიწისათჳს აძლიოს მესამედი მოსავალი. თუ რომ მოჰსთხოვა ესე მებატონემ; მაგრამკი, თუ გლეხმა დაამტკიცა, რომ ხსენებული მიწა არ შემოვა კაიფასიან მიწების რიცხვში, მაშინ მიროვის პოსრედნიკი მოჰსთხოვს ნება-დართვას გუბერნსკის პრისუტსტვიეს, რათამცა მომატებული გარდასახადი იყოს მხოლოდ მეათედით მეტი დაწესებულს მეოთხედს ნაწილზედ.

41. ჩამოიჭრებიან ჯერ თავდაპირველ სულ ის მიწები, რომელნიც აღემატებიან რაოდენობით დაწესებულს 25-ს მუხლში უმაღლესს მისაჩენის ველის მიწის ზომას; მას უკან რაც დააკლდება — ჩამოიჭრება იმ მიწებიდგან, რომელნიც აღემატებიან დაწესებულს 37 მუხლში ძირის მიწას; ამასთან მიიქცევიან საკუთარს მებატონის განკარგულებაში ჯერ ის ნაწილები, რომელნიც არ არიან მიგრეული გლეხების სამოსახლოებზედ.

შენიშვნა 1. რადგანაც მებატონეს აქმნება უფლება ჩამოართვას გლეხებს მიწა შესავსებელად კუთვნილისა მისდა ველის მამულების ნაწყვეტისა (მუხლი 24), მაშინ ანგარიშში მიიღებიან ერთიან ის მიწები, რომელნიც გინდეც ხნულან და თიბულან. მაგრამ, თუ გარდა ამ მიწათა, მებატონეს შორის აღმოჰსჩნდა სხჳა მიწა, ცარიელად მდგომი, ტყით შევსებული ანუ სამოვრის მსგავსად ხმარებული, მაშინ გლეხთ შეუძლიანთ, ჩამოართმეულის მათგან ველის მიწების სამაგიეროდ, მიიღონ თანასწორი იმისი, რაცკი ამ ჩამოჭრილობით დააკლდებათ; მაგრამ მთელი მიჩენილი ველის მიწა ერთს კომლს არ უნდა ჰქონდეს მეტი იმ უმაღლესს ზომაზედ, რომელიც არის ამ მიწისათჳს დაწესებული (მუხლში 25), მიცემული გლეხთადმი სანაცვლოდ

მიწა არ შეკა სანახიროთ და სამოკუბლე ადგილთ რიცხვში, რომლების ხმარება არ დაეშლებათ გლეხთ უწინდელებ საზოგადოს წესით.

შენიშვნა 2. გლეხნი, რომელნიც სამაგიეროდ ჩამორთმეულთა მათგან მიწათა, მიიღებენ ტყით შეკხებულთა და გასაწმენდთა ადგილთა, განთავისუფლდებიან გადასახადის მიცემისაგან ამ ადგილებისათჳს ორის წლის განმავლობაში.

**42**. როცა მებატონე მოითხოვს, რომ ჩამოართვას გლეხს მყოფი მის სარგებლობაში მიწები, მაშინ გლეხს ნება მიეცემა აარჩიოს მისაჩენი მისდა მიწა უმეტეს იმ ადგილებში, რომელნიც აკრავენ იმის სამოსახლოს.

**43**. როცა მებატონე გადასწყვიტავს თავისთჳს მაღლარის ვენახს, რომელიც ირიცხება ველის მამულად (მუხლი **34** და **35**), მაშინ იგი დააკმაყოფილებს გლეხსა ვაზის და ხეხილის (მუხლი **31** და **32**) დანერგილობათათჳს, კეთილნებითის მასთან თანხმობით, და თუ თანხმობით, არ მოხდა—გადაწყვეტილობით მიროვის პოსრედნიკისა, რომელიც ამ შემთხვევაში მოიქცევა ადგილობითის ჩვეულებითის მიხედვით.

**44**. როცა ვენახები ანუ ველის მიწები, რომელნიც ძირის მიწის ზომაზედ (მუხლი **37**) მეტი არ არიან, განუშორებლად აკრავენ გლეხის სამოსახლოს, მაშინ იმ ვენახების და მიწების წაღება მებატონისაგან თავისთჳს, გლეხის შესაფერად დაკმაყოფილებითა, არ შეიძლება მოხდეს, ვიდრემდის სამოსახლო არ შემოიფარგლება.

**45**. თუ მამულში, რომელიც შერეულია სხჳსა და სხჳსა მებატონის მამულებთან, მებატონემ მოინდომა მათთან გამიჯვნა, და ამისათჳს. ნაწყვეტების შესაკრებლად, საჭიროდ დაისახა მოჰკვეთალოს გლეხების ველში მყოფი ნაკვეთი მიწები, მაშინ ეს გაცვლა უნდა მოხდეს თანხმობით იმ გლეხებისა, რომლების მიწებიც უნდა ერგოს სხჳსა მებატონეებს.

**46**. გლეხების გარდასახლების დროს უნდა მიეცეთ მათ, ახალის მოსახლობისათჳს იმოდენი საეზოვე ადგილი, მისაჩენის მიწის ანგარიშში, რამოდენიც ჰქონიათ უწინ ეზოდ, მაგრამ ყოველს შემთხვევაში არა ნაკლებ ერთის ქცევისა კომლზედ; და თუ უწინდელს მოსახლობასთან ჰქონიათ საქონლის გამოსაშვებიცა, მაშინ არა ნაკლებ

ქცევა ნასყვრის კომლზედ.

7) გაცვლისათჳს მამულთა,

**47.** როცა ვალდებულებითი მამულების გაცვლა მოხდება, მაშინ რაც განონებიას დადებული გლეხების სამოსახლოთათჳს, ის განომებიზე გასუვრცობიან ვენახებსა, აგრეთვე ველის მიწასაცა (არა უმეტეს ძირის მიწის ზომისა), რომელიც მოუმორებლად აკრავს სამოსახლოთა (მუხლი **44**).

8) სარგებლობა გლეხთა-მიერ მიწით და სხვა მამულებით.

**48.** ვენახები, ყოველივე ვაჭრობის და სხვა აღებ-მიცემის შენობაები, რომელიც მოუმორებლად აკრავს ეზოს ანუ სამოსახლოს, გარდაცემის დროს უცნოთ პირთადმი, შემოვლენ ერთსა და იმავე განოსებ ქვეშ, როგორათაც სამოსახლო და ველის მიწები; მაგრამ-კი, თუ არ აკრავს სამოსახლოს, მაშინ გლეხთა მიეცემათ ნება გარდაჰჭრცენ იგინი ყველგან წლების პირთაცა განურჩევლად.

შენიშვნა. ვენახები, აგრეთვე ვაჭრობის და სხვა აღებ-მიცემის შენობაები, რომელიც არ აკრავს ეზოს ანუ სამოსახლოს, მებატონეს შეუძლია შეისყიდოს თავისთჳს იმ ფასად, როგორც ისინი სხჳა გარეშე კაცზედ გაყიდულ იქმნებიან. სურვილი ამაზედ მებატონემ უნდა გამოაცხადოს მიროვის პოსრედნიკის წინაშე არა გვიან ერთის წლისა, დღიდგან მამულების გარდასვლის მხყიდველის მფლობელობაში. ამასთანავე მებატონე მოვალეა გარდუხადოს მხყიდველს იმისათჳსაც, თუ რომ გაუკეთებია რამ იმას იმა დროსა განმავლობაში.

**49.** საკომლო მიწების გარდასვლის დროს მემკვიდრეობით, როგორათაც სამოსახლო და ვენახები, აგრეთვე ველის მიწებიცა შეიძლება დაიყვნენ ნაწილ-ნაწილად, მაგრამ ისე, რომ თჳთო ნაწილი ველის მიწისა და მაღლარის ვენახისა არა იქმნეს ერთ ქცევაზედ ნაკლები, ხოლო დაბლარის ვენახისა და სამოსახლოსი არა იქმნეს ნახევარ ქცევაზედ ნაკლები.

**50.** იმ შემთხვევაში, როცა მაღლარი ვენახი გლეხის დაუდევრელობით მისწყულ იქმნება იქამდის, რომ დაიკლებს მესამედ მოსავალს

მებატონეს აქუს უფლება მოჰსთხოვოს ზიანი ანუ დანაკლისი, რომელსაც განაწესებს მიროვის პოსრედნიკი.

**51.** თუ გლეხმაჯარ მოინდომა დაიტოვოს თავის სანიადაგო სარგებლობაში დაბლარი ვენახი, მაშინ იგი მოვალეა მიჩენილი მისდა მცირე ტყის ნაწილი — სასარდნე ანუ სახარე (მუხლი 27) დაუბრუნოს საკუთარ გამგეობაში მებატონეს.

**52.** ველის მიწები, რომელნიც, პირველთ ცხრა წელთ განმავლობაში დღიდგან დამტკიცებისა ამა კანონთა, გაუქმდებიან ანუ გასდებიან ბეითალმანად, და რომლებსაც დანარჩენის მასუკან ერთიან მიჩენილის ველის მიწების რიცხვიდგან შეხვდება თჳთო კომლზედ ნაკლებ ძირის მიწის ზომისა, აგრეთვე გაუქმებული იმავე ვადის განმავლობაში სახლის და სახლკარიანობის შენობები, მიერთვიან დაბოლოებით სამებატონო მიწებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ გლეხების საზოგადოებისგან არავინ აღმოჩნდა მსურველი მიიღოს იგინი თავის სანიადაგო სარგებლობაში დაწესებულის გარდასახადით.

**53.** სრულიად და თჳნიერ ყოვლის მიზეზისა მიერთვიან სამებატონო მიწებს ის ყოველი გლეხთადმი მიჩენილი მიწები, რომელნიც შეიქმნებიან ბეითალმანად უკვე შემდგომ განვლისა პირველთა ცხრათა წელთა ამ კანონების დამტკიცების დღიდგან.

### გ. განსხვავებანი მცირე მამულიანთ მებატონეთათჳს მიჩენისა გამო გლეხთადმი და სარგებლობისა მათ-მიერ მიწითა და სხვა მამულებითა.

**54.** მცირე-მამულიან მებატონედ შეირიცხება ის მებატონე, რომელსაც სულ კუთვნილი მისდა ვარგისი მიწა (სახნავი, სათიბი და საძოვარი), მყოფი როგორათაც გლეხების სარგებლობაში, აგრეთვე იმის საკუთარ გამგეობაში, ამასთანავე მიწაცა გლეხების მაღლარებ ქვეშ (შერიცხული **34** და **35** მუხლების ძალით ველის მამულად), იმის დასახლებულს მამულში — ერთს სოფელშია თუ რამდენსამე გუბერნიის სოფლებში, ეს მამული — აქუს ნაკლებ სამოცის ქცევისა.

**55** როცა, **24** მუხლის ძალით, უნდა ჩამოეჭრასთ გლეხთ მიჩენილის მიწიდგან ნაწილი მებატონისათჳს, მაშინ მცირე-მამულიან მებატონეს აქვს უფლება დაიტოვოს საკუთარ თავის განკარგულებაში არა უმცირეს ოცდა ათის ქცევისა, სულ ერთიან კუთვნილის მისდა

იმ სოფელში სასაფლაოსათჳსის და სათიბის ადგილებიდგან და გლეხების მაღლარების რიცხვიდგანაც, რომელიც იქნება შერიცხული 34 და 35 მუხლების ძალით ველის მამულად, თუნდ რომ კიდეც ეს ზომა მეტიც იყოს შესახვედრს მასდა ხსენებულის 24-ს მუხლის ძალით ნახვედრზედ. გარდა ამისა, თუ მებატონეს არა აქუს თავისთჳს სამოსახლო და ვენახი, მაშინ შეუძლიან მიაქციოს თავის საკუთარ მფლობელობაში სამოსახლოც და ვენახიც ერთ-ერთის გლეხის კომლისა, რომელსაც თჳთონ მოინდომებს.

**56.** თუ მცირე-მამულიან მებატონის ყმები სახლობენ სხუა და სხუა სოფლებში, მაშინ მებატონეს შეუძლიან დაიტოვოს სათავისოდ კუთვნილი თჳსდა მიწა, გარნა არა უმეტეს ოც და ათის ქცევისა გლეხების ეზოებით და ვენახებით, ერთ-ერთ სოფელში, სადაც მოინდომებს; და რაცა იმას აქე დაიტოვებს, მას უკან სხუა სოფლების მამულებში დაემონება საზოგადოთა აქა დაწესებულთა კანონთა.

**57.** შემთხვევათა შინა, ჩუჱნებულთა წინას მუხლებში (**55** და **56**): გლეხნი დაიცვენ იმავ უფლებას, რომელიც ეკუთვნის იმათ, ძალითა **1**-ს შენიშვნისა **41** მუხლისა.

**58.** მცირე-მამულიანი მებატონე, რომელსაც ერთიან კუთვნილი მისდა დასახლებულ მამულში მიწა (მუხლი 54) ეპოვება არა უმეტეს ოც და ათის ქცევისა, განთავისუფლდება მოვალეობიდგან მიუჩინოს გლეხსა ველის მამული ნიადაგ ხმარებად.

**დ.** განსხვავებანი მთიან დასახლებულ მამულებისათჳს რაჭის უეზდში მიჩენისა-გამო გლეხთადმი და სარგებლობისა მათ-მიერ მიწითა და სხვა მამულებითა.

**59.** მთიან მამულებისათჳს რაჭის უეზდში დაწესდებიან მისაჩენელად გლეხთადმი და სარგებლობად მათ-მიერ მიწითა და სხჳა მამულებითა განსხვავებანი. აღნიშნულნი ქვემოდ, მუხლთა შინა 60—64.

შენიშვნა. მთიან მამულებად რაჭის უეზდში იცნობებიან სოფლები, გაშენებულნი კუდარის უჩასტკის, კუდაროს ხეობის ასწვრივ, აგრეთვე სოფლები გლოლა და ჭიორა, იმავე უეზდის უცერის უჩასტკაში. განსაზღვრა კუდაროს ხეობის მთიანის ნაწილისა და განუსხვა ყოველთა მთის მამულთა რაჭის უეზდში მიენდობა ქუთაისის გუბერნსკის საგლეხო საქმეების პრისუტ-

ვიეს, დამტკიცებითა კავკასიის ნამესტნიკისაგან.

60. ნიადაგ-სასმარისად გლეხთა, დაწესებულის გარდასახადის მიცემით, მიენდობათ ერთიან იგი სამოსახლო და ველის მამულები (სახნავი და სათიბი), რომელნიც კანონების დამტკიცებამდე, ყოფილან განსაკუთრებულს თჳთოეულის გლეხის კომლის სარგებლობაში.

61. გლეხების სამოსახლოს შეადგენს ერთიან მიწა, რომელზედაც აღგებულ არიან ყოველი სადგომი, სახლკარიანობის, გაჭრობისა და სხვა ალებ-მიცემის შენობაები და გამართულობაები, სადაც უნდა იყვნენ — შიგ სოფელში გინა სოფლის გარეთ, კუთვნილის მათდა გლეხების ბოსტნებითა, საფუთკრეებითა და სხვა გამართულებაებითა, აგრეთვე საქონლის სასმელის წყლითა, საქონლის გამოსაშვებითა და ცარიელის გლეხთ შენობათა შორის ადგილებითა.

62. როცა გლეხების შენობანი და გამართულებანი არიან ისე გაფანტულნი, რომ არ ირჩევიან ერთმანეთში ცხადის სამზღვრით, მაშინ სამზღვარი ესე დაწესდება იმ რიგით, რომელიც ნათქვამია ამ კანონების 29-ს მუხლში.

63. გარდა სამოსახლოს და ველისა მიწისა (სახნავის და სათიბისა) გლეხთ მიეცემათ აგრეთვე ნიადაგ სარგებლობად, დაწესებულისა გარდასახადის მიცემით, საძოვარი და საკუთრებისა საჭიროებისათჳს ტყის ნაწილებიცა, რომელთაც ზომა, გლეხთადმი მისაჩენად, დაწესდება კავკასიის ნამესტნიკის-მიერ; ამ ზომის დაწესებამდის, გლეხთ საზოგადოებანი მოიხმარებენ ხსენებულს მამულებს იმ წესით, რომელსაც უმოქმედნია ამ კანონების დამტკიცების დღემდის.

64. ამ კანონების დამტკიცებიდგან პირველთ ცხრა წელთ განმავლობაში, ყოველი გლეხი ვალდებულია იქონიოს თავის სარგებლობაში, დაწესებულის მებატონისადმი გარდასახადითა. მიჩენილი მისდა სამოსახლო და ველის მამული ერთიან, გაუნაწილებლივ, და შეუძლიან აღარ ისურვოს იმათი სარგებლობა მხოლოდ მებატონის თანხმობით.

### ქ. გლეხთა გარდასახადნი მებატონეთადმი.

#### 1) გარდასახადი სამოსახლოთათჳს,

65. სამოსახლოს მიწისათჳს, რომელიც აქვსთ გლეხთ კომლეულად მიჩენილი, თჳთოეულმა იმათგანმა უნდა აძლიოს, მისედვით მიწის ზომისა, რაოდენიც უჭირავს სამოსახლოს ქვეშ, ფულის ქირა (აბრ-

ოკი).

**66**. ერთის ქცევის სამოსახლოთათჳს დაწესდება წლიური გარდასასადი სამი მანეთი, გარდა იმ შემთხვევათა, რომელნიც აღნიშნულნი 67 და 68 მუხლთა შინა.

შენიშვნა. რაჭის უეზში, ყოველ გარდასახადის მიცემის ანგარიშში, სამოსახლო მიწა, ნახევარ ქცევაზედ ნაკლები, მიიღება მთელ ნახევარ ქცევად, ხოლო ნახევარ ქცევაზედ მომატებული სრულ ერთის ქცევად.

**67**. იმ ადგილებში, სადაც ვაჭრობა ანუ სხვა აღებ-მიცემა და ხალხის სიხშირე აღმოუჩენენ გლეხების ჭირნახულს კარგს ბაზარს და აალებინებენ კიდეც მუშაკობით კარგს დღიურ ფასს, აგრეთვე სადაც სამოსახლოს ფარგალში არიან გაშენებულნი ვაზები და ნაყოფოვანი ხეები, რომელნიც მოჰსცემენ მოსავალს არა ნაკლებ ოცი მანეთისა ერთი ქცევა. და რაც ამ თეთრს წლიური პროცენტი ანუ სარგებელი შეხვდება ხუთ პროცენტობაზედ, ის დაინიშნება ყოველ წლივ მისაცემად.

**68**. თუ გლეხთ სამოსახლონი მებატონის მოთხოვილებით გადატანილ-იქმნენ ახალს ადგილებში სოფლის სამზღვარ გარეთ, ველის მიწაზედ, მაშინ ამ ადგილებისათჳს გარდასასადი დაიდება ქცევაზედ როგორც ველის მიწისათჳს.

შენიშვნა. დაფასება, ამ შემთხვევაში, გარდასადის სამოსახლო ადგილებისათჳს, თუ მებატონე და გლეხი კეთილის ნებით ვერ მორიგდნენ, მოხდება მიროვის პოსრედნიკისაგან; გარნა წლიური გარდასასადი ესე არ უნდა ავიდეს ორ მანეთ ზევით.

2) გარდასახადი ვენახებისათჳს.

**69**. დაბლარ ვენახებისათჳს გლეხნი მიჰსცემენ გარდასასადს მეოთხედ ნაწილს მოსავლისას ღჳნოთი.

**70** მაღლარ ვენახებისათჳს მებატონეზედ არის დამოკიდებული გამოართვას გარდასასადი: ანუ მესამედი ნაწილი მხოლოდ ღვინის მოსავლიდგან, ანუ მეოთხედი ნაწილი როგორც ღვინის მოსავლიდგან, აგრეთვე დათესილებიდგანაც ამ ვენახებში.

**71**. გარდასახადი ნაყოფოვან ხეთათჳს, რომელნიც არიან გაშენებულნი ვენახებში (მუხლნი **31** და **32**), დაწესდება ერთმანეთის თანა-

ხმობით მებატონისა და გლეხისა, და თუ ეს თანხმობა არ მოხდა, მაშინ მიროვის პოსრედნიკისაგან.

3) გარდასახადი ველის მამულებისათჳს.

72. ველის სახნავ მიწებისათჳს გლეხნი მისცემენ გარდასახადს მეოთხედ ნაწილს ყოველივე მიწის მოსავლიდგან. აქედგან გამოირიცხებიან ის მიწები, რომელიც შეეძლო მებატონეს თავისათჳს წაეღო, მაგრამ რომელიც გლეხებს დაუგდიათ თავიანთ ხანიადაგო სარგებლობაში: ამაზედ განწესებულია სხვა 40 მუხლში.

73. იმ მაღლარ ვენახებიდგან, რომელიც შერიცხული არიან ველის მამულებად (მუხლები 34 და 35), გარდასახადი მიიცემის 70-ის მუხლის საფუძველით,

შენიშვნა. ხეხილთა და ყოველთა ნაყოფოვან ხეთათჳს, რომელნიც არიან ველის მიწებში და იძლევიან რაიმე მოსავალს, გარდასახადი დაწესდეს იმავე საფუძველით, როგორც ხეხილისთჳს, რომელიც დგას ვენახებში, (მუხლი 71)

74, თივისა და ისლისათჳს გლეხნი მისცემენ გარდასახადს მესამედ ნაწილს ნათიბიდგან ანუ გამოსავლიდგან.

75. გარდასახადი ტყის ნაწილებისათჳს ესე იგი საზარდნისა ანუ, სასარისათჳს, რომელიც შევლენ საგლეხო მისაჩენ მამულებში, უნდა დაწესდეს მებატონის და გლეხის შეთანხმებითა, და თუ შეთანხმება არ მოხდა, მაშინ მიროვის პოსრედნიკის გარდაწყვეტილობით.

4) წესი გარდასახადით ძღევისა

76. შესახვედრი მებატონისადმი ნაწილი მიწის მოსავალთაგან აიღება ყანებში ძნიურად, სიმინდი გარეული ტაროთ თავის ჩალითა, ღომი თავლავად გამხმარი ისიც თავის ჩალითა, ასე რომ ეს ნაწილი უნდა მიუტანოს თჳთ გლეხმა ეზოში მებატონეს იმ სოფელში, სადაც გლეხები სდგანან; მაგრამ მებატონეს ნება აქვს წაიღებინოს ეს გარდასახადი იმ სოფელს გარეთაც, სხვა ადგილში, თუ ის ადგილი არ არის ათ ვერსტზედ შორს.

77. მებატონეს შეუძლია მოჰსთხოვოს გლეხს შესახვედრი მისდა ნაწილი მიწის მოსავალთაგან (მუხლი 76) მარცვლად, გარდა ღომისა; ამ შემთხვევაში ზედ განაღეწის პურისა და ჩალა სიმინდისა დაეთმობა საკუთრებად გლეხსა, რომელიც მოვალეა ეს გარდასახდი მიუტანოს

მებატონეს, თავისის ღონის-ძიებით, არა უმეტეს ორმოც და ათის ვერსტისა.

შენიშვნა. იქ, სადა გზის სიძნელის გამო, მიტანა უნდა იყოს საპალნით, მიროვის პოსრედნიკს მიენდობა მანძილი, ამა მუხ-ლით დაწესებული, შეამოკლოს ნახევრად.

79, მიტანა მებატონისადმი სხვათა მიწის მოსავლთა, აგრეთვე ღვინისა, რომელიც შეხვდება მას გარდასახადში, უნდა შეეთანხმოს იმ წესსა, რომელიც ზემო მუხლებში არის დადგენილი.

ბ) გარდასახადნი რაჭის უეზდის მთიან მამულებში.

79. გარდასახადნი რაჭის უეზდის მთიან მამულებში სამოსახლოს და ველის, ესე იგი სახნავის და სათიბის მიწებისათვის (მუხლი 69). რომელიც მიჩენილ-ექმნებათ ნადელად სარგებლობაში თვითოეულთა გლეხთა კომლთა, მიეცემიან იმ სახით, როგორც მიეცემოდნენ აქამომდე თვითო-ეულთ ადგილში, ესე იგი: ანუ ფულით, ანუ საქონლით, ანუ-და მი-ნაურის გლეხ-ნამუშავრით, და იმ რაოდენობით, როგორც დაწესებულ არიან ჩვეულებისა-მებრ.

80. გუბერნსკის საგლეხო საქმეების პრისუტსტვიე, დაათვალიერებს ფუ-ლად საქონლისა და შინაურით გლეხ-ნამუშავრითა, რომელთაცა აძლე-ვენ გლეხნი მიჩენილის მიწის გარდასახადში (მუხლი 60), და ამ და-თვალიერებით ნებას დართავს აძლიონ გარდასახადი იმ მამულებში, რაცა-ეს აგრე რიგად გასაჭირი არ იქნება გლეხთათვის.

81. სამოვრისა და ტყის ნაწილებისათვის (მუხლი 63) გლეხნი მი-ჰსცემენ გარდასახადთა იმ ზომით, რომელსაც დააწესებს გუბერნსკის პრისუტსტვიე, კავკასიის ნამესტნიკის დამტკიცებით.

82. გლეხნი არ არიან ვალდებულნი აძლიონ, სასარგებლოდ მება-ტონისა, არა რაიმე გარდასახადი, გარდა დაწესებულთა წინამავალი 79—81 მუხლთა შინა.

მოწერილია: პრედსედატელი კავკასიის კომიტეტისა თავადი პავლე გაგარინი.

განჩენი გაწყობილისათჳს მდგომარეობისა გლეხთა, გამოსულთა ყმო-ბითის დამოკიდებულებიდგან ბატონისაგან, რომელნიც არა არიან შთა-მომავლობით კეთილშობილნი.

1. გლეხთა, მყოფთა ყმობითის დამოკიდებულებაში ბატონთაგან არა კუთვნილთა შთამომავლობით კეთილშობილთადმი, მიეცემით ყოველი იგი უფლებანი ბატონთანი წოდებითნი და ქონებითნი, რომელნიცა ერთის მინიჭებულ-არიან ყმებისადმი წესდებითა, უმაღლესად დამტკიცებულებითა 19 თებერვალს 1861 წლისა.

2. გლეხნი ესე უნდა შეადგინონ ყოველთა უფლებებითა მისა თავი-სუფალ წოდების ბატონთაგანი კეთილშობილთა დროებით ვალდებულებისა ამა დამტკიცებითა განჩენითა ქუთაისის გუბერნიისათჳს.

3. გლეხთა ამათ დაუტოვებსთ ეზო ანუ სამოსახლო იმ სივრცით, რომელიც დაწესებულია ხსენებულთა დამტკიცებითა განჩენითა მისა. და გარდა ამისა მიეცემათ მათ უფლება შეისყიდონ კიდეც იგი სათეს-ველთა ზედა, ამავე დამტკიცებითა განჩენითა მისა დაწესებულთა, თუნიერ რომ ამ გვარ-შესყიდვაზედ არ გამოაცხადოს თანხმობა მიწის პატ-რონმა.

4. იგინი მიიღებენ საკუთრებად, თჳნიერ ყოვლისა პატრონის დაკმაყოფილებისა, ნაწილსა მყოფის მათ სარგებლობაში ვენახებიდ-გან: დაბლარიდგან ნახევარსა, ხოლო მაღლარიდგან ერთ მესამედ ნაწილსა.

5. განხილვა ყოველთა დავათა, რომელნიც წარმოსდგებიან გლე-ხთა და ადრინდელთა მათთა მფლობელთა შორის, ეკუთვნის საზო-გადოთა საგლეხო საქმეების სასამართლოთა.

მოწერილია: პრედსედატელი კავკასიის კომიტეტის თავადი პავლე გაგარინი.

## „ცისკრის" რედაქციისაგან.

**1866** წელს «ცისკარი» თავისის დამატებით «გუთნის დედით» გამოვა იმავე მიმართულებით, რა მიმართულებითაც აქამდის გამოდიდა. თუ რამე ნაკლულევანება შენიშნეს მკითხველთ, რომელზედაც არ არის ეჭვი, ეს ჩუენი ბრალი არ არის.—თუმცა ბევრი კარგი სტატიების დაბეჭვდა გვსურვებია და გვსურს, მაგრამ, როგორც იტყვიან, ჟამთა ვითარება ისეთია, რომ შეუძლებელია ამ სურვილის აღსრულება, მოკლეთ ვსთქვათ, ქართულის ანდაზის მიხედვით: «დრონი მეფობენო»—მაინც და მაინც იმედს კიდევ არა ვკარგავთ და ყოვლის ღონისძიებით ვცდილობთ კარგის სტატიების მოპოვებას, რომელთა შორის გვეგულება რედაქციაში ანგლიურიდამ ნათარგმნი უფ. დიმ. ყიფიანისაგან შექსპირის დრამა «ორი ვერონელი აზნაურისშვილი» და რომელსაც უპირებთ ამ მოკლეს დროში დაბეჭვდას.— მხოლოდ ამას ვითხოვთ, ვისაც დაბარება სურდეს ამ ჟურნალისა, დროთი გვაცნობონ, რომ იმდენი დაიბეჭდოს, რამდენიც კმარა-მომწერნი გვეყოლებიან და ტყუილ უბრალო ხარჯისაგან გამოვიფ-ვეონ.—

თბილისი

# სხუა და სხუა ამბავი:

1, — დამატებითნი გაკვეთნი ქუთაისის გუბერნიისათჳს.
2. — რედაქციისაგან, — რედაქციის.

1866 წლის

## «ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით:

ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად 6 მან. დამატებით 7 მან.

სხუა ქვეყნებში გაგზავნით, დაუმატებლივ 7 მან. დამატებით. 8 მან.

რედაქცია იმყოფება კუკიას, საკუთარს კერესელიძის სახლებში, ქ. ტფილისს.

კისაც ჟურნალი დააკლდეს და თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

« ცისკრის» რედაქციაში ტფილისს.